825
1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გუშაგი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პარიზი	N° 1	PARIS
აპრილი	1984	AVRIL

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაყინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი,—მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშრვება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში...“

— ი ლ ი ა

... ...

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საკდარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!“

— ი ლ ი ა

****

141

„გ უ შ ა გ ი“

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა
პერიოდული ბეჭდვითი ორგანო უცხოეთში.

გამოცემის პასუხისმგებელი: გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი
რედ. მისამართი: *8, Rue des Marchais, 75019 Paris*
Tel: 607 - 08 - 14

****

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ე რ ი ც ვ ა ლ ე ბ ა

„თავისუფლების ტრიბუნას“ მიჩვეულ მკითხველებს ეს ჟურნალი ახალი ფორმით, ფერით და სახელწოდებით წარმოგიდგებათ. ნიშნავს ეს იმას, რომ ის განსხვავებული იქნება დანიშნულებითაც მისი წინამორბედისაგან? სრულებითაც არა!

ისევე როგორც „თავისუფლების ტრიბუნისა“, **„გუშაგის“** მიზანიცაა ემსახუროს, ხელი შეუწყოს საქართველოს განთავისუფლებას უცხო მპყრობელებისაგან, იქ დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სინდისისა და პოლიტიკური თავისუფლების პატივისმცემელი წესწყობილების აღდგენა - გაბატონების საქმეს.

ისევე როგორც „თავისუფლების ტრიბუნისათვის“, **„გუშაგისთვისაც“** მხოლოდ და მხოლოდ საქართველო და ქართველი ერი იქნება ერთადერთი ურეზერვოდ სათაყვანებელი კერპი, დანარჩენი, ყველა და ყველაფერი, შეიძლება კითხვის ქვეშ იქნეს დაყენებული, მოწონებული თუ დაწუნებული, სწორედ იმ მთავართან მიმართებაში.

ისევე როგორც თავისუფლების ტრიბუნა, გუშაგიც სამარცხვინო ბოძზედ გააკრავს ქართველი ხალხის მტრებსა და მის უღირს მოღალატე თუ ღაჩარ შვილებს.

ისევე როგორც თავისუფლების ტრიბუნა, გუშაგიც პატივისცემით და სიმპათიით მოეკიდება ყველა სხვა ხალხებსაც. ქართველი ხალხი ერთი ნაწილია კაცობრიობის, რომელიც შედგება თეთრი, ყვითელი, შავი, წითელი და სხვა კანის ფერის რასებისა და ერებისაგან.

„თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა ყველა რასისა და ერისა, თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა ოჯახში, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ქართველი ერი“—ამ დევიზით ხელმძღვანელობდა თავისუფლების ტრიბუნა, ამავე დევიზით იხელმძღვანელებს გუშაგი.

თქვენთან და თქვენით, მამულიშვილნო, გაუმარჯოს ჩვენს საერთო, ეროვნულ საქმეს!

დაე, მარად ცოცხლობდეს, მრავლდებოდეს და სულ წინ - წინ მიიწევდეს ქართველი ხალხი!

გუშაგი

****

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდა საქართველოში

გასული წლის *18*-დან *19* ნოემბრის ღამით საქართველოში ადგილი ჰქონდა სამგზავრო თვითმფრინავის გზიდან გადახვევის მცდელობას, რომლის დროსაც დაიღუპა სულ ცოტა *8* კაცი და დაიჭრა ან დაშავდა *15*-ზე მეტი.

ქართველი ახალგაზრდების ჯგუფმა, რომელიც *6* ვაჟის და *3* ქალისაგან შედგებოდა, თბილისიდან რუსეთში მიმავალ სამგზავრო თვითმფრინავის პილოტს იარაღით დამუქრა, რათა მას ფრენის მიმართულება შეეცვალა და თურქეთის ტერიტორიაზე გასულიყო. როგორც ჩანს, ახალგაზრდებს გადაწყვეტილი ჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან თავისუფალ სამყაროში გამოქცევა.

ახალგაზრდები თბილისის კარგი ოჯახიშვილები იყვნენ და თავადაც ცნობილი იყვნენ, როგორც კულტურული, კარგი ყოფაქცევის და წონასწორობის მქონე ადამიანებად. მათ, რა თქმა უნდა, განზრახვა არ ჰქონებიათ ბოროტების ჩადენისა, არც ტერორისა, არც ავიაზაკობისა, არამედ—სრულიად ბუნებრივი ახალგაზრდული დაუოკებელი სურვილი თავის ნებაზე მოგზაურობისა, რათა საკუთარი თვალებით ეხილათ ის „კაპიტალისტური“ და „იმპერიალისტური“ ქვეყნები, რომელთა სიძულვილსაც მათ თოთო ბავშვობიდანვე, წერაკითხვის სწავლების დაწყებიდან მოყოლებული, განუწყვეტლივ და დაჟინებით უნერგავენ.

ᲧᲐᲖᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
Ж 1563

ზედმეტია იმის თქმა, რომ ამ მათი ბუნებრივი წყურვილის დადასაკმაყოფილებლად, მათ აირჩიეს მეტად სახიფათო საშუალება. სახიფათო არა მარტო მათი საკუთარი სიცოცხლისათვის, არამედ აგრეთვე თვითმფრინავის სხვა მგზავრებისთვისაც, რისი მორალური უფლებაც მათ არ ჰქონდათ. ეს ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ უკვე „თავისუფლების ტრიბუნა“-ს უკანასკნელ ნომერში, მაგრამ არც აქ მიგვაჩნია ზედმეტად ამის განმეორება.

მეორე მსოფლიო ომის წინ, როცა ქართველ ახალგაზრდებს ასეთი აზრი მოუვიდოდათ, ისინი შედარებით ადვილად ახერხებდენ აეროპლანის გზით თურქეთში გამოსვლას. დღეს, ნურას უკაცრავად! ჩიტი, რომ ჩიტია, ისიც კი ვეღარ გადაფრინდება თურქეთ - საბჭოეთის სახმელეთო საზღვრებზე. ასე, რომ თავისუფლების მაძიებლებისათვის ამჟამად ორი ერთმანეთზე უფრო სარისკო გზა არ-

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სებობს: საჰაერო და საზღვაო. იქნება პარადოქსალურად მოვაგ�eველნოს, მაგრამ ჯგუფური გამოქცევის შემთხვევაში, ისევ საჰაერო გზით უფრო მეტი შანსია წარმატებისა, ვიდრე საზღვაო გზით. ალბათ ამ მოსაზრებით იყო, რომ თბილისელმა ახალგაზრდებმა გამოქცევის საჰაერო გზა ირჩიეს და უნდა ითქვას, რომ, ვინაიდან იარაღის თვითმფრინავში უკონტროლოდ შეტანა განხორციელდა, თვითმფრინავის გადახვევაც უმსხვერპლოდ წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო, რომ პილოტის წარმოუდგენელი სირეგვნე არა.

შეთქმულთა ვინაობა

„შეთქმულება“ პირობითია, რადგანაც ჯერ კიდევ არავინ იცის: ადგილი ჰქონდა წინასწარ შეთქმულებას თუ უეცარ გადაწყვეტილებას. არც ყველა მონაწილეთა ვინაობაა ცნობილი.

გია ტაბიძე –32 წლის არქიტექტორი, ცნობილი არქიტექტორის ვაჟიშვილი, ცოლშვილიანი, მოკლულია.

იოსებ (სოსო) **წერეთელი**–25 წლის მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, სახელგანთქმული ენათმეცნიერის მამიშვილი, მოკლულია თვითმფრინავში.

დავით მიქაბერიძე – 22 წლის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი, საქართველოს ინტურისტის უფროსის შვილი, მოკლულია.

გერმანე (გეგა) **კობახიძე** –22 წლის ახლად ხელოვნების ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ცნობილი კინორეჟისორის ვაჟიშვილი, წინადღით იქორწილა **თინათინ ფეტვიაშვილზე**–20 წლის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი, დედამისი, რომელიც ქმარს გაშორებულია იყო ფიზიკის პროფესორი უნივერსიტეტში. თინათინი ფეხმძიმედაა, დაპატიმრებულია და მის შემდეგ აღარავის უნახავს.

ორი ძმა ლეკიშვილი – ორივეს მოსკოვში აქვს დამთავრებული სამედიცინო ინსტიტუტი, არიან შვილები ჯირჯლების დაავადების სახელგანთქმული სპეციალისტის, ერთერთი მძიმედ იყო ჟლში დაჭრილი, მაგრამ გადარჩა, ახლა ორივე პატიმრობაშია.

ანანო ელიავა–ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია, თინათინის მეგობარი და მისი ქორწინების მეჯვარე;

ნინო შაუტაშვილი თუ **ზაუტაშვილი** კარგად ცნობილი არ არის, ამბობენ, რომ ის დიდი პარტიული თანამდებობის პირის ქალიშვილია; ის და ანანო ელიავა დაუჯვნებლივ გაანთავისუფლეს, რადგანაც პოლიცია დარწმუნდა, რომ ისინი შეთქმულებაში არ ერიენ, არამედ გულუბრყილოდ ფიქრობდენ, რომ მონაწილეობენ საქორწინო მოგზაურობაში. გამოგვრჩა გვეთქვა, რომ ანანო **ლადო გუდი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშვილის შვილიშვილი უნდა იყოს.

თვითმფრინავის გადახვევის ამბავი

ამბავი იწყება ქორწილით. 17 ნოემბერს თინათინ ფეტვიაშვილი და გეგა კობახიძე შეუღლდენ. ჯერ მმაჩში ხელი მოაწერეს, შემდეგ ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი, ხოლო საღამოს, თბილისის ერთერთ დიდ რესტორანში, საქორწინო ნადიმი გამართეს, სადაც ორასზე მეტი მონადიმე მონაწილეობდა. ჩვენი ფიქრით: გაქცევის გეგმა ქორწილთან იქნა დაკავშირებული, რათა თვითმფრინავის აღებისას უკეთ მიეძინებიათ პოლიციის უნდობლობა. ამავე დროს, ქორწილი საუცხო შესაძლებლობას იძლეოდა უახლოეს და ძვირფას ადამიანებთან გამოსამშვიდობებლად ისე, რომ ეჭვი არავის აეღო.

ქორწილმა გვიანობამდე გასტანა, მთვრალი ახალგაზრდობა მხოლოდ დილის ოთხ საათზე აიშალა მაგიდიდან. მცირე წაძინების შემდეგ, ნაბახურევი მეგობრები სადილათ ისევ ერთად შეიყრენ, ნაშუადღები ერთად გაატარეს და თბილისს ახლოს მყოფი (ალბათ შიიმღვიმე) მონასტერიც მოინახულეს, რომელიც მათ განსაკუთრებით უყვარდათ. საღამოს 6 საათზე კი უკვე თბილისის სამოქალაქო აეროდრომზე იყვენ: ზოგს ხელში შამპანიურის ბოთლი ეკავა, თინათინს დედამიწის გლობუსი და ერთსაც ჩემოდანი, რომელშიაც რევოლვერები და ცრემლმდენი ხელის ყუმბარები ელაგა. ეს ჩემოდანი აეროდრომის ერთმა მოსამსახურე ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ჯვარდაწერილთა კარგი მეგობარი იყო, კონტროლის გარეშე შეიტანა თვითმფრინავში.

აეროდრომზე შეთქმულმა მეგობრებმა ბათუმის ბილეთები აიღეს და განაცხადეს, რომ საქორწინო მოგზაურობაში მიდიან ერთად. შეთქმული ფიქრობდენ, რომ მოახერხებენ პატარა თვითმფრინაზით მოგზაურობას, რომელიც მხოლოდ თბილისსა და ბათუმს შორის დაფრინავს. ეს განზრახვა შეუძლებელი გახდა. კიდევ მეტი, მათ ძალიან დიდხანს მოუხდათ ცდა და ბოლოს ერთი დიდი თვითმფრინავის–ტუ-134ა, რომელიც თბილისს ლენინგრადთან აერთებს, ბათუმში პირველი ესკალით –აღება შეძლეს.

შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ ბათუმამდე დაეცადათ და შემდეგ ემოქმედათ, მაგრამ გზაში ბორტგამყოლმა ქალმა გამოაცხადა, რომ თვითმფრინავი არ დაფრინდება ბათუმში, ის უკან უნდა დაბრუნდეს თბილისში. ეს შეთქმულებში იწვევს პანიკას, ისინი ფიქრობენ, რომ მათი გეგმა გამეღავნებულია. ორი შეთქმულთაგანი დაუყოვნებლივ მიაშურებს პილოტის კაბინას (ამბობენ, რომ ესენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყენ გია ტაბიძე და სოსო წერეთელი) იარაღით ხელში და უბრძანებენ პილოტს მიმართოს ფრენა თურქეთისაკენ. ამ ფიქრებზე ცნობები ერთმანეთს არ ეთანხმებიან: ერთთა მიხედვით, როცა შეთქმულები კაბინაში შევარდებიან, იქ ჩასაფრებული დახვდებათ პილოტის თანაშემწე თუ ერთ-ერთი სხვა ეკიპაჟის წევრი, რომელიც ესვრის მოკლავს ტაბიძეს და სასიკვდილოდ ჭრის წერეთელს. მეორე ვერსიის მიხედვით, ამ დროს ადგილი არ ჰქონებია სროლას, პილოტმა ისე მოაჩვენა თავი თითქოს თანახმა იყო და იწყო მათ დასარწმუნებლად მანევრები. შეთქმულებმა ამის შემდეგ მთელი ყურადღება გადაიტანეს მგზავრების დამშვიდებაზე და პილოტზე ყურადღება მოადუნეს. ამ უკანასკნელმა ამით ისარგებლა ფარულად დაუკავშირდა თბილისის აეროდრომის მართვის კოშკს, საიდანაც მიიღო ბრძანება, მეკობრეთა თვალის ასახვევად გაგრძელებია თვითმფრინავის ფრენა საქართველოს საჰაერო სივრცეში და ერთ საათში უკან დაბრუნებულიყო თბილისში. ერთ საათში აეროდრომი გარშემორტყმული იყო სახ. უშიშროების ჯარებით, შეატყობინეს მოსკოვს და იქიდან სასწრაფოდ გამოაგზავნეს სპეციალური მეკობრეთა საწინააღმდეგო კომანდო და სხვა საჭირო ღონისძიებები. როცა თვითმფრინავი აეროდრომზე დაეშვა, მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს შეთქმულებმა, რომ პილოტმა ისინი მოატყუა. ამ ვერსიის მიხედვით, აქამდე არავითარ მსხვერპლს ადგილი არ ჰქონებია. ერთხანს შეთქმულები კიდევ იმედოვნებდენ ბომბების აფეთქების მუქარით შეძლებდენ თვითმფრინავის გატაცებას, მაგრამ, როცა ყველა იმედი გადაიწურა დავით მიქაბერიძემ თავი მოიკლა, რომ პოლიციას ცოცხლად არ ჩავარდნოდა. რაც შეეხება სხვა დახოცილებსა და დაჭრილებს, ეს მოხდა მას შემდეგ, რაც თვითმფრინავის ბორტზე შეიჭრა მოსკოვიდან გამოგზავნილი კომანდო, რომელმაც განურჩევლად ტყვიამფრქვევლების ცეცხლი გაუხსნა იქ პანიკაში ჩავარდნილ მშვიდობიან მგზავრებსა და შეთქმულებს. მხეცური ხოცვა-ჟლეტის შედეგი საშინელი იყო: შეთქმულ ახალგაზრდებიდან მოიკლა გია ტაბიძე, სოსო წერეთელი, დავით მიქაბერიძე; მძიმედ დაიჭრა ერთი ძმა ლეკიშვილი და შედარებით მსუბუქად — გეგა კობახიძე; ეკიპაჟის წევრებიდან მოიკლა სამი, მგზავრებიდან — ორი, მგზავრებიდან ამის გარდა დაიჭრა და დაშავდა *15* კაცზე მეტი.

15 საათის განმავლობაში აეროდრომი დაკეტილი და იზოლიაციაში იყო. დაუჯავნებლივ მორეკეს შეთქმულთა მშობლები და

ახლობელი მეგობრები, რომლებზედაც ხანგრძლივ დაკითხვებს აწარმოებდენ „ს.უ.კ.“-ის აგენტები. ეს უკანასკნელები ჩვეულებრივზე უფრო მკაცრები, უხეშები და უზრდელები იყვენ ქალაქელ ებულ მშობლების, ჭირისუფლების მიმართ. ჭირისუფლებს მათი მოკლული შვილების ცხედრები არ დაუბრუნეს და არავინ იცის თუ რა უყვეს მათ. შეთქმულთა მშობლები ყველა მოხსნილია სამსახურიდან, მათ აკრძალული აქვთ ილაპარაკონ ამბავი შესახებ. პრესა საერთოდ არაფერს არ ამბობს არც მომხდარ ამბავზე და არც თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდის მონაწილეებზე; ამდენი მსხვერპლი ვითომც არც მომხდარიყოს. ქართულმა და რუსულმა პრესამაც მხოლოდ გამოაცხადეს თვითმფრინავის ეკიპაჟის *3* წევრის და ორი მგზავრის დაღუპვის შესახებ, მაგრამ არაფერი უთქვამთ თუ რა პირობებში მოხდა ეს. *24* ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ც. კომიტეტი, საქ. ს.ს.რ.-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამსახურებლივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპენ საქ.-ს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თბილისის ავიასაწარმოს **ტუ -134-ა** თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები **ანზორ იოსების ძე ჭედია, ვალენტინა ნიკოლოზის ასული კრუტიკოვა, ზავენ ტელემაქის ძე შარბათიანი,** აგრეთვე მგზავრები **ალუდა ასლანის ძე სოლომონია, პავლე ივანეს ძე აბოიანი** და სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.“ ამავე გაზეთის ამავე ნომერში „ამხანაგების ჯგუფი“-ს ხელმოწერით დაბეჭდილ არაფრისმთქმელ ნეკროლოგის შესავალში ნათქვამია: „*1983* წლის *18* ნოემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპენ საქ.–ს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თბილისის ავიასაწარმოს **ტუ -134-ა** თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები ანზორ იოსების ძე ჭედია, ვალენტინა ნიკოლოზის ასული კრუტიკოვა, ზავენ ტელემაქის ძე შარბათიანი...“ ე.ი. სიტყვა-სიტყვით ნათქვამია ივივე, რაც მთავრობის განცხადებაშია. ნეკროლოგი მთავრდება სიტყვებით: „ა.ი. ჭედიას, ვ. ნ. კრუტიკოვას, ზ. ტ. შარბათიანის – მამაცი ავიატორების, საბჭოთა სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტების ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში“-ო. რაში გამოიხატება მათი მამაცობა და საბჭოთა სამშობლოს პატრიოტობა, ამათზე გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველი ვერაფერს გაიგებს.

ამის შემდეგ საბჭოთა პრესაში *18* ნოემბრის მომხდარ ტრაგიკულ საჰაერო ინციდენტის შესახებ ვეღარაფერს შეხვდებით და მხოლოდ

1984 წლის *10* თებერვალს ქვეყდება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, ანდროპოვის ხელისმოწერით. **Ასევე** ნათქვამია: „საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს გამორჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭოთ და გადაეცეთ ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი: **გარდაფხაძეს ახმატგერ ბუხულის ძეს**–პიროტ-ინსტრუქტორს, **გასოიანს ვლადიმერ ბედოს** ძეს–ეკიპაჟის შტურმანს.“ იქვე: „ოქტომბრის რევოლუციის ორდენით–მეორე პიროტი **ს. შ. გაბარაევი,** წითელი დროშის ორდენით–სიკვდილის შემდეგ: უფროსი ბორტგამყოლი **ვ. ნ. კრუტიკოვა,** ბორტმექანიკოსი **ა. ი. ჭედია** და საფრენოსნო-საშტურმანო განყოფილების უფროსის მოადგილე **ზ. ტ. შარბათიანი**; წითელი ვარსკვლავის ორდენით– საქ. სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე **კ. ი. კაძანია** და ბორტგამყოლი **ი. ნ. ხიმიჩი**; მედლით მამაცობისათვის–საავიაციო ტექნიკოსები **ა. მ. გეგორქიანი** და **რ. ლ. პოზოვი.**“

იქვე გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, „...რესპუბლიკის საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს: **ეგორი**ვი ვიტალი ექვთიმეს ძე –ფრენის ხელმძღვანელი, **ივანოვი** გაბრიელ სტეფანეს ძე–საავიაციო ტექნიკური ბაზის ცვლის ინჟინერი, **სოკოლოვი** გიორგი თევდორეს ძე – საავიაციო ტექ. ბაზის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინერი, **ქარქუსაშვილი** ალექსანდრე მათეს ძე–სპეციალტორანსპორტის მძღოლი.“ (იხ. გაგეთი „კომუნისტი“ *10.02.1984.*) როგორც ხედავთ დიდძალი ხალხია დაჯილდოვებული „საშიშ დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობისათვის“, მაგრამ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველმა არაფერი იცის, რადგანაც მას არაფერს ეუბნებიან თუ: სად, როდის, რა პირობებში გამოიჩინეს ეს „ვაჟკაცობა - გმირობა“, ანდა ვინ იყვნენ ის „საშიში დამნაშავენი“, რომლებიც მათ დაიკავეს?

დასავლეთის პრესა

კიდევ უფრო მეტ და ძუნწი იყო დასავლეთის პრესა ქართველების ტრაგედიის შესახებ, მხოლოდ *23* ნოემბერს „გამოეხმაურა“ მოსკოვიდან მიღებულმა ცნობამ. „რეიტერის“ და „ფრანს პრესის“ საგენტოები იტყობინებოდენ: „სსრკ: *7* მოკლული თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდის დროს“–სათაურის ქვეშ ნათქვამი იყო: „*7* კაცი მოკვდა სროლის შემდეგ, საბჭოთა თვითმფრინავის ბორტზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის გზიდან გადახვევა და თურქეთში გასვლა სცადა *8* საჰაერო მეკობრემ. მეკობრეებმა თვითმფრინავი ხელში ჩაიგდეს თბილისიდან აფრენის ცოტა ხნის შემდეგ, ბათუმის მიმართულებით, შავი ზღვის სანაპიროზე. სროლამ იფეთქა მაშინ, როცა მეკობრეებმა შეამჩნიეს, რომ პილოტმა ისინი მოატყუა: თურქეთის მაგივრად უკან, თბილისში მოიყვანა თვითმფრინავი. მოკლულია ეკიპაჟის *3* წევრი, *3* მგზავრი და *1* მეკობრე. ფიქრობენ, რომ მეკობრემ თავი მოიკლა მას შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ ჯეელაფერი ჩაიშალა.

საქართველოს ტელეხედვამ ვიკენდის დროს ძალიან მოკლედ გამოაცხადა თვითმფრინავის გადახვევის ცდის ამბავი და ახსენა მხოლოდ რამდენიმე კაცის დაჭრა.

ისინი(შეთქმულები) აეროდრომზე მივიდენ ქორწილის შემდეგ და ნეფე-დედოფალი მათთან ერთად ავიდა თვითმფრინავზე. შვიდი გადარჩენილი მათთაგანი დაპატიმრებული არიანო", ნათქვამია ამ ცნობაში. ამის შემდეგ წერილი მოაგონებს მკითხველებს, რომ საბჭოთა კავშირში დღემდე ცნობილია *14* საჰაერო მეკობრეობის შემთხვევაო, რომელთა დროსაც, არაზუსტი ცნობებით, *14* კაცი იყო მოკლული და მრავალი დაჭრილიო.(„ლე მონდ" *23.11.1983*)

3 დღის შემდეგ იგივე გაზეთმა შემდეგნაირად დააზუსტა ზემოდ მოტანილი ცნობა: „თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდა თბილისში" სათაურს მოსდევს ქვესათაური „საჰაერო მეკობრენი საქართველოს კარგ საზოგადოებას ეკუთვნოდენ", რომლის შემდეგ ვკითხულობთ: „ზოგიერთი დეტალი იწყებს თავის გამოჩენას თბილისსა და ბათუმს შორის *18-19* ნოემბრის ღამით „აეროფლოტის" თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდის და საჰაერო მეკობრეების შესახებ(იხ. „ლე მონდ" *23.11.83*) *6* ვაჟი და *3* ქალიშვილი, *20* წლის ასაკისანი, ჯელა ეკუთვნის ქართველების „კარგ საზოგადოებას". პოლიციის კონტროლი რომ თავიდან აეცდინათ, რასაც ჩვეულებრივად ადგილი აქვს თვითმფრინავში ჩაჯდომის დროს, მათ ქორწილი მოაწყეს. ასეთ შემთხვევაში, საქართველოში უფრო მეტად ვიდრე სხვაგან, ადგილი აქვს მხიარულ ღვინის სმას. როცა თვითმფრინავის გზიდა გადახვევა დაიწყო, პილოტი ვითომ დაემორჩილა მეკობრეთა მუქარას და მათ მოსაჩვენებლად თვითმფრინავი ვითომ თურქეთისაკენ მიმართა, როგორც ამას მეკობრენი მოითხოვდენ; ამით მან დრო მოიგო, თბილისის საკონტროლო კოშკს დაუკავშირდა. მანამ სანამ თვითმფრინავი საქართვე-

ლოს ჰაერში დაფრინავდა და უკან, თბილისის აეროდრომზე დაბრუნდებოდა, მოსკოვიდან ჩამოფრინდა საჰაერო მოკობრეთა საერთაშორისო ნააღმდეგო სპეციალური კომანდო. თბილისის აეროდრომზე დაფრენისას საჰაერო მეკობრეებმა შეამჩნიეს, რომ ისინი მოტყუებულნი არიან. ამ მომენტში ატყდა სროლა (თუ ვინ დაიწყო გამოურკვეველია), რის შედეგადაც მოკვდა: პილოტი, ბორტგამყოლი ქალი, 4 თუ 5 მგზავრი და 1 თუ 2 მეკობრე. ერთ-ერთმა მეკობრეთაგანმა თითქოს თავი მოიკლა. დანარჩენებს სიკვდილის სასჯელი ემუქრებათ." აქ თავდება ცნობა, რომელიც ეხება 18 ნოემბერს, საქართველოში თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ტრაგიკულ ცდას. შემდეგ კი ნათქვამია, რომ ამ ამბავს შეიძლება პოლიტიკური გაგრძელება დაურჩეს, ანდროპოვმა შეიძლება ის გამოიყენოს შევარდნაძის წინააღმდეგ, რადგანაც ეს უკანასკნელი ბრეჟნევის კაცია და არა მისი, ანდროპოვისაო.

ამის გარდა საფრანგეთის, და, რამდენადაც ვიცით, არც სხვა თავისუფალ ქვეყნის, ყოველდღიურ პრესას არაფერი უცნობებია მკითხველებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ტრაგიკული ამბის შესახებ. როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლებას სურდა, სწორედ ისე საყოველთაო უყურადღებობაში ჩაიარა ასეთმა დიდმნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ტრაგედიამ. არავის არ უძებნია გაეგო, სიმართლე, თუ როგორ, რანაირად, რა პირობებში მოხდა ის და ან თუ ვინაა მისი მიზეზი და პასუხისმგებელი. წარმოიდგინეთ ერთი წუთით, რომ იგივე ამბავი მომხდარიყო ცენტრალურ ევროპის ქვეყნებში, ანდა თუ გნებავთ იგივე საბჭოთა კავშირში, მაგრამ ე. წ. „საჰაერო პირატები" ებრაელები ყოფილიყვნენ და არა ქართველები? სიმძიმეთა სხვადასხვა საზომი? ამან არ შეიძლება ქართველები არ ჩაგვაფიქროს!!!

არა, არ გვმართებს მთლად გულის გატეხა. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ერთი ფრანგი ჟურნალისტი, ბატონი **პიერ სებასტიანი**, რომელმაც სირცხვილისაგან იხსნა დასავლეთის ჟურნალისტთა კორპორაცია. მან დიდი რისკი გასწია. საქართველოში იმოგზაურა გასული წლის 18 ნოემბრის საჰაერო ტრაგედიის საიდუმლოების გამოსაძიებლად და თავისი ძიების შედეგები გამოაქვეყნა ყოველთვიურ „ა კ ტ უ ე ლ"-ის მარტის ნომერში. მკითხველი კრიტიკულად უნდა მოეკიდოს ბ. პიერ სებასტიანის მოთხრობასაც. არც ის შეიძლება დაზღვეული იყოს უნებურ შეცდომებისაგან და ისიცაა შესაძლებელი, რომ სუკ-ის აგენტებმა მოხერხებულად ზოგიერთი ისეთი ამბებიც ჩააგონეს, რომელთა გახმიანებაც მათ აინტერესებდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავათ ამ გაფრთხილებისა, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მას იცნობდენ ჩვენი მკითხველები. იგი ერთადერთი ვრცელი და ფასეულ-ბუთებული, მიუდგომელი უცხოელის მიერ ნარკვევი მოთხრობაა. ამიტომაც ჩვენ ის მთლიანად ვთარგმნეთ და მცირე შემოკლების გარდა ვთავაზობთ მკითხველებს. შემოკლება ეხება მხოლოდ იმ ადგილებს, რომლებსაც კავშირი არ აქვთ თვითმფრინავის გადახრის ცდის ტრაგედიასთან.

მ. გ.

*** *** ***

სისხლიანი საქორწილო მოგზაურობა სტალინის ქვეყანაში





მ ა თ წინადღეს იქორწილეს. ისინი იყვნენ საბჭოთა საქართველოს ბურჟუაზიის განებივრებული შვილები. როგორც სიგიჟე, მათ უეცრად მოუვიდათ თავში: გაშორდნენ აქაურობას, როგორც არ უნდა იქნეს, დატოვონ ს.ს.რ. კავშირი. მათ მეგობრებთან ერთად მათ გადაახვევინეს თვითმფრინავს, რომ თურქე-

თში გაქცეულიყვნენ. „ტუპოლევში“ ისინი ჯერ კიდევ შამპანიურს შეექცეოდნენ... საბჭოთა პრესასა არაფერი უთქვამს გარდა „ცოტა ჯის სამი მოკლული წევრისა, რომლებიც გმირებად იყვნენ გამოცხადებული. არც ერთი სიტყვა მეკობრეებზე! რა მოხდა ნამდვილად თბილისში *1983* წლის *18* ნოემბერს? **პიერ სებასტიანმა** ის გამოარკვია.

1983 **წლის** *17* **ნოემბერს, ხუთშაბათ-დღეს,** ქართული ინტელიგენციის ორი ახალგაზრდა ქორწილობს. ქორწინების სასახლედან, რომელიც იაფფასიან რკინა-ბეტონის სახლებითაა გარშემორტყმული, მათ გადაინაცვლეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რომელიც ძველ ქალაქშია მიმალული; საღამო კი დამთავრდა ქალაქის ერთ ყველაზე დიდ რესტორანში, სადაც თავი მოიყარა *200*-ზე მეტმა მონადიმემ; საპატიო მაგიდას ნეფე დედოფალთან ერთად უსხდენ ჯვარისწერის მოწმეები და უახლოესი მეგობრები. არავის მაშინ არ შეეძლო ეფიქრა, რომ მესამე დღეს მთელი ქალაქი მათზე ილაპარაკებდა: ზოგისთვის ისინი იქნებოდნენ გმირები, ხოლო ზოგისთვის კი ტალახსა და სიბინძურეში სათრევლები.

პარასკევს, *18* ნოემბერს, ქორწილის მეორე დღეს, მცირე წაძინების შემდეგ, ნაბახურევი ნეფე-დედოფალი და მათი უახლოესი მეგობრები აგრძელებენ ზეიმს, მათ ჩამოიარეს ახლო-მახლო ეკლესიები და საღამოს თავი მოიყარეს საქართველოს ერთ გამოქვაბულ მონასტერში, სადაც წინად მათ ჩვეულებად ჰქონდათ ერთმანეთს შეხვედროდნენ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ. შესაძლებელია, რომ მათი ეს გიჟური გეგმაც სწორედ აქ იქნა ჩაფიქრებული. აქედან იწყება მათი ავანტიურა!

მე ვიცი, რომ ისინი, ცხრავე, აეროდრომზე მივიდნენ დაახლოებით *18* საათზე. დედოფალს ხელში ეჭირა დედამიწის გლობუსი, სხვას შამპანიურის ბოთლი, ერთსაც პატარა ჩემოდანი, რომელშიც ჩაწყობილი იყო რამდენიმე რევოლვერი და ცრემლმდენი ყუმბარები და, რომ ისინი აეროდრომში შევიდნენ როგორც მოქეიფეები. მათ ირგვლივ განაცხადეს, რომ მიდიან საქორწინო მოგზაურობაში და იღებენ *9* ბილეთს ბათუმამდე. ცოტა ხნის შემდეგ ისინი თხოვენ მათ მეგობარ აეროდრომის ერთ მოსამსახურე ქალიშვილს, რომ მათი ჩემოდანი თვითმფრინავის ბორტზე შეიტანოს, როგორც დიპლომატიური, რათა ის მეტალის დეტექტორს ააცდინოს; მეგობარი ქალი თანხმდება და ცოტა ხნის შემდეგ ყველა თვითმფრინავშია ჩემოდანთან ერთად.

აფრენიდან ნახევარი საათის შემდეგ, ოთხი მათგანი რევოლვერებით შეიარაღებული მიემართება პილოტის კაბინისაკენ, პილოტსა და მის თანაშემწეს ისინი იარაღით ემუქრებიან და უბრძანებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართოს თვითმფრინავი ანკარისაკენ, თურქეთში. ამ დროს, პილოტის თანაშემწე იძრობს რევოლვერს, მაგრამ ერთ-ერთ მეკობრეთაგანი დაასწრებს და კლავს მას.

მუქარის ქვეშ პილოტი თანხმდება მიმართოს თვითმფრინავის ფრენა თურქეთისაკენ. ფრენა №*6833*, *ტუპოლევი-134*, რომელშიც *60*-მდე მგზავრი იმყოფებოდა, მიემგზავრებოდა ლენინგრადში და მისი პირველი ესკალი იყო ბათუმი, რაც სულ ორი ათას კილომეტრს წარმოადგენს; ანკარა კი დაშორებულია ათას კილომეტრით.

მათი გიჟური გეგმა შეიძლება განხორციელდეს. ისინი მარტო არ არიან, რომლებიც ამას ოცნებობენ. ათ წელიწადში სსრკ-ში ცნობილია *14* თვითმფრინავის გატაცების ცდა, რომელთა შორის სულ ცოტა ორმა მიზანს მიაღწია. ერთი კაცი თავის შვილთან ერთად თურქეთში დაფრინდა და ამჟამად იმყოფებიან შეერთებულ შტატებში. ორი სხვა *3* წლისა და *4* თვის პატიმრობას იხდის თურქეთის საპატიმროში.

საჭიროა სროლით შეშინებული მგზავრების დაშოშმინება. ერთი მეკობრეთაგანი ხელში იღებს მიკროს და მარტავს, რომ თვითმფრინავის გზიდან გადახვევის მიზანია მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან თურქეთში გასვლა, სხვებს გამოაქვთ და ხსნიან უკანასკნელ ბოთლ შამპანიურს, ჯელა ცდილობს დაჭიმული მდგომარეობის დამშვიდებას. ზოგიერთი მგზავრი მზად იყო ესარგებლა შემთხვევით, რომ ისიც დარჩენილიყო თურქეთში, მეორენი ღელავდნენ და მესამენი კი არაფერს ამბობდენ. ამ დროის განმავლობაში...პილოტმა, რომელიც მეკობრეებმა მიივწყეს მის კაბინაში, დრო არ დაკარგა, ისარგებლა ერთი მომენტის უყურადღებლობით, რომ ჩაკეტილიყო და ვინაიდან თავს უშიშროებაში გრძნობდა, აღარ უყოყმანია მდგომარეობა ეცნობებია თბილისის აეროდრომის საკონტროლო კოშკისათვის. აეროგარის უფროსი გააღვიძეს და ალბათ იმან დაურეკა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს **ედუარდ შევარდნაძეს**. ამ მომენტიდან ეს უკანასკნელი იღებს ხელში საქმის ხელმძღვანელობას.

შევარდნაძე ატყობინებს მოსკოვს, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს ზომებს. სარეკორდო დროში ერთ ათეულ სპეციალურ მეკობრეთა საწინააღმდეგო კბილებამდე შეიარაღებულ კომანდოს ათავსებენ უსწრაფეს თვითმფრინავში, რომელიც ერთ საათში თბილისის აეროდრომზეა.

მას შემდეგ, რაც, მეკობრეთა შეუმჩნევლად, პილოტმა თვითმფრინავი საქართველოს ჰაერში ატრიალა, მან იგი *22* საათზე უკან დააბრუნა თბილისის აეროდრომზე ისე, როგორც ეს მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრძანეს თბილისის აეროდრომის კომკიდან. აეროპორტი ალყა-შემორტყმულია; შეიარაღებული ხალხი გუშაგობს ყველ ადგილ-ში; სამხედრო ავტომობილები ნელ-ნელა უახლოვდებიან თვითმფ-რინავს. გრძელი ლოდინი მხოლოდ იწყება.

საჰაერო მეკობრენი მოითხოვენ რეზერვუარების გავსებას ნავ-თით; ისინი იმედოვნებენ, რომ ხელახლად შეძლებენ გაფრენას. თუ მათი მოთხოვნა არ შეასრულეს, ისინი იმუქრებიან, რომ დახო-ცავენ ეკიპაჟის წევრებს. რამდენიმე საათის შემდეგ, ღილის *3* საათზე, თვითმფრინავს უახლოვდება ერთი ავტო-ცისტერნა; ტუმბო მოქმედობს, მაგრამ ის გავსების მაგივრად სრულებით ცლის მის რეზერვუარს; მეკობრეებმა მხოლოდ ცეცხლი დაინახეს; ისინი მოითხოვენ, რომ გაანთავისუფლონ პისტი და, რომ დაიწყონ აფრენა. კიდევ ორი საათის ლოდინი. ერთი მეკობრეთაგანი გაემართება თვი-თმფრინავის ბოლოსაკენ და ტფიას დაიხლის თავში; ისაა **დავითი**, ის ვინც მოჰკლა მეორე პილოტი: მან დაჰკარგა იმედი ოპერაციის წარმატებისა.

ტუპოლევს ნელ-ნელად უახლოვდება ორი თვითმფრინავი, რომლებიც ისე ხმაურობენ, რომ შეუძლებელია ატანა; თვითმფრინავში მყოფნი პანიკაში ვარდებიან; ამით სარგებლობს მოსკოვის კომანდა და ბა-რგის შესანახის კარით შეიჭრება თვითმფრინავის ბორტზე. თვითმ-ფრინავში ატეხილ წივილ-კივილს ფარავს თვითმფრინავების მოტო-რების ბზუილი. ალბათ სწორედ ამ დროს ერთ-ერთი მგზავრი ვე-ღარ იტანს ასეთ ხმაურს და გული უსკდება.

შაბათი, *19* ნოემბრის ღილის *6* საათია, მოსკოვის კომანდა რომ შეიჭრება თვითმფრინავის საკანში, სადაც ჯეილაა თავშეყრილი: მგზავრები, რა თქმა უნდა, მაგრამ აგრეთვე პილოტი, ბორტ-გამყო-ლი და მეკობრეები. მე ვიცი, რომ კომანდომ ცეცხლი გახსნა გა-ნურჩევლად ბრბოში ჯიქურად. *3* საჰაერო მეკობრე დაეცემა მკვ-დარი, მაგრამ მათთან ერთად ბოლოტი და ბორტ-გამყოლიც. ერთი მეკობრე ისვრის ცრემლსადენ ბომბს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საყოველთაო პანიკას. ტფიები ყოველმხრივ წუიან და ჭრიან ბევრ მგზავრებს. სარკმელები იმსხვრევიან. სროლა გრძელდება მხოლოდ რამდენიმე წამი, რომლის დროსაც ადგილი აქვს ნამდვილ ხოცვა-ჟლეტას...სულ ცოტა *6* კაცია მკვდარი: *2* მეკობრე, *1* მგზავრი, *3* ეკიპაჟის წევრი და *15*-ამდე დაჭრილი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კომანდო აღებს დამხმარე კარებს, სა-იდანაც ერეკებიან მგზავრებს. იგი ძალიან მაღლაა და იქიდან გადმოყრილი ხალხი კიდურებს და თავ-პირს იმტვრევს. დაბლა, მიწა-ზე მათ პოლიციელები აგროვებენ და უხეშად პატიმრებენ, ზოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მგზავრი ორ თვეს ყავთ ჩაკეტილი, რათა მათ ყოველგვარი სურვილი ლაპარაკის დაუკარგონ.

ადვილი არ არის აღადგინო ყველა დეტალი იმ *12* საათისა, რომლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ტრაგიკულ გზიდან გადახვევის ამბავს! ცხადია, რომ გაზეთ „ლე მონდ"-ში და „ლიბერაციონ"-ში გამოქვეყნებული მცირე ცნობები არ იკმარებდენ ისეთი დიდი ამბის დეტალურად გადმოსაცემად, რისი მსგავსი ევროპაში, ამერიკაში და თვით აფრიკაშიც კი რომ მომხდარიყო დაიკავებდა ჩვენი დიდი ყოველდღიური გაზეთების პირველ გვერდებს, რადიო-ტელევიზიებზე და ეურნალებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

აქ კი ირგვლივ სუფევდა მისტერიულობა და სიჩუმე. არავის არ დაუსვამს სულ ელემენტარული კითხვებიც კი: ვინ იყვნენ ეს გიჟი ახალგაზრდები? მდიდარი ქართული ინტელიგენციის შვილები, ვკითხულობთ „ლე მონდ"-ში. თანახმა ვარ! მაგრამ მაშინ როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდები, რომლებიც კარგად ცხოვრობენ და განათლებული არიან, ასე უგულებელყოფენ სიკვდილს? რა ჰქონდათ თავში? იცოდნენ რასაც აკეთებდნენ? და ბოლოს, იყო ის უეცარი გადაწყვეტილების, თუ ხანგრძლივი მოფიქრების შედეგი? როგორ შეიძინეს იარაღი? რისთვის მოახდინეს საბოლოოდ ასეთი ხოცა-ჟლეტვა და რა დაემართა მათ ვინც ცოცხლები გადარჩნენ?

მე დაველოდე ერთ ხანს, დავრეკე მარჯვნივ და მარცხნივ, ვიმედოდი, რომ ახალი ამბების საგაზეთოები ან გადმოხვეწილები მოიტანდნენ თუნდაც დასაწყისს პასუხებისას. ერთი თვის შემდეგ მუდამ არაფერი. მაშინ მე გავემგზავრე საქართველოში ჯელა ამ კითხვებით შეპყრობილმა. მე მხოლოდ ერთი კავშირი გამაჩნდა სახელისა და ტელეფონის ნომრის სახით, რომელიც დაჩხაპნილი იყო ქაღალდის ნაგლეჯზე და გულმოდგინედ ჩაკეცილი ჩემს საქაღალდეში: „**შოთა, 99...თბილისი.**"

1984 წლის იანვარი. *14* მგზავრი საფრანგეთის საჰაეროს **ბოინგ 727**-ში მოსკოვისაკენ მიფრინავს. „ლე მონდ"-ის ახალი კორესპონდენტის მეუღლე, ექვსიოდე იაპონელი, სამი თუ ოთხი საქმოსანი კარგად ჩაგალსტუკებულები და ორი საბჭოელი „შაპკით." *14* მგზავრი მოსკოვის ცარიელ, ბნელ და გაყინულ აეროდრომზე, რომელთაც აცილებენ ექვსიოდე ფორმიანი მილიციონერის ცქერა. ერთი შოფერი მიცდის გარედ. ცივა: მინუს ოცი გრადუსი ყინვაა. ორი დღე ვრჩები მოსკოვის თბილ და ნოტიო სახალხო კანტინებში, სადაც სვამენ ადუღებულ ჩაის, მაგრამ უგემურს, რომელსაც აყოლებენ ერთ საინ წებოვან ბრინჯს მარილიანი რძით, რომლის ზედაპირზე ცურავს რაღაც მოყითალო ნიშანი ზეთის. კანტინები მუდამ სავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეა ხალხით, რაც თავისთავად ბევრს მეტყველებს მოსკოველ ჯამა-სმაზე.

სიცივის მიუხედავად, მე მაინც შევძელი მესაუბრა და ცნობები შემეკრიბა თბილისის ტრაგიკულ შემთხვევაზე: მოსკოვის ტელევიზიამ აჩვენა ეკიპაჟის 3 წევრის: პილოტის, თანაპილოტის და ბორტ-გამყოლის დაკრძალვა. ისინი განისვენებენ თბილისის აეროპორტის პირდაპირ. კომენტატორმა მხოლოდ მოიხსენია საჰაერო გადახვევის ცდის შემთხვევა და არ მოუცია არავითარი სხვა ახსნა-განმარტება. გავიგე აგრეთვე, რომ ქართულმა პრესამ და შემდეგ მოსკოვისამ გამოაქვეყნეს ერთი სტატია, შემთხვევიდან ერთი პატარა კვირის შემდეგ, რომელშიც ეკიპაჟის სამი წევრის დაღუპვის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ეს მოხდა „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროსაო.“ ეს ორი სტატია იძლევა ცნობას აგრეთვე, რომ იმავე დროს დაიღუპა ორი მგზავრი. სხვა არავითარი ახსნა-განმარტება ამ ხუთი ადამიანის დაღუპვის მიზეზის შესახებ. არც ერთ შემთხვევაში არ ლაპარაკობენ არც დაღუპულ მეკობრეებზედ და არც დაჭრილ მგზავრებზე. ჩვეულებრივი სამძიმრის შემდეგ მაღალ-ფარდოვანი დასკვნა: „მხურვალე ხსოვნა სამი მამაცი და საბჭოთა დედა-სამშობლოს ჭეშმარიტ პატრიოტების სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში“-ო. ხელს აწერს: „ამხანაგთა ჯგუფი.“

საბჭოთა პრესა კიდევ უფრო ნაკლებად ენაწყლიანია ჩვენსაზე. ჩანს, რომ მათაც არ აქვთ დიდი სურვილი ილაპარაკონ მომხდარ ინციდენტზედ. საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის მინისტრს ჯერ არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება მომხდარ შემთხვევაზე. ის მას არ უარყოფს, მაგრამ არც აკიაფერს იტყობინება.

ერთი უზომოდ მთვრალი კაცი ჩემს წინ ბარბაცობს და მერე მოწყენილად ვარდება მიწაზე გაშეშებული. ისმის მისი თავის ჯინულზე დახლის ხმა და მისი ორი ხელი რჩება დრამატიულად გაშვერილი ცისკენ. არავინ არ ცდილობს მის წამოყენებას. მე ვერ ვბედავ, მეშინია შარში არ გავება. გამვლელ მილიციას გაა-ქვს საერთო უყურადღებობაში.

ვყოდულობ „ლიუმანიტეს“(საფრანგეთის კომპარტიის ორგანო. მთარგმნელისაგან), ერთადერთ გაზეთს, რომლის შოვნაც შეიძლება მოსკოვში. ხვალ საქართველოში ვიქნები, თურმე იქ გაცილებით უფრო თბილა.

თბილისში მიმავალ „აეროფლოტის“ თვითმფრინავში მე ვარ ერთადერთი უცხოელი. უცნაური შეგრძნობა მეუფლება: ყველა შენ გიჭვრეტს, განსაკუთრებით, როცა თვითმფრინავში ყველაზე წინ ზიხარ, ბორტ-გამყოლის გვერდით, რომელიც განსაკუთრებულად

ემსახურება ბატონ უცხოელს.

საქართველო ერთი პატარა რესპუბლიკაა სსრკ-ს, 5 მილ. მცხოვ-
რებით. ის იმყოფება საბჭოთა კავშირის უკიდურეს საძრეთში, 2
ათას კილომეტრზე მოსკოვიდან, იმყოფება შავსა და კასპიის ზღ-
ვებს შორის, იგივე პარალელზე, როგორც ბარსელონი, რომი, სტამ-
ბოლი. იგი საზღვარია აღმოსავლეთის. ისევე როგორც სომხეთი მი-
სი მეზობელი, ისიც წარმოადგენს მართლმადიდებლურ ქრისტიანიზმს,
რომელიც სოლივითაა შეჭრილი მუსულმანურ აღმოსავლეთში. თასსწლო-
ვანი ცივილიზაცია, დაპყრობილი ხან სპარსელების და ხან თურქები-
საგან, ქართველმა ხალხმა შეძლო მიუხედავად ყველაფრისა შეენარჩუ-
ნებია საკუთარი კულტურული პირადობა მუსულმანური გავლენისაგან.
სწორედ 200 წელია, საქართველოს უკანასკნელმა ნამდვილმა მეფემ—
ერეკლემ მიმართა რუსეთის ცარს მფარველობისათვის ისე, რომ
მას უნდა შენარჩუნებოდა ხელისუფლება და დამოუკიდებლობა. რა-
ღაც ათიოდე წლის შემდეგ ერთმა თოჯინა-მეფემ ვეღარ გაუძლო
ცარიზმის ნება-სურვილს, რომელმაც მოახდინა ქვეყნის პირწმინდად
ანექსია... შემდეგ სტალინმა, ამ თბილისელმა ქართველმა, დაიმორჩი-
ლა საბჭოთა რევოლუცია. ნელ-ნელა საქართველო გადაიქცა ს.ს.რ.კ.-ს
შემადგენელ ნაწილად.

უკვე ვამჩნევ დიდი კავკასიის თოვლიან მწვერვალებს. მის უკან
მიჯუეული საქართველოც ჩნდება, როგორც ქვეყნიერების ბოლო.

ტურისტული ვიზის მისაღებად პარიზში ორი კვირე დამჭირდა სანამ
ყველაფერს მოვაგვარებდი, მაგრამ მე ვიცი, რომ თბილისის აეროპორ-
ტზე შოფერი მელოდება, ჩემი ოთახიც დაკავებულია და ჩემი სახელი
და გვარი ჩაწერილია ყველა ნუსხებში.

თბილისის აეროპორტი. ბივდივარ მომხდარ ავანტიურის ადგილას.
მე დაუყოვნებლივ იზოლიაციაში ვარ და მაცილებს „ინტურისტის"
მოსამსახურე ქალი. ვტოვებ პატარა აეროპორტს და გავდივარ სტა-
ლინური სტილის ძველ შენობას. აეროპორტი ტრიალ მინდორზეა,
სრულიად განცალკევებული. აქა-იქ უნიფორმიანი სილუეტები ძლივს
ჩანან ნოტიო ნისლის გამო. მგზავრების კოლონა ნელად დაიძრა ავ-
ტობუსების გაჩერებისაკენ. როგორც გათვალისწინებული იყო, შოფერი
მელოდება.

საჰაერო სადგურის პირდაპირ ლენინის უზარმაზარი სურათია ჩარ-
ჭობილი გაზონში, რომელიც გარშემორტყმულია ახლად გასხებილი ღო-
ბით. „კეთილი მობრძანება საბჭოთა საქართველოში!". რა თქმა უნდა,
აღარავითარი ნიშანი აღარაა თვითმფრინავის გატაცების. ამაოდ ვე-
ძებ ეკიპაჟის სამი წევრის საფლავს. შეუძლებელია მათი ნახვა! მე
ხომ არ შემიძლია შოფერს ვუთხრა დამელოდოს მანამ, სანამ მე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2/1565

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ვეძებ?

აგერ სასტუმრო „ივერია“, ბეტონისა და ჭიქის კოშკი, ლამაზი ქალაქის შუაგულშია ჩარგული. ჩემი ოთახი მე-15-ე სართულზეა. გათბობა არაა; ფანავს საშინლად; ტელევიზორი ხრიწინებს; რადიო არ მუშაობს; ელნათურები ჯელა გადამწვარია, გარდა ერთისა ჭერში, რომელიც მკრთალად ანათებს; მისაღებში არ იშოვება არც ქალაქის გეგმა და არც ტელეფონის წიგნები; აჰ, ბედათ ერთი ტელეფონი მაინცაა! საფულედან ვიღებ და ვშლი ქაღალდს, რომელზედაც ჩემი კავშირის ტელეფონის ნომერი მიწერია, ეურეკავ **შოთას**, რომ შეხვედრა დავუნიშნო. ვიღებ ყურმილს, ჯერ ვკრეფ **9**-ს. ჯელაფერი რიგზე ჩანს. შემდეგ კი ვკრეფ ჩემს ნომრებს. ველოდები. ზარის ხმა ხელახლად ბრუნდება თითქოს არ ამეკრიფოს ნომრები. ხელახლად სამჯერ ვიმეორებ ოპერაციას. არავითარ შიში. აჰ, საუცხოოა! რეკავს. ხსნის ყურმილს: ალო! შოთა? ვიღაც ქალი მპასუხობს ინგლისურად: „არა, აქ შოთა არ არის, ვინ ბრძანდებით თქვენ?“ —მე ეს—ეს არი ჩამოვედი. —„რის გასაკეთებლად მოხვედით?“ —შვებულებაში გახლავართ. რატომ? —„იცნობთ თქვენ პარიზს?“ შთაბეჭდილება მექმნება, რომ აქ ჩემს დაკითხვას აწარმოებენ. ცხადია, მე არ ვარ შოთასთან. პანიკა მეუფლება. ყურმილს ვკიდებ. ნომრებს ხელახლა ვკრეფ: იგივე საუბარი, მაგრამ ამჯერად ფრანგულად. აი! ჩემმა თანამოსაუბრეებმა, როგორც ჩანს, იციან ვინაა შოთა. იქნება უბრალოდ საქმე ეხება სასტუმროს მოჯურადე მაგიდას? შევინარჩუნოთ სიმშვიდე! ბოლოს და ბოლოს მე მხოლოდ სახელი ვახსენე...მხოლოდ, მე ამის მეტს ხელს აღარ ვახლებ ამ ტელეფონს. მე მას კიდევაც გამოვთიშავ, როგორც ეს მირჩია ერთმა მოსკოველმა მეგობარმა. ჩანს, რომ ასეთია ჩვეულება ამ ქვეყანაში. მისი მიხედვით, ტელეფონის აპარატი საუცხოო ადგილია მიკროს დასამალად. ცრუმორწმუნეობა? შეიძლება. აწი სულ უბრალოდ ქალაქის ტელეფონებით ვისარგებლებ. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ თითქოს ვიძირები ამყრალებულ ნახარშში, საიდანაც გამოსვლას ვეღარ ვახერხებ...

ვიაზროვნოთ! რას ვიზამდი საფრანგეთში ასეთ მდგომარეობაში? წავიდოდი და ვიჩივლებდი დირექციაში. წავიდეთ! ძირა სართული. სად არის ინტერესტის დასახლისი? აი, აგერ ერთი ქალი. მივმართავ გადაჭრით: მომისმინეთ ქალბატონო! საკმარისად ძვირს ვიხდი ამ ოთახში. პარიზში დამპირდნენ, რომ აქ იქნებოდა ტელეფონი, ტელევიზორი, ჯელაფერი საუცხოო მდგომარეობაში. მოვდივარ ადგილზე და რას ვხედავ: ჯელაფერი გაფუჭებულია, გარდა ერთი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურისა. – ვიცი ბატონო, მაგრამ ამჟამად დაბრკოლებები გვაქვს ჩვენს მომსახურებაში. ის იღებს მეტისმეტად შეწუხებულ სახეს.
–ეს ჩემი საქმე არ არის! მოვითხოვ მინიმუმს მაინც!
–გვაპატიეთ, მაგრამ...
–კარგი თანახმა, მსურს, რომ დირექტორს ველაპარაკო!
–ესე იგი...ოჰ, სწორედ ეს მინდოდა თქვენთვის ამეხსნა: ამჟამად ჩვენ არ გვყავს დირექტორი...ნებავთ შეხვედეთ სხვა პასუხისმგებელს? –დირექტორი არ გყავთ?
–ის საჩქაროდ უნდა წასულიყო და ჯერ არავის არ შეუცვლია. გთხოვთ გვაპატიოთ ბატონო. ჩვენ ფელაფერს ვიზამთ მომავალ დღეებში, ამბობს მოსამსახურე ქალი.

ეს უცნაურია მეტად! რა მოუვიდა თბილისის ინტურისტის დირექტორს? საღამოს გადავწყიტე დავრჩე სასტუმროში და ვჭამო რესტორანში. ჰამის დამთავრებისას მოსამსახურე მოდის და ჩამოჯდება სასაუბროდ. მოსკოვში მითხრეს, რომ ქართველები მხურვალე ხალხიაო. ვილაპეთ სხვადასხვა რამეზე. საფრანგეთზე, პარიზზე. საუბრის ერთ მომენტში, მან მიათვალ-მოათვალიერა ირგვლივ, დაიხარა ჩემსკენ და მთხოვა, როგორც ეს ზოგიერთ ანტისაბჭოურ ფილმშია: „ხომ არ გაქვს ჯინსები, მაგნეტო, ანდა დოლარები? იცი, აქ არაფერი არ იშოვება და საჭიროა როგორმე გავახერხოთ, როგორც კი ეს შეგვიძლია. დოლარებს კარგ ფასად ვიყიდი. თანახმა ხარ?–მე ამას გავაკეთებდი, მაგრამ შეგიძლია ეცადო, რომ მიშოვნო ერთი ნათურა? ვერაფერს ვერ ვხედავ ჩემს ოთახში. ინტურისტს განვუცხადე, მაგრამ მათ მიპასუხეს, რომ მათ დაბრკოლებები აქვთ დირექციასთან. როგორც ეტყობა დირექტორი აღარ უნდა იყოს. მოუვიდა რამე? გარდაიცვალა?
–არა, სრულიადაც არა! ის კი არა, მისი ახალგაზრდა ვაჟი, მომავალი არქიტექტორი გარდაიცვალა, აგერ ორი თვე იქნება, ჰოდა, დირექტორი ვალდებული იყო წასულიყო.
–ოჰ, ძალიან ვწუხვარ!
–მაშ, რა, შეგიძლია მომყიდო? პირობას გაძლევ შენს ნათურას გამოვაცვლევინებ.
–ჯინსი...გაწყობს? მე მას გაძლევ.
–ოკე! ხვალ გექნება სინათლე შენს ოთახში. შეხვედრა ამავე დროს აქ და შენ მომცემ ჯინსს.“ ვაჭრობის დამთავრებისთანავე ის გაიძურწა როგორც ქურდი.

ვაჟი მოუკვდა ორი თვის წინად? იქნება ის იყო ერთი იმ ცხრა მეკობრეთაგანი, რომლებმაც თვითმფრინავის გადახვევა მოაწყეს? ფელაფერი ემთხვევა: ახალგაზრდა, ინტელიგენტი, დიდი თანამდე-

ბობის კაცის შვილი, მამა უეცრად ჰკარგავს სამსახურს — ბანკ-რთლა ავადდა, ანდა ადმინისტრატიული დასჯაა. ის, რომ ავად ყოფილიყო არ მეტყოდენ, რომ დირექტორი აღარ ჰყავთ. მეორე ჰიპოთეზა უფრო მისაღებია. ამ დასკვნით გაამაჯბუღმა გადავწყვიტე ქალაქში გავისეირნო.

ერთი ჯგუფი შავპარკებიან კაცების ისევ დგანან სასტუმროს შესასვლელში, მათი რიცხვი 3-დან 10-ამდე ცვალებადობს. მათ შორის ერთი ან ორი შეიძლება ტაქსის შოფერი იყოს, მაგრამ არა ყველა, რომელთაც ყელი სულ სხვარამეზე დაფიქრებული სახეები აქვთ. მათი დანახვა დაჭიმულობას იწვევს. ისინი ძალიან ჰგვანან იმ სახეებს, როგორებადაც წარმოგვიდგენია კ.გ.ბ.-ის აგენტები. როცა მათ ვხვდები არ შემიძლია პარანოიდული აზრი არ მომივიდეს თავში და არ გამაკრეოლოს. მე მათ მორცხვად ვეუბნები: საღამო მშვიდ ობისათ. ისინიც მიპასუხებენ: „ბონ სუარ.“

ღამის ათი საათია. ქუჩები უკვე ცარიელია. ბაჰ! საქართველოს დედაქალაქისათვის, ქალაქი, რომელიც ერთ მილიონზე მეტ მცხოვრებს ითვლის!!!

თბილისი გაშენებულია 30 კმ. სიგრძეზე, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე. მტკვარი სათავეს იღებს თურქეთში. ძველი თვალწარმტაცი ქალაქი მდებარეობს ცენტრის განაპირას, თავისი ვიწრო მოკირწყლული ქუჩებით, რომელიც ობობას ქსელს წააგავს. ქვის ეკლესიები ზოგიერთი მე-12-ე საუკუნისა ენათესავებიან ბიზანტიურ სტილს, კრემლის სამრეკლოებს და მოსკოვის ტაძრებს. მაგრამ, როგორც კი გაშორდებით ერთი ან ორი კილომეტრით შედიხართ გაუთავებელ „HL M“-ების უბნებში. რაც უფრო ისინი შორს არიან ცენტრიდან, იმდენად ისინი უფრო ჭუჭყიანებია, რადგანაც ისინი უფრო ახლოს არიან ინდუსტრიის ცენტრებთან.

რუსთაველის ქუჩა, ძველი ქალაქის ყელაზე მნიშვნელოვანი ქუჩა, სასეირნო და შეხვედრების ადგილია. შუაგულ დღეში ეს ქუჩა დაფარულია უძრავი ხალხით. იმის მაგვრად, რომ ცარიელ ვიტრინებს უცქირონ, მოსეირნენი აარჩევენ გაჩერდონ ტროტუარზე და დაელოდონ ვინმე ნაცნობის გავლას. ერთ გორაზე, ქალაქის ცენტრის ზემოდ, მთავრობამ ახლახან ააშენა თავისი სასახლე. ეს საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი სისუსტეა: მას უფარს ქალაქების გეოგრაფიულად დაპყრობა. ასევეა პრაღაში და მოსკოვში.

რუსთველის ქუჩის ბოლოში, სასტუმროდან რამდენიმე ასეულ მეტრზე, იმყოფება უნივერსიტეტი. აქ თქვენ შეხვდებით ახალგაზრდობას თბილისისა და საქართველოს სხვა კუთხეებიდან. ისინი

ცხოვრობენ ფანერების ბარაკებში, ქალაქის ბოლოს, რომელიც მავთულხლართებითაა გარშემოვლებული და დღითა და ღამით ფა-ცული. 18 ათასი სტუდენტი განაწილებულია ოციოდე ფაკულტეტ-ზე, მათემატიკიდან დაწყებული საზოგადოებრივ მეცნიერებამდე. მაგრამ, უპირველესად ქართველ ინტელიგენციის შვილებს იზიდ-ავს ლიტერატურის, კინოხელოვნების და კაზმული ხელოვნების აკა-დემია.

მეკობრენი ეკუთვნოდენ საქართველოს რჩეულ საზოგადოებას, ისინი უეჭველად ამ ფაკულტეტებზე სწავლობდენ უშუალოდ, ან დაკავშირებული იყვნენ მათთან. იქ შესაძლებელია ვიპოვო, რასაც მე ვეძებ. დავიწყებ არქიტექტურის ფაკულტეტიდან, რადგანაც ინ-ტურისტის დირექტორის ვაჟი აქ სწავლობდა. იქნება გავიგო რით გარდაიცვალა ეს ახალგაზრდა...

მეორე დღეს მე ხელახლა დავურეკე შოთას, მხოლოდ ამ ჯერად საჯარო კაბინიდან. ოპერაცია ისევე ძნელია როგორც პარიზში. როგორც იქნა ნომერმა მიპასუხა და ეს იყო შოთა. აუფ! შოთამ შეხვედრა დამინიშნა ოპერის ბაღში და დაუმატა: „ასე, ჩვენ წა-ვალთ დავათვალიერებთ ძველ ეკლესიებს.“ რატომ?

მანამდე დავეხეტები არქიტექტურის ფაკულტეტის ბაღში და არ ვკარგავ ჩემს იმედს. მერხიდან მერხამდე, მარლბოროს დარიგები-დან მარლბოროს დარიგებამდე, ეიფელის კოშკის შესახები საუბრი-დან შეერთებული შტატების საკითხებამდე, ოთხი საათის ბოლოს მივაღწიე ჩემი წინათგრძნობის დადასტურებამდე ინტურისტის უფრო-სის ვაჟის შესახებ. მას ერქვა **დავით მიქაბერიძე**, ამთავრებდა მე-ოთხე კურსს, იყო მხოლოდ 22 წლის და ერთი უნიჭიერესთაგანი. მას გააჩნდა დაუჯერებელი მუშაობის უნარი. არქიტექტურით გატა-ცებული, ის მხოლოდ ერთრამეზე ოცნებობდა: ენახა ევროპის და ამერიკის დიდი ქალაქები. ერთგზის მან ცადა იტალიაში წასვლა არქიტექტურის შესასწავლად, მაგრამ უარი უთხრეს მიზეზის დაუ-სახელებლად. ცოტა ხნის შემდეგ ერთი სტუდენტი მატყობინებს მთავარს: „დავით მიქაბერიძე ის მეკობრეა, რომელმაც ესროლა პილოტს და, რომელმაც თავი მოიკლა, როცა მიხვდა, რომ თბილი-სის აეროდრომიდან გაქცევას ვეღარ მოახერხებდა.“

—იცნობთ თქვენ სხვა მეკობრეებს?

—არა, მაგრამ მიქაბერიძე მოწმე იყო სიძის. მე გირჩევთ ნახოთ კინოს ინსტიტუტის ან ხელოვნების აკადემიის მხარეზე, ისინი ხშირად იქ იკრიბებოდნენ. სიძეს ერქვა **გიგა**. ეს მისი ზედმეტი სახელი იყო...“

ჩქარა ვისწავლე მთავარი წესი, რომელიც საშუალებას იძლევა

გამოლაპარაკებისას. თავდაპირველად უნდა გააცალკეო პიროვნება, რადგანაც არავინ არ ლაპარაკობს ასეთ სერიზულ საკითხზე. ბოლ-მის თანდასწრებით. ვჯდები ერთ მერხზედ დაქანცული-ასეთი მუ-თოდით მცირე ჯიღდოსმომცემი ძიებისაგან. ერთი *17 - 18* წლის ბიჭი, თავიდან ვეხებამდე ლურჯ ჯინსში და წაბლისფერი სამი მეოთხედი პალტოთი მოსხმული მოდის ათვალერებს ჩემს მარლ-ბოროს და მთხოვს ერთს. მე მას ვთავაზობ. ის იღებს ჯი-ბიდან ერთ მუჭა მოხალულ მზესუმზირას, მაწვდის და ჯდე-ბა ჩემს გვერდით. ჩვეულებრივი საუბრის შემდეგ მეკითხება: „საიდან მოდიხარ, ბევრი გიმოგზაურია შენ? ბრიკე(ტალკვესი) არ გაქვს რომ მომცე?“ შემდეგ ის მთავაზობს ქალაქში გასე-ირნებას. მე ვთანხმდები, მაგრამ არ ვიცი ნამდვილად თუ რა ჭაობში ჩავეფლობი.

უცნაური პატარა კაცუნაა. არ მოველოდი, რომ ასეთ ტიპს შევხვდებოდი, იგი სრულიად საწინააღმდეგოა ფაკულტეტების სუფთა ტიპებისაგან. დაახლოებით ყველ ათ ნაბიჯზე აფურ-თხებს, ღრიალებს ყველ მილიციონერის დანახვაზე, რუსებს არჩევს მათი ბეწვის ქუდებით და მაშინ ტროტუარზე აგზავ-ნის უშველებელ ფურთხს. ჯიბიდან იღებს გასაშლელ დანას, რომელსაც რამდენიმეჯერ ახმაურებს ყურთან, შემდეგ კი უეცრად ღებულობს სახეს, თითქოს მუცელში უნდა მატაკოს. „რატომ გაქვს შენ ეს დანა?

– არ მიყვარს რუსები, ბოზის შვილები! წავიდენ თავიათ ქვე-ყანაში. შეხედე ამას? ნამდვილი იდიოტის თავი!...

–რატომ გეჯავრებიან შენ ისინი აგრე-რიგად?

–ყველა კაცის მკვლელები არიან, მაგათ მომიკლეს მამაჩემი. დათქმული მაქვს, რომ ერთ დღეს მათზე შურს ვიძიებ, მაგ ნაბიჭვრებზე... –იმათ მოგიკლეს მამაშენი?

–დიახ, ჩემს წინ. მათ ესროლეს მანქანის კარებიდან. ეს იყო გასულ წელს...მაფია არის პარიზში? –არის. რატომ კითხულობ ამას? –აჰ, მაფია კარგია! როგორც იტალიაში. ისინი იქ ძლიერები არიან. თითქმის ისევე ძლიერები, როგორც ჩვენ. –როგორ? აქაც არის მაფია? –სავსე! ისინი ჩემპიონები არიან. მე ვარ ქალაქის ყველაზე ახალგაზრდა მაფიოზი. ის-ინი დამეხმარებიან მამაჩემის შური ვიძიო.

–შეგიძლია შენ, რომ იმათ წარმიდგინო?

–რატომაც არა, შენ ჩემი ძმაკაცი ხარ. ჰაშიში თუ გინდა მე გიმოვნი. თუ იარაღი გინდა, არც ესაა ძნელი. ჩემი ამ-ხანაგები „აფრიკაში“ არიან. გინდა იქ წამოხვიდე ჩემთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად? —სად, აფრიკაში? —ჰო, ეს უბანია, რომელიც ყველაზე უფრო დაშორებულია ქალაქის ცენტრიდან, ამიტომ მას ეძახიან აფრიკას. მოდი წავიდეთ!“...

ლურჯი აბანოები უძველესებია ქალაქში. პუშკინი მას აღწერდა, როგორც ყველაზე მდიდრულ დაწესებულებას, რაც მას უნახავს რუსეთში. ტოლსტოის კი თავი პომპეიში ეგონა. მაგრამ მათ შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. გოგირდის წყალი, რომელიც უხვად გამოჩუხჩუხებდა, გადაგდებული იქნა და ვერავინ ვერ გამაგებინა თუ საითკენ? აბანოები მოთავსებულია თაღოვან სარდაფში, კედლები გათლილი ქვისაა, რომელშიც წყალი ჟონავს, სინათლე შედის ჭერში დატოვებული სარკმელებიდან.

თეთრ მარმარილოს აუზის წყალში ყელამდე ჩაძირული, ორთქლისა და ოფლის გარემოში გულისყურით ვუსმენ პირველად თვითმფრინავის გატაცების ამბავს:

„მე თქვენ იმიტომ გიყვებით რომ, რაც მოხდა დაუშვებელია. ერთი ჩემი მეგობარი დაიღუპა იმ ამბავში. ის არ მომკვდარა მეკობრეთაგან, არამედ მოსკოვიდან მოსული პოლიციელებისაგან. მე მინდა, რომ ხალხმა შენს ქვეყანაში იცოდეს სიმართლე, იცოდეს თუ როგორ გვექცევიან რუსები. მე წინად, არასოდეს ჩემს სიცოცხლეში, ასე არ მძულებიან ისინი.

—რას ამბობენ აქაური გაზეთები?

—მათ არასოდეს არაფერი არ გამოუქვეყნებიათ თვითმფრინავის გატაცების შესახებ. მათ მხოლოდ წარმოებების ხელმძღვანელებს დაურიგეს წერილები, რომლებიც წაუკითხეს მუშა-მოსამსახურეებს. — რას შეიცავდა ეს წერილი?

— იქ ნათქვამი იყო, რომ საქმე ეხებოდა ტოქსიკომანების ჯგუფს, ტერორისტებს, რომლებიც მზად იყვნენ ყველაფერი ჩაედინათ, რათა ჩასულიყვნენ ამერიკაში და მოეგოთ იქ ბევრი ფული. ისინი მათ იხსენიებდნენ, როგორც ხულიგნებს და მოღალატეებს. ყველაფერი ეს სიცრუეა.

—მთლად სიცრუე?

— რა თქმა უნდა! მათ იცნობდნენ. ეს ამის შვილი იყო, ის იმისა,—ამბობს ხალხი. ტოქსიკომანები რომ ყოფილიყვნენ ეცოდინებოდა ვინმეს. რაც მთავარია, ისინი სრულებითაც ასეთები არ ყოფილან. აიღეთ, მაგალითად, მათ შორის იყვნენ ქალაქის ყველაზე დიდი ექიმის-ანდოკრინოლოგის ვაჟები, ორივემ ახლახან დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ყველაზე უფრო სახელგანთქმულია სსრკ-ში. მე ვიცნობ ერთ ექთანს, რომელიც მასთან მსახურობდა, ეს ექიმებს, რომ მას ჯერ სხვა არავინ შეხვედრია მასზე ნიჭიერი და მგრძნობიერი რომ ყოფილიყოს. ისინი ძალიან კარგად იყვნენ ხალხთან განწყობილნი.

–სად არიან ახლა ისინი?

–ერთი მათგანი ჯერ კიდევ საავადმყოფოშია. სროლის დროს მას ერთი ტყვია მოხვდა ყელში. მეორე კ.გ.ბ.-ის ხელშია და ჯერ ვერავინ შეძლო მისი ნახვა. დაქორწინებული გეგა და თინათინი ასევე დამაღული ჰყავს კ.გ.ბ.-ს. ორი მეგობარი ქალიშვილი გაანთავისუფლეს, რადგანაც ისინი არ ყოფილან თვითმფრინავის გატაცების კურსში.

–თუ შეიძლება მათთან შეხვედრა?

–შეუძლებელია, ისინი მკაცრ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, ისევე როგორც მათი მშობლები.. სხვათა შორის, ყველა ეს უკანასკნელები გაანთავისუფლეს მათ სამსახურებიდან და თვით პარტიიდანაც. ხელისუფლება ამის მიზეზად აცხადებს „შვილების ცუდად აღზრდას.“ ასე, რომ მოხსნილი არიან: ერთი დირექტორი, პარტიული კადრი, ერთი უდიდესი ექიმთაგანი ქალაქისა, ერთი უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორი, ერთი ცნობილი რეჟისორი–მამა გეგა კობახიძის და ერთიც არქიტექტორი.

–და ის ორი საჰაერო მეკობრე, რომლებიც დაიღუპნენ?

–ერთი ვაჟია ინტურისტის დირექტორის. მეორე მხატვარია 25 წლის–იოსებ წერეთელი. მათ სიკვდილზე არასოდეს არ ულაპარაკნიათ. ამბობენ, რომ მათი გვამები არასოდეს არ დაუბრუნებიათ მშობლებისათვის.“

თბილი წყალი, ორთქლი, მბეუტავი სინათლე და ჩემი ინფორმატორის მონათხრობი ისე მოქმედებენ ჩემზე, რომ მათ გადავყავარ რაღაც არარეალურ, სრულიად სხვა სამყაროში. მე მგონია: ასი წლის წინადაც აქ, ამ თაღებს ქვეშ გაბატონებული იყო ასეთივე მისტერიული სინოტივე, როგორც ეს ამჟამადაა. –რა ბედი ეწიათ მგზავრებს?

–მაშინვე იმ უბედურების შემდეგ ყველა მოთავსებული იყო იზოლიაციაში, ორი დუჟინი კი ფსიქიატრულ საავადმყოფოში. როგორც ამბობენ, დიდი შიშის გამო მათ განიცადეს ძლიერი გონებრივი ტრავმა. სულ ცოტა ოცი მაინც დაჭრილი იყო და

საავადმყოფოში მოათავსეს. დანარჩენები საკმაოდ ძალე გა-
ანთავისუფლეს დაკითხვის შემდეგ. მას შემდეგ დაკითხეს
მეკობრეთა ყველა მეგობრები. თუ მათ წაუსწრეს თქვენთან
ლაპარაკის დროს, მაჯი საქმე წასული იქნება, მაშინვე და-
იჭერენ.
–რატომ იყო ამდენი დაჭრილი?
–ბევრმა მინის ნამსხვრევები მიიღეს, რაც ტყვიებმა გამოი-
წვიეს. როცა კომანდო თვითმფრინავში შეიჭრა, მას არ უძე-
ბნია თუ ვის ესროდა. ეს აშკარაა, რადგანაც მათ მოჰკლეს
თვით პილოტიც და ბორტგამყოლი ქალიც კი. ამიტომაც არის,
რომ მათ არ უნდათ, რომ ამაზე ილაპარაკონ. როცა ვფიქრობ,
რომ მათ ისინი დამარხეს დიდი ამბით...აეროპორტის პირდა-
პირ, მართლაცდა თავხედები არიან!
–კი მაგრამ, დანარჩენი დაჭრილები?
–სროლის დამთავრების შემდეგ, კომანდომ გადაწყვიტა მგზა-
ვრებისაგან დაეცალა თვითმფრინავი. მათ გააღეს სეკურის კა-
რები, საიდანაც აიძულეს გადმოხტომა ხალხს. ვინაიდან კიბე
არ იყო, ოთხი - ხუთი მეტრის სიმაღლიდან გადმომხტარ მგზა-
ვრებს –ერთ ათეულამდე–კიდურები დაუშავდათ...

დილის სამი საათია. ვბრუნდები სასტუმროში, შესასვლელთან
ისევ დაყუდებულია სამი ჩაფსკვნილი შავკურტაკიანი. მე მუჯში
მაგრად ვბღუჯავ ფურცელს, რომელზეც ჩავიწერე საჰაერო მე-
კობრეების სახელები. წინ როცა გავუარე მივესალმე: საღამო
მშვიდობისათ! –აღო, კარგად გაატარეთ საღამო? იპოვეთ სა-
ცეკვაო ბალი? მე შევდივარ მე-*16*-ე სართულზე.
–მეგობრებთან იყავით თქვენ?
–როგორ? არ მესმის. მე ავდივარ, რომ დავწვე."
ჩემს სართულზე მატრონა, რომელიც ოთახის გასაღებს მაწ-
ვდის, მისვამს იგივე კითხვებს. მე ვითომ არაფერი არ მე-
სმის. როცა ოთახში შევდივარ, მიუხედავად იმისა, რომ გა-
მოთიშული დავტოვე, ტელეფონი რეკავს. მე არ ვპასუხობ.
მეორე დღეს: „თქვენ გინდათ ომი? – მე? არა, სრულებითაც
არა! და თქვენ? –არა, მე ისე სულელი არ ვარ სიკვდილი
მინდოდეს. მე მეგონა, რომ ფრანგები რეიგანივით იყვნენ.
–ესე იგი? –რეიგანს ომი უნდა...ტელე ასე ამბობს ყოველ
დღეს. –ჩვენც ამასვე გვეუბნებიან ანდროპოვის შესახებ.
–რაც უნდათ ის თქვან, მე ფეხებზე მკიდია იმათი ომი."
ამ ტაქსის მძღოლთან, რომელსაც შოთასთან შასახვედრად

მიეჯავრ ოპერის ბაღში, იგივეს ვსაუბრობ, რაზედაც უკვე არა ერთჯერ ვსაუბრობდი ამ დღეებში. უნდა ითქვას, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა
საკუთრებით ხშირად ლაპარაკობს ამ საკითხზე, ყოველი ინფორმაციის დროს მუდამაა პატარა რამე რეიგანისა და მისი იმპერიალისტური პოლიტიკის შესახებ. სამ ნაჩვენებ ფილმში ორი ომის შესახებაა, მტრები ნაცისტები არიან, მაგრამ მე აგრეთვე ვნახე ორი ფილმი ნაპოლეონის მიერ რუსეთში შეჭრის შესახებ.

შოთა აქ არის, მაგრამ ის მარტო არაა, ის ზის მერხზე პატარა ბაღში, მის მარჯვნივ ოპერის უკანა შესავალში დგას ორი შავკურტკიანი კაცი, რომლებსაც ხელები ჯიბეებში აქვთ ჩაწყობილი, სახეები კი გაქვავებული, ისე თითქოს მაღლად უთვალთვალებდნენ შოთას. მესამე კაცი იგივე შესახედაობის, ფეხზედ მდგომი, კარგად ჩანს შესავალი კიბის მეოთხე საფეხურზე. ისინი როდი ცდილობენ დაიმალონ, პირიქით. უნდა ითქვას, რომ შოთა მაღალი მოხელის შვილია, ინსტიტუტის დირექტორისა. იცნობდა საჰაერო მეკობრეებს? *3* შავკურტკიანის აქ ყოფნა მარწმუნებს, რომ მისი ტელეფონი ყურადღების ქვეშაა. არა, ეს მე არ მეჩვენება, ისინი უეჭველად აქ არიან, ჩვენი შეხვედრის ადგილზე, ჩემი აქ მოსვლით დაინტერესებულნი.

ერთი მძღავრად შევისუნთქე და გულდაგულ გავემართე მერხისაკენ: „შ ო თ ა!? – დიახ. წავიდეთ მუზეუმში. ის სავსეა ხატებით, თუ გაინტერესებთ მაინც? იქ არავინ შეგვაწუხებს და, ამასთან ერთად, ეს უნდათ კ.გ.ბ.-ის აგენტებს, რომლებსაც შენ აქ ხედავ.“ ...ხატების მუზეუმისაკენ მიმავლები, მე მას ვუხსნი ჩემს თბილისში ყოფნის მიზეზს. „ოკე! მე თანახმა ვარ გელაპარაკო „გადახვევის“ შესახებ, მაგრამ საჭიროა დიდი სიფრთხილე. შენ პირადად არაფერს რისკულობ, ჩვენთვის კი ეს ძალიან საშიშია. აი გეტყვი: მე მეგობარი ვარ გეგასი, ის, რომელმაც წინა დღით იქორწინა. კ.გ.ბ.-მ დაკითხა ჯელა მისი ამხანაგი და გააფრთხილა ისინი, რომ არავის არაფერი უთხრან და არ შეხვდნენ უცხოელებს.

–როდის ნახე გეგა უკანასკნელად? –ქორწილის დღეს.

ჩვენ მივჯებით რუსთაველის ქუჩას ღენინის ქუჩის მიმართულებით. წმიდა გიორგის ეკლესიას რომ გავუსწორდით, შოთამ ხელი მომკიდა და შიგნით მეპატიჟება. შიგნით საკმევლის სული დგას, მართლმადიდებელ მღვდელს შავი წვერით ხელები დაუწყია ერთი ქალის თავზე, რომელიც ფეხშიშველა დგას სპარსულ ხალიჩაზე და თვალები აღმოსავლეთით მიუპყრია. მღვდელი რაღაცას ბუტბუტებს

შეშფოთებულ ხმაზე. შოთა ყდეულობს 4 სანთელს, ორს მე მაძლევს,

შოთა: „ყველა ტრადიცია ზუსტად იქნა შესრულებული. დღეთანური გამოწყობილი იყო თეთრ მოქარგულ კაბაში. გვირგვინებმა ნამჯერ მოინაცვლეს თავები, შემდეგ, მღვდლის წინამძღოლობით მათ სამჯერ შემოუარეს საკურთხეველს, როგორც ეს წესია. მათ ბედი ჰქონდათ შეხვედროდათ ის მოძღვარი, რომელიც ყველაზე მეტად უყვართ თბილისში ახალგაზრდებს. იგი იმავე დროს მოვიდა, რაც ახალი პატრიარქი **ი ლ ი ა მ ე ო რ ე.** ეს მისი წყლობით–ილია მეორის, რომ ახალგაზრდები ეკლესიას დაუბრუნდნენ."

ვანთებთ ჩვენ-ჩვენ სანთლებს და ვიკავებთ ადგილს ერთი ძველი მოვერცხლილი ხის ხატის პარდაპირ. სანთელი შუშხუნობს. უცნაური მდგომარეობაა **ჯემს დინ**ის თაყვანისმცემლისაგან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკლესიები ივივე თავშესაფარებს წარმოადგენენ ახალგაზრდობისათვის, როგორც ერთ დროს ამერიკული „**დ რ ი ვ ი ნ ე ბ ი.**"(გადახურული კინო-ეკრანები ჰაერზე. მთარგმნელისაგან)

წმიდა ვიორგის ეკლესიიდან შოთა სტუმარს წაიყვანს გამოქვაბულ მონასტერში და იქ ერთ გამოქვაბულ თაღის ქვეშ აგრძელებს თავის მოთხრობას.

„ეკლესიის შემდეგ ჯვარდაწერილები მათი უახლოესი მეგობრებით და ორასი სტუმრის თანხლებით მივიდნენ თბილისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ რესტორანში, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ შეკვეთილი. საპატიო მაგიდას გარს უსხდნენ გეგა, თინათინი და 7 მოამავალი მეკობრე, იქ იყო აგრეთვე აეროფლოტის მოსამსახურე ქალი, რომელიც მეორე დღეს მათ იარაღიან ჩემოდანს უკონტროლოდ შეიტანს თვითმფრინავზე.

გეგა იყო მსახიობი, სახელგანთქმული რეჟისორის შვილი. უყვარდა ხუმრობა, სიცილი, თეატრი იყო მისი სიცოცხლე, მაგრამ ამ დღეს მისი სადღეგრძელო იყო სერიოზული და ჩამაფიქრებელი. მან ახსენა „თავისუფალი საქართველო" და „ადამიანების თავისუფლება მთელ დედამიწის ზურგზე", რაც მას არ ჩვეოდა. ეს იყო ერთადერთი არაჩვეულებრივი მომენტი მთელი საღამოს განმავლობაში. ამის შემდეგ მოქეიფეებმა იმღერეს, იცეკვეს და სიძე-დედოფალი, ახლო მეგობრებით, მხოლოდ დილის 4 საათზე წავიდ-წამოვიდნენ. არავის არ შეეძლო წარმოედგინა ის, რასაც ისინი იზამდნენ მეორე დღის დილით.

– რა ქნეს მათ ამის შემდეგ?

– ეს არ შემიძლია გითხრათ ზუსტად, მაგრამ მე ვიცი, რომ მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ისინი ადგნენ დაახლოვებით 12 საათზე, იხეტიალეს აქეთ-იქით და აქაც კი მოსულან, მოხატულ გამოქვაბულში. ეს ხალიბ-ად მოდიოდა აქ და ფიქრობდა. მათ დამირეკეს: „მოდი ჩვენთან“-ო, მაგრამ მე სასტიკად ნამთვრალები ვიყავი, ფეხზედ ვერ ვდგებოდი. ჩემი აზრით, ამ ხეტიალის დროს მოუვიდათ თვითმფრინავის გატაცების იდეა. მე არ მგონია, რომ ეს მათ წინასწარ მოეფიქრებინოთ. მათ სურვილი ჰქონდათ, ისევე როგორც ყველა ჩვენთაგანს, უცხოეთში მოგზაურობისა. ისინი ხშირად ლაპარაკობდნენ ამის შესახებ.

–კი მაგრამ, რამ გამოიწვია ეს უეცარი გადაწყვეტილება, ვინ უჯიკავა მათ ამ უაღრესად საშიშ ნაბიჯისაკენ?

– ამის მიზეზი ბევრია. ყველა ჩვენთაგანი ოცნებობს ჩაიდინოს და გაიმარჯვოს ასეთ სახიფათო საქმეში. თინათინი ბავშვს ელოდებოდა და მე ვიცი, რომ მას არ სურდა მისი აქ აღზრდა, რადგანაც წერა-კითხვის სწავლასთან ერთად სკოლაში ბავშვები განიცდიან უსაშველო პროპაგანდას. ამის გარდა, ადგილი ჰქონდა დაპატიმრებებს გასულ სექტემბერში: მაგალითად, თამარა, რეფისორ ჩხეიძის, „სარისკაცის მამა“-ს დამდგმელის ქალიშვილი. ის მეგობარი იყო გეგასი და ეს აუტანელი შეიქნა მისთვის.“

„*1983* წლის ოქტომბერში ხელისუფლებამ გადაწყვიტა უზარმაზარი მანიფესტაციების მოწყობა რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთ მეგობრობის საპატივცემოდ, გიორგიევსკის განთქმული ხელშეკრულების *200* წლისთავთან დაკავშირებით. ამ ხელშეკრულობამ საქართველო რუსეთს ჩაუდო ხელში. მთელი წლის განმავლობაში ადგილობრივი პრესა თხზავდა ამბებს ორი ხალხის მეგობრობის შესახებ, ადიდებდა ქართველებს, რომლებიც დაიღუპნენ ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლებში და, რომლებიც აშენებენ სოციალისტურ ეკონომიკას. ამან გამოიწვია ქართველ ახალგაზრდობის საწინააღმდეგო რეაქცია, ადგილი ჰქონდა მანიფესტაციებს, დაბეჭდილი მოწოდებების დარიგებას და სხვა...ესენი იყვნენ პატრიოტი ახალგაზრდები, უმთავრესად სტუდენტები, ინტელიგენციის შვილები. ბევრი მათგანი დაუპატიმრეს, ზოგი დაკითხვების შემდეგ გაანთავისუფლეს, სხვები კი და მათ შორის თამარა ჩხეიძეც გამომწყდეული დასტოვეს. მათ ბრალს სდებენ ანტი-საბჭოთა მოწოდების გავრცელებაში. რას შეიცავდა ეს პროკლამაცია? ეს იყო ლენინის ერთი სტატიის ფოტო-პირი, რომელიც *1901* წელს იყო დაწერილი იმავე ხელშეკრულების *100* წლისთავის ზეიმის გამო. ლენინის ამ სტატიის სათაურია: „**რუსული ხიშტის *100* წლი-**

სთავი საქართველოში“, რომელშიც ლენინი გმობს რუსეთისგან საქართველოს ოკუპაციას, ის ბრალს დებს რუსებს ხელოვნურ ლების ყლბად განმარტებაში ქართველების საზიანოდ, იწონებს ქართველების მიერ საპროტესტოდ ატეხილ სტვენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსთაველის პროსპექტზე რუსის ჯარების პარადის დროს, ის აღფრთოვანებულია ქართველი ხალხის გამძლეობით და იმ წინააღმდეგობით, რომელსაც ის აგრძელებს, მიუხედავად ციხე-გადასახლებებისა, მისი დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის. ლენინის ეს სტატია, რა თქმა უნდა, დღეს უხილავია, ხოლო თამარა მისი დარიგებისათვის ციხეში ზის. მას ალბათ ახლო მომავალში გაასამართლებენ ანტი-საბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით და გადაასახლებენ ციმბირის ცივ გულაგში. შეუძლებელი არაფერია. *44* წლის მუსიკოლოგი მერაბ კოსტავა იქ იმყოფება *1977* წლიდან. ის იყო „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ქართული საინფორმაციო ჯგუფის კოორდინატორი. ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით ის გადასახლებული იყო ხუთი წლით. მისი სასჯელი მთავრდებოდა, როცა *1983* წლის ნოემბერში მას ხელახლა მიუსაჯეს ხუთი წლის პატიმრობა იმ მოტივით, რომ თითქოს მან ცემა იქაური მილიციელს. სინამდვილეში კი ეს წინასწარ იყო ჩაწყობილი, რომ მან ვერ შეძლოს საქართველოში ჩასვლა. ამჟამად მას შიმშილის გაფიცვა აქვს გამოცხადებული და მისი სიცოცხლე საფრთხეშია.“

შოთა თავის მწუხარებას მაღავს ღიმილის ქვეშ: „მოდი ამ საღამოს, ჩვენ აღვნიშნავთ დავით მიქაბერიძის *21* წლისთავს, არქიტექტურის სტუდენტი, ის, რომელმაც თავი მოიკლა თვითმფრინავში. ის კარგი ამხანაგი იყო. შენ შეგიძლია მოხვიდე, მაგრამ არავის არ უნდა უთხრა.“

საღამომ ისე ჩაიარა, რომ არავის არ ულაპარაკნია მომხდარ უბედურებაზე. დავით მიქაბერიძის სახელი წარმოთქმული არ ყოფილა, მაგრამ ყველამ იცოდა თუ რისთვისაც იფხენენ შეკრებილი ამ აღმოსავლური კერძებით გაწყობილი მაგიდის ირგვლივ. სადღეგრძელოები ერთმანეთს ცვლიდნენ და შეკრების დიდი გმირი იყო რუსთაველი, მეთორმეტე საუკუნის პოეტი, ავტორი „ვეფხისტყოსნისა.“ თამადამ დაღია უკანასკნელი სადღეგრძელო:

„ჩვენს დიდ პოეტებს, ჩვენს ისტორიას და ყველა ჩვენი შვილებისათვის, მე მინდა ეს საღამო დავამთავრო ჩვენი დიდი მასწავლებლის ზოგიერთი ლექსით, რომლებშიც მოცემულია ჩვენი ჩვეულება და რწმენა: „სმა–ჭამა –დიდად შესარგი, დება რა სავარგულია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“

*** ***

„ვერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

თბილისი დავტოვე საჩუქრებით დატვირთულმა: ერთი ყუთი ქართული სიმღერების, რომლებიც იმ საღამოს მოვისმინეთ, „ვეფხისტყაოსნის“ წიგნი, პასტერნაკის მიერ თაფანცემული გალაქტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი, რომელმაც თავი მოიკლა *1959* წელში, ძლიერი ანტი-კომუნისტური კრიზისის დროს, და კიდევ ერთი ალბომი ძველი მონასტრების ფრესკებისა.

სანამ უკან დავბრუნდებოდი გავიგე, რომ ერთი ეროვნული რეჟისორი, **ოთარ იოსელიანი,** პარიზში იყო, რათა განახორციელოს პირველი ქართული ფილმი უცხოეთში. ფილმის შინაარსია: **საფრანგეთის დიდი ბურჟუაზია და მისი ტერორისტი შვილები,** ალბათ შემთხვევითი დამთხვევაა, უეჭველად.

პ ი ე რ ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ,
თარგმანი ფრანგული ყველეთვიური:
„აქტიუელ“ №*53,* მარტი *1984.*-დან.

*** *** ***

„წ ე რ ი ლ ი ყ ვ ე ლ ა მ ე ც ნ ი ე რ ს„-ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

გასული წლის *20* დეკემბერს, თბილისში მოწვეული ჯფილა საქ.-ს სსრ.-ის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომლისთვისაც სიტყვით მიუმართავს აკადემიის პრეზიდენტს, ბ. ე. ხარაძეს, საბოლოოდ კი კრებას „ერთხმად“ მიუღია ტექსტი „წერილი რესპუბლიკის ყველა მეცნიერისადმი“, რომელიც ამ წლის *6* იანვარს გამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა“, სათაურით: **„მეცნიერმა უნდა აღზარდოს მოქალაქე.“** თვით ამ წერილიდან ჩანს, რომ აკადემიკოსთა კრება მიძღვნილი ჯფილა *18* ნოემბერს მომხდარი საჰაერო ტრაგედიის საკითხისადმი და სავარაუდებელია, რომ კრებას წაუკითხავდნენ ხელისუფლების იმ განმარტებით წერილს, რომელიც ყველა წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელს დაეგზავნა და, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელზედაც ლაპარაკია ბატონ პიერ სებასტიანის ნარკვევში.

ჩვენი ეროვნული მეცნიერების არეოპაგთა კრება, ჩვენდა სამწუხაროდ, ბაიკუშვილი იმეორებს საბჭოთა პროპაგანდის გაცვეთილ ფრაზებს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური მსოფლხედველობითა და საბჭოური ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდის შესახებ. ამ პრინციპებით ახალგაზრდების აღზრდამ, რომ კარახი განიცადა, ამის უტყუარი საბუთი და მოწმე თვით 18 ნოემბრის ტრაგედიაა. წინააღმდეგ ამ ყალბი, პარტიული პრინციპებისა, სამშობლოსა და კაცობრიობის სასარგებლო და ღირსეულ მოქალაქის აღსაზრდელად საჭირო და აუცილებელია, რომ მოზარდებს დაეინებითა და დაუღალავად უნერგავდნენ ჭეშმარიტების ძიების წყურვილს, თავისუფლებისადმი ტრფიალს და სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას. საბჭოთა ახალგაზრდობის ტრაგედია სწორედ იმაშია, რომ მათ ეკრძალებათ ამ სწორი და ისტორიულად ნაცადი მეთოდებით ხელმძღვანელობა, ხოლო მშობელთა და აღმზრდელთა მდგომარეობა აუტანლად გაძნელებული და გართულებულია.

დღევანდელ პირობებში ჩვენი მეცნიერების აკადემიის კრება ამ ანბანურ ჭეშმარიტებას ვერ იტყოდა და ჩვენ არც მოვითხოვდით მისგან ასეთი დიდი მსხვერპლის გაღებას, მაგრამ მას იმდენი გამბედაობა კი უნდა გამოეჩინა, რომ სამარცხვინო „ს.უ.კ.“-ის უბრალო „კომპლისად“ არ გამოსულიყო. ეს მათი წერილი-მიმართვა მრავალმხრივ დასაგმობ-დასაძრახია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ წერილში ისინი აშკარად და განგებ სტყუიან. მაგალითად წერილში ერთგან ნათქვამია: „...ცნობილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. წერეთელი სულ ახლახან **იძულებული გახდა უარი ეთქვა** (ხაზგასმა ჩვენია) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორობაზე, კათედრის გამგის თანამდებობაზე შვილის აღზრდაში დაშვებული სავალალო შეცდომის გამო. მისი ეს ნაბიჯი ჩვენ სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, რადგან მეცნიერი და მოქალაქე თავს ვერ მიიჩნევს აღმზრდელად, თუ საკუთარი შვილი ვერ აღზარდა.“

განა პატივცემულმა აკადემიკოსებმა არ იციან, რომ მათი კოლეგა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი კონსტანტინე წერეთელი თავისი ნება-სურვილით არ წასულა უნივერსიტეტიდან, არამედ იქიდან ხელისუფლებამ გააძევა უსაფუძვლოდა და უკანონოდ? რა თქმა უნდა, რომ მათ ეს იციან, მაგრამ კომპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტიისა და პოლიციის შიშით ისინი იძულებულნი არიან ხელი მოაწერონ, და ისიც ერთხმად!, ასეთ უფეხო ტყეილს.

ასეთივე თვალთა დამთხრელი სიცრუეა ნათქვამი „წერილის“ მეორე ადგილას: „...არც თუ იშვიათად სწავლულთა, მეცნიერთა ოჯახებიდანაც გამოდიან სულიერად დამახინჯებული ახალგაზრდები, დანაშაულის ჩამდენნი და ნარკომანებიც კი. სწორედ ასეთმა ახალგაზრდა ადამიანებმა ჩაიდინეს მიმდინარე წლის *18* ნოემბრის საშინელი, აღმაშფოთებელი დანაშაული, **რომლის შესახებაც უკვე ინფორმილებულია ჩვენი საზოგადოება.**“(ხაზგასმა ჩვენია)

ჯერ ერთი, *18* ნოემბრის ტრაგედიის შესახებ საქართველოს საზოგადოებრიობა ინფორმირებული არ ყოფილა არც ამ „წერილის“ გამოქვეყნებამდე და არც მის შემდეგ დღემდე, თუ რატომ?, ამის ძიებაში ჩვენ აქ არ შევდივართ, ჩვენ მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ და ეს ფაქტი კი ის გახლავთ, რომ საბჭოთა ხალხმა აქეთ და იქეთ მითქმა-მოთქმით თუ იცის რამე ამ მნიშვნელოვანი საქმის შესახებ, ხოლო წესრიგის დამცველ ორგანოებისაგან–არაფერი.

მერე მეორე, საქვეყნოდ ცნობილია: „*18* ნოემბრის საშინელი, აღმაშფოთებელი დანაშაულის“, როგორც ეს „წერილშია ნათქვამი, ჩამდენი ახალგაზრდები არ ყოფილან არც „სულიერად დამახინჯებულნი“ და არც „ნარკომანები“, არამედ პირიქით, ყველა იმათი მოწმობით, რომლებიც მათ ახლოს იცნობდნენ, ისინი იყვნენ უაღრესად კეთილშობილნი, თავაზიანნი, სათნონი, კაცთმოყვარენნი და იდეალისტნი, სრულიად საწინააღმდეგონი გამდიდრების ან გარყვნილების წადილით შეპყრობილი ახალგაზრდებისა. აკადემიკოსების „წერილის“ ეს ადგილი არა მარტო უკადრისი სიცრუეა, არამედ აგრეთვე უხამსი ცილისწამებაცაა.

შიშის, საშინელი შიშის სუნი ასდის აკადემიკოსთა კრების ამ წერილს. შიში შეიქმს სიფარულსაო, ბრძანებს წმიდა სახარება. სიფარულის რა მოგახსენოთ, მაგრამ მორჩილებას–უეჭველად! შიშით ბატონობს და ბრძანებლობს საბჭოთა ხელისუფლება და... სანამ საბჭოთა ადამიანები ამ შიშის გრძნობას არ დაძლევენ, მანამ მათ არც თავისუფლება და არც კაცური კაცობა არ ეღირსებათ.

გულბათ გულბათიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ ა ნ ა შ ვ ი დ ი პ ა რ ი ზ ი ს წ მ ი დ ა ნ ი ნ ო ს ე კ ლ ე ს ი ა ს ი

როგორც კი *18* ნოემბრის ღამის დრამის ამბავი მოვიდა პარიზის ქართველებამდე, ბატონ ნიკო (კოკი) გუგუშვილის თხოვნით წმიდა ნინოს ეკლესიის მოძღვარმა მწუხრის ლოცვა შეასრულა **გია ტაბიძის, სოსო წერეთლის, დავით მიქაბერიძის** და ყველა სხვა მათთან ერთად დაღუპულთათვის.

*** ***

გ უ შ ა გ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1983 წლის *18* ნოემბერს ქართველ ახალგაზრდების ჯგუფმა (*6* ვაჟი და *3* ქალი) სცადა თბილისიდან გაფრენის შემდეგ თვითმფრინავის პილოტი იარაღის მუქარით აიძულებია ფრენის მიმართულება შეეცვალა, რომ თურქეთში გასულიყო. პილოტმა შეძლო მათი მოტყუება და, მისი უფროსებიდან მიღებული რადიო-ბრძანების თანახმად, თვითმფრინავი უკან, თბილისის აეროდრომზე დაუბრუნა. აქ მათ განურჩევლად, ბრალიანსა და უბრალოთ, დაუზოგავად და მხეცურად გაუსწორდათ სახ. უმიშროების კომანდო, რის შედეგად მოიკლა *8* ადამიანი(*3* იმათთაგანი, ვინც თვითმფრინავის გზიდან გადახვევა სცადეს, *3* თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრი და *2*-ც მგზავრი) და დაიჭრა *15*-ამდე, რომელთაგან ბევრი მძიმედაა დაშავებული. ხოცვა-ყლეტვის დამთავრებისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ ბლაკ-უტი გამოაცხადა მომხდარ დრამის ირგვლივ და აგერ ხუთი თვის შემდეგ საზოგადოებამ არ იცის ოფიციალური ვერსია მომხდარი ტრაგიკული ამბისა, მაშინ, როცა ამ საერთო სიჩუმით და უყურადღებობით გათამამებული პოლიცია განსაკუთრებული სიმკაცრით ექცევა, როგორც დამნაშავეებს, ისე უდანაშაულო მშობლებს. ყველა ბრალდებულის მშობელი მოხსნეს სამსახურიდან, *3* დაღუპული ახალგაზრდის ცხედარი მშობლებს არ დაუბრუნეს, არავინ იცის სად ჰყავთ დამწყდეული გადარჩენილი გატაცების ცდის მონაწილენი და რას უმზადებენ მათ.

ახალგაზრდები, რომლებმაც თვითმფრინავით დასავლეთში გამოქცევა სცადეს არა მარტო პატივცემული დედმამის შვილები იყვნენ, არამედ აგრეთვე თვითონაც ცნობილი იყვნენ, როგორც ღრმად გა-

ნათლებულნი და კულტურულნი, ნიკიერნი და ბეჯითნი, წესიერ-ყოფა-ქცევისანი და იდეალისტები. მათ განსაკუთრებით საერთო არაფერი ჰქონდათ გამდიდრების წყურვილით შეპყრობილ ან ნარკომან ახალგაზრდებთან, როგორც მათ ვერაგულად ცილს სწამებენ **სუკ**-ის აგენტები... მათ არ შეიძლება არც „პირატები" ეწოდოთ, როგორც ამას სჩადის დასავლეთის სააგენტოები. ისინი შეიძლება შეედარონ იმ პატიმრებს, რომლებიც ციხის სულისშემხუთავ პირობებს ვეღარ იტანენ და ერთ დღეს ცდილობენ იქიდან გაიქცნენ. რაც მთავარია, *18* ნოემბრის თვითმფრინავის გატაცების ცდის აქტი ქართველთა ერთი ჯგუფის მიერ არაა ყაჩაღურ-ბანდიტურ ხასიათისა, არამედ პირიქით მიზნად აქვს საზოგადოების სიკეთე, რადგანაც მას თავისუფლება უდევს სარჩულად. ეს დრამა ბუნებრივი შედეგია ქართველი ერის ტრაგიკული მდგომარეობის, რომელიც უხეშ არტახებში ყავს ჩაკრული მის მპყრობელ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას.

ჩვენი მხრით ამ დრამისადმი უყურადღებობის გამოჩენაც კი იქნებოდა დიდი გაუგებრობა და შეცდომა. მპყრობელთა ანკესებზე არ უნდა წამოვეგოთ გულგრილობა არ უნდა გამოვიჩინოთ, არც დაღუპულთადმი, არც პატიმრობაში მყოფთადმი, რომლებიც სრულ იზოლირებაში და სიკვდილის მუქარის ქვეშ იმყოფებიან და არც უსახსროდ დატოვებულ, სრულიად უდანაშაულო მშობლების მიმართ.

ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგნი ვართ ძალადობისა, განსაკუთრებით მშვიდობიან მოსახლეობის სიცოცხლეზე მუქარისა, უდანაშაულო ადამიანების მძევლად აყვანისა და მათ სიცოცხლეზე შანტაჟისა, მაგრამ *18* ნოემბერს საქართველოში მომხდარი ტრაგედიის უმთავრესი დამნაშავეა თვით საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც თავის მოქალაქეებს უკრძალავს თავისუფლად მოგზაურებასა და ცხოვრებას იქ სადაც მათ სურთ. *260* მილიონიანი საბჭოთა ქვეყანა ერთი დიდი ტყვეთა ბანაკია და რა გასაკვირია, რომ იქ დრო და დრო თავი იჩინოს გაბოროტებამ, მოუფიქრებელმა აჯანყებებმა და გაქცევებმა. არც სპარტაკელების აჯანყება იყო კარგად მოფიქრებული რომაელების წინააღმდეგ, მან ასიათასობით სიცოცხლე შეიწირა და მიზანს კი ვერ მიაღწია, მაგრამ საკაცობრიო ისტორიას ისინი არ დაუგმია, პირიქით, მისაბაძ გმირების გვირგვინებით შეამკო მათი ხსოვნა. ჩვენც წინ ნუ გავუსწრებთ ქართველი ხალხის განაჩენს და ვეცადოთ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება მაინც შევუფარდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რომ:

1. სიმართლე უთხრას ქართველ ხალხს 18 ნოემბრის ტრაგედიის შესახებ.
2. დაღუპული **გია ტაბიძის, იოსებ წერეთლის,** და **დავით მიქაბერიძის** გვამები დაუბრუნოს მშობლებს.
3. თავიანთ თანამდებობებზედ იყვნენ დაუყოვნებლად აღდგენილი გადახვევის ცდის მონაწილე ახალგაზრდების მშობლები და შეწყდეს მათი დევნა-შევიწროება.
4. გადახვევის ცდაში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში მიცემული პირები სარგებლობდნენ პოლიტ-პატიმართა უფლებებით, ჰქონდეთ ახლო ნათესავების ვიზიტის უფლება და სარგებლობდნენ გამოძიებისა და გასამართლების დროს მათ მიერ არჩეულ იურისტ-დამცველთა მომსახურეობით.
5. ბრალდებულთა გასამართლება მოხდეს საქართველოში, საჯაროდ, ჩვეულებრივი საბჭოთა საქართველოს სასამართლოს მიერ.

ყველა ქართველს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, მოვუწოდებთ მხარი დაგვიჭიროს ამ ჩვენ სამართლიან მოთხოვნებში.

„გუშაგი“, *1984* წლის წითელი პარასკევი.

ო ც დ ა ხ უ თ ი თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1921 წლის *25* თებერვალს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი დაიკავეს საბჭოთა რუსეთის ჯარებმა. მას შემდეგ *63* წელიწადი გავიდა. *63* წელი გვაშორებს მეოცე საუკუნის ამ ჩვენი ერის ჯელაზე დიდ ტრაგედიას: *63* წელიწადია ლაფშია ქართველი კაცის დიდება, სახელი და თვით კაცური კაცობა; *63* წელიწადია ქართველ კაცს გულიდან სისხლი გადმოსდის, მაგრამ ამირანივით უტეხია იგი და მოსაჩვენარი უდარდელობით ის მაინც ღიღინებს: **„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჰამონ მტრისანი.“**

მან იცის, რომ საქართველომ ბევრ სხვა იმპერიების მძლავრობა მოინელა წარსულში და მას სწამს, რომ იგი ამ უკანასკნელ იმპერიის მძლავრობასაც მოინელებს. დაე, ღმერთმა ქართველ კაცს გამარჯვებული მომავლის იმედი ნუ მოუშალოს!

გუშაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამსხვრევდენ მძიმე ჩაქუჩებით...

ამსხვრევდნენ მძიმე ჩაქუჩებით ზარებს მცხეთაში.
ფანტავდა ქარი დანგრეული სასახლის ყავრებს.
ისევ უღმერთოდ აწამებდნენ არგვეთის მთავრებს:
რიონზე, მტკვარზე, არაგვზე და მოწამეთაში.

***

დაკოდილ არწივს, მკერდზე სისხლი ჩამოსდიოდა...
იხვრიპებოდა ბილწი ტუჩით ქართლის ზედაშე.
არვინ უნთებდა თაფლის სანთელს საწყალ დედაშენს,—
ხახულის ხატთან ფეხშიშველი რომ დადიოდა.

***

ჰკრიდა გულცივად საფლავების ამომბარავი
წინაპართ ჩონჩხებს, მამა-პაპათ საფლავებიდან.
იყო ვოდება და ტირილი გულისმზარავი...
ცრემლი ეონავდა ხავსიანი ძველი ქვებიდან.

***

ვით პერგამენტის დახეული ძველი ბარათი,—
ეყარა მტვერში ჩვენი ხრმალი და მუზარადი.

გიორგი გამყრელიძე

*** *** ***

თებერვლის ორი ცოდვა
(ნაწყვეტი)

დაღამდა ეს დღეც მწარე ბრძოლების,
შიშმა, ჩურჩულმა სცვალა ფუსფუსი:
„გატყდა თბილისის ძველი კარები,
ხვალ უეჭველად შემოვა რუსი“...

ირღვევა რაზმი, ჩვენც ვსტოვებთ თბილისს.
ხვალ, ობლად შთენილს, ვინ მიუტირებს?
და მახვილ შუბებს მასზედ მიბჯენილს
თვის მკერდს ამაყად ვინ მიუღირებს?

მტერი შეიჭრა უკვე კახეთში,
კოჯორზე მისწყდა ტყვიის კაკანი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

****

ვაი თებერვალს!...რომ „ბაზალეთში“
ისევ გადუშვა „ქართლის აკვანი“!

მივყებით ტალღას ფიქრმოცულები,
სითაც მიჰქრიან ავტო-ეტლები;
ძველ ნაცნობს, სიონს ვეჩურჩულები:
„ოჰ, არ იფიქრო, არ გაგეცლები“...

თბილისო, ვიცი, შენ მიჯერებდი,
ეს განშორება რომ არ მინდოდა,
რომ მანდ ოფნისთვის არად ვიჩნევდი,
თუ მტერი ჩემს გვამს გადავიდოდა...

და მეც სხვებს მივყვე, მივდექ ვერის ხიდს,
წინ გადამიდგა დარაჯი თოფით:
„შენა ხარ?“–მკითხა,–რამე გვიშველე,
ველარ ვაჩერებთ ხალხს ვერასოფით...

„სადგურისაკენ გარბიან შიშით–
დავიღალენით ხიდის მცველები...
შენ არ დასტოვებ თბილისს, ჩვენ ვიცით
კვლავ დაბრუნდები, მოგვეშველები.“

აი, სადგური აოხრებული,
ხალხი გამშრალი, მთლად მიბნედილი,
ფელგან ბრაზია აგორებული,
არსით იმედი, სიტყვა კეთილი...

„უკანასკნელი მატარებელიც
საცაა წავა,–იჩქარეთ ფელამ!“...
გვიბრძანებს ვიღაც, და გულწასულსა
მომისწრო ცრემლმა და მწარე ხველამ.

უცნობი შემსვამს ძლიერი მკლავით,
ადგილს მიმიჩენს ერთ ბნელ კუნჭულში.
მიგქრივართ მკვდრები და ჩემი თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეშვება, ვიცი, უფსკრულში...

გადავუქროლეთ ავჭალას, მცხეთას,
მატარებელი ჰკივის და დგება—
თითქოს თბილისსა, შორით რომ გვხედავს,
მარტოს გული იქ აღარ უდგება.

წინ ორთქმავალი, უკან თბილისი...
ჩემი იმედის უღროოდ მწველი—
აღარ მასვენებს მე ეს სინდისი,
რომ მოვატყუე იქ ხიდის მცველი...

ახ, მეგობარმა რად გამიმეტა—
უკანასკნელად არ გამახარა,
არ შემომძახა: „დადექ, სად მიხვალ!"
და გულში ტყვია არ დამახალა...

აკაკი პაპავა

*** *** ***

ვინც თებერვალში თქვას გაზაფხული

განა ლექსები ყავილებია,
ეზო-ბაღჩათა დასამშვენებლად.
ლექსები ზოგჯერ ნაღარებია,
ვაჟკაცთა გულთა ასაძგერებლად.

შენ, ჩემო ლექსო, შიშველ ხმალივით
კაფე მამულის მტრები ორგული.
მაშინ გაქებდე, როს შენი სმენით
თვით კატის კნუტიც გახდეს ლომგული.

მიმოციქული, როგორც შურდული,
შუა გაუპე ბოროტი გული:
ვინც არ დაიცვას მკერდით მამული,
ვინც თებერვალში თქვას გაზაფხული.

გიორგი პერევისელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14 აპრილი: ქართული ენის დღე

1978 წლის *14* აპრილს ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით კი მისმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ, სამახსოვრო ბრძოლა გადაიხადა, კრემლის მძლავრობისაგან მშობლიური ენის დასაცავად. ახალგაზრდებმა ქართული ენის მტრებს მაშინ უკან დაახევინეს, ქართულმა ენამ თავისი კონსტიტუციური უფლება შეინარჩუნა. თუმცა საბჭოთა ხელისუფლება დიდ პატივს არ სცემს მის კონსტიტუციას, და სწორედ უფრო მეტად ამიტომაც საჭიროა მუდმივი სიფხიზლე, მუხლჩაუხრელი გუშაგობა. ამ სიფხიზლის ნიშანი იყო მოწოდება, რომელიც *1982* წელში მივიღეთ ჩვენი სამშობლოდგან და, რომელშიც სიტყვა-სიტყვით ნათქვამი იყო:

„მტრობა ენისა არს მტრობა ქვეყნის-...“ ი ლ ი ა

„ქართველი ერის მაღალი ეროვნული თვითშეგნების ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო *1978* წლის *14* აპრილის ქართული საზოგადოების მიერ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვა.

გასულ წელს ჩვენმა ერმა *14* აპრილი საქართველოსათვის ლოცვის დღეთ გამოაცხადა. მოგმართავთ ყოველ ქართველს ამ დღეს ლოცვით მოიხსენიოთ სამშობლო ჩვენი, ერი ჩვენი და ენა ჩვენი. დაე, ამ დღეს თქვენს მიერ უფლისადმი საქართველოსათვის დანთებული სანთელი იყოს სიმბოლო ქართველი ერის უკვდავებისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. **ამინ.“**

სრულ სულიერ ზიარებაში დედა-სამშობლოსთან, ჩვენ, უცხოეთში მიმოფანტული მისი შვილები, მთელი ჩვენი სულიერი და ფიზიკური არსებით ვუერთდებით ამ ღირსეულ მამულიშვილურ წამოწყებას და უკვე მეორედ აღვნიშნავთ მას. ამავე დროს არ გვავიწყდება, რომ საბოლოოდ ქართული ენის ისე, როგორც ქართველი ერის უსაფრთხოების ერთადერთი საწინდარია ქართველი ერის თვითხელმწიფება, საქართველოს დამოუკიდებელი სრულუფლებიანი სახელმწიფო, ე.ი. *26* მაისის საქართველოს აღდგენა - აღდგომა.

***

მ ა ი ნ ც მ ო ვ ი დ ნ ე ნ ბ ი ჭ ე ბ ი

გაცოცხლდა მიწა ქართული
მათგან ფეხდანაბიჯები,
სიკვდილს შეპირდნენ და მაინც,
მაინც მოვიდნენ ბიჭები.

ავი შრიალი მოისმა
მოზარე დედის თმებისა,
აპრილის დიღას მოჰქონდა
სუნთქვა ამაჯ მთებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ფუჭე არ ყოფილა
დიდგორში ჩაყრა ძვლებისა,
სისხლი დემეტრეს, თევდორეს,
ახალციხელი ძმებისა.

და, როცა ზღვარი ცოცხალი
გოლგოთას მთასთან შეკავდა,
რუსი ჯალათი მოსკოვში
მთავარ ჯალათთან რეკავდა!

გადაგვარჩინა ღმერთმა და
თავის გაწირვამ ათასთა,
ყოველი წუთი იქ დგომის
ძვირად, რა ძვირად დაფასდა!

კურთხეულ იყოს შვილების
წინაპრის კვალზე დადგომა,
იქნებ ელირსოს ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა.

ცეცხლის დუღაბად დარჩება
მათგან ფეხდანაბიჯები,
სიკვდილს შეპირდნენ და მაინც,
მაინც მოვიდნენ ბიჭები!!!

უცნობი ავტორი,
მიღებული საქართველოდან.

***

ე ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი

კ ი ტ ა ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ს ხ ს ო ვ ნ ი ს ა თ ვ ი ს

ქართული ენის ამაგდართ: ღეა ფლურს, იოლანდა მარშევს, რუთ ნოიკომს.

დიდება შენდა
ქართველთა ენავ,
წარმოშვებულო
სიტყვის გამჩენად.
დედის ღიმილით
მოსულხარ ქვეყნად,
ჩვენი სიცოცხლის
გადასარჩენად.
ლეგენდად დაჰყვა
ქვასა და ლითონს
ქართული მოდგმა,
ქართული ენა —
პირველი ხილვა,
პირველი ცქერა,
ჩვენი სიცოცხლის
გული და სმენა.

დროს წინ მიუძღვის
მამა - პაპები,
ჩაუქრობელი
ბრძოლის ლამპებით,
ჩირაღდანობდნენ
ქართვლის ამბები
ოც საუკუნის
გადალანდებით.
ენა მოჭრილი —
ენა ადგმული,
ჩაუქოლავი
სიტყვა ქართული,
ისე, ვით ხმალი
ფარნაოზისა!
საუკუნებზე
გადამართული.

***

ქართული ენა
მომიზნული
ოქროს ისარი;
მერანთა ქროლვა,
კოლხიდის ცა,
ბრძოლა მზისანი.
არგონავტების
მონავება
ომის საწყისი,
ველური ვნებით
განატაცი
ოქროს საწმისი.
ქართული ენა
ქრისტე ღმერთის
რჩეულ გუშაგად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზისა ჯვარი,
წამებული
წმიდა შუშანა!
ქართული ენა
მზის მარცვლები
დაღვრილი თესლად,
წიგნში ჩამდგარი,
ჯვლის მოწმე,
ნათქვამი ლექსად.
ქართული ენა
ეამთა მოწმე,
ეამთა მსახველი,
ვეფხისტყაოსნის
გადამრჩენი–
შემომნახველი.
მისი ღაღადი
გახიზნული
წირვა–ვედრებით.
შოთას მშობელი,
ქეთევანის
სისხლის წვეთები,
გულჩამარცვლილი
ნოეერი სიტყვის
ბელტები,
ვახტანგის სტამბის
თვითმზიდავი
პერგამენტები.
იყლოთოს გონი
და გელათის
სამი გუმბათი,
ქვეყნის განსწავლით
მონივთული
ქრისტე სულმნათი!
ერუსალიმის
მონასტრები,
წმიდა ლავრები,
პატიოსანი
ჯვარით ხელში
მსხვერპლის გამღები.
ქართული ენა
წინამძღოლი
ქართვლის ცხოვრების,
ხელის ვნებანი,
ქონგურები,
სვეტი ცხოველი.
ხელმონაღები
მზე–თაღები
ჯვლის გამძღები,
კლდის მწვერვალებზე
გარჩენილი
ციხე–ტაძრები.
ქართული ენა
მოსაუბრე
გლეხის ბუხარი,
სიბრძნე–სიცრუის,
სიტყვის კონა,
საბა სულხანი.
ქართული ენა
ჩვენი ქვეყნის
სიტყვა–ცხრეული,
დედად შობილი
და შვილების
დედად გამზრდელი.

***

ისევ მწუხრია
ჩვენი ქართული,
ენა მოჭრილი,
ენა ადგმული,
სიტყვა მზის წყარო,
გული ალმური,
წითელ ორდენით
გამოგვალული,
მარად მნათობი–
ხშირად მაღული,
დროთა ჰიდილში
გამოჩანგული,
დღესაც უმღერის
ქართვლის ცხოვრებას
მისი ბრძოლები
ლეგენდარული.
დიდება შენდა
ქართველთა ენავ!
წარმოშვებულო
სიტყვის გამჩენად,
დედის ღიმილით
მოსულხარ ქვეყნად
ჩვენი სიცოცხლის
გადასარჩენად.

გიორგი ყიფიანი, პარიზი 1976
(გადმობეჭდილი: „კავკასიონი“ №19)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცი რატომ...

არ ვიცი რატომ
მე დავწერე
ქართული ლექსი,
აქ საბერძნეთში...
დელფში, პარნასზე, მთებში
მუზების ახლო
ბორგავდა ისევ
პიფიას სული,
პიფია - მ ქადაგებლის.
კლდიდან
წყალი იმსხვრეოდა
სუფთა და ნაზი,
ჰაერში მშვიდად ესვენა ნისლი,
იყო ზღაპრული იდუმალი
დამსხვრეულ კერპში
და ცოცხალ ქვებში
საოცრება დაუმსხვრეველი.
გაოცებული,
განწმენდილი,
დამონებული
მეც დავიჯერე—
უკვდავი წყარო
უკვდავებაა სილამაზისა.
მეც დავიჯერე
და შევისხი პეშვით
წყლის ნაპერწკლები,
ვიწამე ბედის იდუმალი
და ლურჯ ნისლიან მთებში
სიმღერასავით
მომესმა უცებ
ენა ქართული...
იმ დღეს პირველად
მე დავწერე ქართული ლექსი...
შევცდი? არ ვიცი...
მე მეგონა —
ვარ მეც ქართველი...

ინნა დივნოგორცევა - გრიგოლიასი

დელფი *1965*.

*** *** ***

ქართული ენა დასავლეთში

ქართულმა ენამ დასავლეთში ნელ-ნელა გზა გაიკვლია. ამას, რასაკვირველია, უნდა ვუმადლოდეთ, უპირველესად ჯვლისა თფილისის უნივერსიტეტის მეცნიერებს, რომლებმაც მოგვაწოდეს შრომები ენათმცოდნეობაში და გაადვილეს მისი შემდეგი დამუშავება და სწავლა.

მახსოვს, ***1933*** წელს, როდესაც პრ. მიხაკო წერეთელი ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში ქართულს გვასწავლიდა, მისი მთავარი სახელმძღვანელო იყო ნ. მარის და მ. ბრიერის წიგნი „ლა ლანგ გეორგიენ“, ახლად გამოცემული—***1931*** წ. ეს ვრცელი ქართული ენის

სახელმძღვანელო შეიცავს *858* გვერდს. იგი გამოცემული პარიზში „ფირმინდიდოტის“ მიერ. ამ წიგნს მიუძღვის მორის ბრიერის მი

კიდევ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკა“(თბილისი, 1930), რომელმაც გზა გაუკაფა ქართველოლოგების გზის გამკვლევი არიან აგრეთვე შრომები: გ. დეტერ-ის „ქართული ზმნები“ (ლაიბციგი, 1930), ჰ. ვოგტ-ის „ქართული გრამატიკის ესკიზები“ (ოსლო, 1936), ბ. ტ. რუდენკოს „ქართული ენის გრამატიკა“(მოსკოვი, 1940) რუსულად.

მიუხედავად ყველივე ამ შრომებისა ჯერ კიდევ ცოტანი არიან კავკასიური და ქართული ენების მცოდნენი.

ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებს უნდა დაემატოს განსვენებული კიტა ჩხენკელის და მისი შვეიცარიელი ქართველოლოგების ჯგუფის. ქალბატონების: იოლანდა მარშევი, ღეა ფლური და რუთ ნოიკომის, ნაშრომი „ქართულ - გერმანული სიტყვარი“, რომელიც ციურიხში გამოსცა „ამირან“-ის გამომცემლობამ და, რომელიც გაგრძელდა 1960 - 1974 წლამდე, შეიცავს 26 წიგნს 2470 გვერდით. მათ გააკეთეს დიდი საქმე–ნამდვილი ხიდის გამდები გზა დასავლეთისაკენ.

ამ ფრანგულ და გერმანულ გამოცემებს დასავლეთში ახლა კიდევ დაემატა საუცხოო ორი შრომა ინგლისურ ენაზე: ალის ც. ჰარის „ქართული სინტაქსი“, ვანდერბილტის უნივერსიტეტიდან ამერიკაში, 327 გვერდიანი წიგნი, გამოცემული 1980 წელს და ჰოვარდ არონსონის წიგნი ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან, „ქართული საკითხავი გრამატიკა“, 526 გვერდი, გამოცემული 1982 წელს. ა. ჰარის წიგნში გაკეთებულია განზოგადება ქართული გრამატიკისა და, რომ ქართული არ განსხვავდება სხვა ენებისგან. ეს წიგნი აძლიერებს თეორიას, თუ როგორ შეიძლება გახდეს გასაგები ინდივიდუალური ენები, იძლევა ქართული ენის ნათელ ანალიზს. თავის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ ის იყო საქართველოში 1976 წ. და ქართველებთან რამდენჯერმე ჰქონდა ურთიერთობა 1973 - 78 წწ. ის თავის შრომას თვლის გაგრძელებად ჩიქობავა, შანიძე, თოფურია, ჩხენკელი და ვოგტის შრომებისას. წიგნი შესდგება 16 თავისგან და ბოლო ეპილოგიდან, ტექსტებითა და გრამატიკული ახსნა-განმარტებებით.

ჰ. არონსონის წიგნიც შესდგება 15 გაკვეთილისაგან. თავის შესავალში იგი მადლობას უხდის ვინც მას დაეხმარა და მოჰყავს უცხოეთში მყოფი ქართველები: გივი კობახიძე და დოდო კიზირია, ინდიანას უნივერსიტეტიდან. აგრეთვე მადლობას უხდის საქართველოში

(გაგრძელება იხ. 47 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა !

ძვირფასნო დანო და ძმანო ქართველნო!

ერთხელ კიდევ ჩვენ ვცხოვრობთ პასექის სინამდვილეს და ვესალმებით ურთიერთს გულითადი და მხიარული შეძახილით: **„ქრისტე აღსდგა!“**

ჩვენი ერი ძლიერად შეიგრძნობს იესო ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს, რადგანაც მან განიცადა იგი თავის გრძელ და გმირულ, და ხშირად ტრაგიკულ ისტორიაში. პასექი მუდამ იყო მისთვის ნათელი და თბილი თავშესაფარი საკუთარი მეობის გასაცხადებლად.

მე-8-ე საუკუნის მარტვილის წმიდა ჯვარი ჯვარცმის გამოსახულებით.

ჭეშმარიტად, პასექის ზეიმი თავის თავში ატარებს მოწმობას და თვით სინამდვილეს სულიერი იმედისა, სიხარულისა და ბოროტებისაგან განთავისუფლებისა, და, ამასთან ერთად, ჩვენი შინაგანი განახლებისას.

იმედი და სიხარული მჟიდროდ გადაბმულია ერთმანერთთან. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა ძნელია სიხარულის შენახვა თავისუფლების დაკარგვის პირობებში. სიხარული ნამდვილი, ე.ი. სულიერი სიხარული, არაა დამოკიდებული მატერიალურ სიამოვნებებზე, არამედ ის დაკავშირებულია ადამიანთა მსახურებასთან, რადგან ჭეშმარიტი სიხარული შეუძლებელია ეგოიზმის ნიადაგზე, კაცთმოყვარეობის გარეშე. სწორედ ამაშია იესო ქრისტეს ჯვარცმის მნიშვნელობა. როგორ შეიძლება აღდგომის სიხარული, მისი ბრწყინვალე ზეიმობა თუ არ ვიცით იესო ქრისტეს კაცთმოყვარეობის ღვაწლი?

ქართველმა ერმა განიცადა ასეთი სიხარული, მგონია, იმიტომ, რომ ჩვენს წინაპრებს არასოდეს არ დაუკარგავთ იმედი, თუნდაც

უმძიმეს პირობებში. ეს იყო ჯილდო ქართველი ერის სიმტკიცისა, რომელიც მან გამოიჩინა თავისი ხანგრძლივი და ძნელი ისტორიის მანძილზე.

აღდგომა, რომელიც ჩვენმა ხალხმა ამდენჯერ იდღესასწაულა, არის გამოცდილება გამარჯვებისა და განთავისუფლებისა. მაგრამ, რა არიან ის მტრები, რომლებიც დამარცხებულნი უნდა იქნენ? თავდაპირველად ესენია ცოდვები, და საზოგადოდ ბოროტება. ბევრი ადამიანი ელის ბოროტებისაგან განთავისუფლებას გარეგანი პირობების ცვლილებებით, მაგრამ განთავისუფლების გასაღები იმყოფება ჩვენი, თითოეული პიროვნების, გულსა და შეგნებაში.

იესო ქრისტეს აღდგომა უმთავრესად არის სიკვდილზე გამარჯვება. საღმრთო წერილის მოწმობით ბოროტების ძირი სიკვდილია. და ამიტომ ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, და სიკვდილი დათრგუნა თავისი ნებსითი სიკვდილითვე, ჯვარცმამდე საშინელი ტანჯვის შემდეგ.

სიკვდილის ძალა მდგომარეობს შიშის გრძნობაში. უნდა ვიცოდეთ, რომ სიკვდილი უცხოა ადამიანის ბუნებისათვის, რამდენათაც ის შექმნილია ღვთის ხატად. ესაა საღმრთო წერილის მოწმობა ადამიანზე, რასაც შეიძლება ეწოდოს ქრისტიანული ჰუმანიზმი. სიკვდილის შიშის მთავარი მიზეზი უმეტესობაშია. და იესო ქრისტეს აღდგომა წინდია ამ გრძნობის დაძლევისა, საუკუნო ცხოვრების მინიჭებით.

თუმცა, არსებულ პირობებში, ჩვენს სამშობლოში არ არის ყოველთვის შესაძლებლობა, რომ დავიძახოთ არა ოფიციალური ლოზუნგები, მაგრამ სასურველია, რომ ამ გაზაფხულის ბრწყინვალე დღეებში, ჩვენ წარმოვთქვათ და მოვისმინოთ ჩვენი ტრადიციული: **„ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად აღსდგა!“**

საბოლოოდ, ჩვენი ფიქრები მიიმართებიან იმ ჩვენი ძმებისა და დებისაკენ, რომლებიც ამ ნათელ და სასიხარულო დღესასწაულს ატარებენ ტფილისი-პატიმრობაში. დაე, მათმა გულებმაც იგრძნონ იესო ქრისტეს აღდგომის გამოცხადების სიხარული.

წმიდა ნინოს სახელობის პარიზის მრევლის სახელით ვუღოცავ ყველა ქართველებს, სამშობლოში მყოფთ, თუ უცხოეთში გაფანტულთ, იმედისა და სიხარულის დამტკიცების განახლებას პირად ცხოვრებაში და საყვარელ სამშობლოსათვის.

დანო და ძმანო, ქრისტე ა ღ ს დ გ ა !

დეკანოზი ილია მელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენა დასავლეთში
(გაგრძელება 44 გვერდიდან)

თ. გამყრელიძეს და ს. აფრიდონიძეს.

ეს ორი ინგლისურად გამოცემული შესანიშნავი, ნიჭიერი გრამატიკული შესწავლა ქართული ენისა უსათუოდ დიდი მიღწევაა ჩვენი ენის შესწავლის საქმეში.

თუ ჯელა ზემოდ ჩამოთვლილი ქართული ენის სასწავლებელი წიგნები შეეფერება მოზრდილთა თაობას, დამწყებ და ბავშვებისათვის აქვე გვინდა აღვნიშნოთ და მოვიხსენიოთ „ქართული ენის თვითმასწავლებელი", *1969* წ. თბილისში გამოშვებული ნ. ქადეიშვილისა და რ. ღამბაშიძის მიერ. ეს გახლავთ *174* გვერდიანი ფრანგულ - ქართული თვითმასწავლებელი.

ირაკლი ოთხმეზური

პირველი მაისობა — თამარობა

„თამარობა" — პირველი მაისი — გვაგონებს საქართველოს ოქროს ხანას, ჩვენი, ქართული სახელმწიფოს სულიერ, გონებრივ და ფიზიკურ ძლიერების მწვერვალს, და იგი სიმბოლოა საქართველოს განუყოფლობისა და დამოუკიდებლობის თვითხელმწიფებისა" —

ლევან ზურაბიშვილი

თამარ მეფე

ჩახრუხს ექო თამარ მეფე,
სიტყვის არის ხელოვანი,
ეკადრება ძველ კალმოსანს,
მისით ის სახელოვანი.

მათ გიხილეს პირისპირად,
ბედნიერებს ულირთ ძვირად,
მე შორიდან შემოგხედე,
ჩემებურად მათ წავხედე.

რუსთველს წიგნი წაეკითხა,
შავთელი და ჩახრუხაძე,
მანაც სწერა ხოტბის ხმაზე,
და გვიამბო დედოფალზე.

ბიბი იყავ ქალთა შორის,
უსათუოდ მშვენიერი,
დროს მიჰყება საქართველო,
არ გივიწყოს გონიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელისაბედ, ჯულიანა,
ინდირ, გოლდა მაიერი,
ჩვენი დროის ქალებია,
ფელა შენი მაგიერი.

ცნობილნი და ჩინებულნი,
მათ არ მივცე პირველობა,
ვერ არიან შენი ტოლნი,
თუმც შეშვენისთ შენი დობა.

შავთელი და ჩახრუხაძე,
შეგამკობდა შენ რუსთველი,
მეფედ გრიცხავთ დედოფალო,
და იყავ სულით ძლიერი.

სად სიმშვიდე გჭირდებოდა,
გარჯა გქონდა ლმობიერი,
სადაც მტერი გექადნოდა,
„კლდე“ იყავი შენ ურყევი.

ქვას გიდგამენ დრუნგილისა,
არ გაკლია ქება სხვისა,
მთელმა ერმა შეგითვისა,
ნიშანი ხარ დიდებისა.

მაღრიბიდან შემოგცქერი,
ბრწყინვალებავ მდიდარფერი,
ძლიერი და მიმზიდველი,
შენს აღდგომას კვლავ მოველი.

ოთხმიზდური გემსახურა,
ოთხმეზურმა მოგიხსენა,
გავათავე ჩემი ბწკარი,
და მომეცა ამით ლხენა.

ი. ო.

*** ***

თამარის ეპიტაფია

1

უბისს ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი ვადინე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ისპაჰანს დავდე ბეგარა,
სტამბულს ხარაჯა ავიღე,
ამდენი საქმის მომქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

2

როს გავიზარდე, გავივსე,
თავი ცათამდე გავიღე,
მისრეთს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
მუნ საბალახე ავიღე.
დასავლეთს პალო მივწვადე,
რახსის წყალს გაღმა გავიღე,
ამდენი საქმის მომქმედმა
სული ვარძიას დავიღე.

ვახტანგ კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“
თბილისი *1961*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისობა – შრომის ზეიმი

პირველი მაისი, გაზაფხულის ეს თბილი, მზის სხივებით და თეთრი შროშანებით მორთულ-მოკაზმული, მხოლოდ თამარობის დღესასწაული როდია, არამედ იგი აგრეთვე გახლავსთ შრომისა და მშრომელთა საერთაშორისო საზეიმო დღეც. ეს დღე, თავისი დანიშნულებით, უნდა ემსახურებოდეს მშრომელთა ეროვნულ და საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებას და ხელისუფალთადმი მშრომელთა მიერ ხელფასის მომატების, საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნილებათა წამოყენებას.

ჯელა ქვეყნის მშრომელების ოდითგან საზრუნავ ამ მოთხოვნილებებს, ამ უკანასკნელ წლებში ემატება უმუშევრობისა და თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. ამიტომ, თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები წელს საპირველმაისოდ ქუჩებში გამოვლენ სწორედ ამ ლოზუნგებით. რაც მთავარია და ყურადსაღები: თავისუფალ სამყაროში მშრომელთა დემონსტრაციები და მიტინგები დარაზმული არიან მათი ნება-სურვილით არჩეული პროფკავშირების ირგვლივ და თავიანთ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ, თუ კულტურულ მოთხოვნილებებს უყენებენ საკუთარ ეროვნულ მთავრობებს და არა უცხო სახელმწიფოთა მესვეურებს.

სამწუხაროდ ასე არ არის მთელ მსოფლიოში. პირიქით, დედამიწის ზურგზედ გაცილებით მეტნი არიან ტოტალიტარული წესწყობილების მქონე ქვეყნები. მაგალითად **გ.ე.ო.**-ში(გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში) ***160*** წევრ სახელმწიფოდან ***25***-ა მხოლოდ მრავალპარტიული და დემოკრატიული, დანარჩენებში კი, სოციალიზმის და მშრომელთა ინტერესების საბაბით, მძვინვარებს ერთპარტიული ან სამხედრო დიქტატურები, რომლებიც არ ითმენენ არავითარ მათგან დამოუკიდებელ მუშათა დარაზმულობას.

ლენინის სწავლებაში და პრაქტიკაში თავიდანვე უარყოფილია მარქსის ძირითადი პოსტულატი: „მუშათა კლასის განთავისუფლება, თვით მუშების საქმეა!“ თავის განთქმულ ბროშურაში: **ჩტო დელატ?** ლენინმა მის ადგილას წამოაყენა **პროფესიონალური რევოლუციონერების ყოვლისშემძლებლობა.** აი რას ამბობს ამის შესახებ ქართული სოც. დემოკრატიის მამამთავარი და დამოუკიდებელი საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანია: „...ამნაირად ჩამოყალიბდა ამ დავებში ქართული მენშევიზმი, მუშური და რევოლუციური. განსხვავებული რუსულისაგან, არამუშურისა და ნაკლებად რევოლუციურისაგან... ამნაირათ, საქართველოში მხოლოდ დამკვიდრდა და გაბატონდა მარქსიზმის ძირითადი ორგანიზაციული და პოლიტიკური ლოზუნგი:„მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა.“ ჩვენ გამოვეჯვით, როგორც რუსულს, ისე ევროპულ სოციალიზმს. რუსების ლოზუნგი და პრაქტიკა იყო: „მუშათა განთავისუფლება თავდადებული ინტელიგენციის საქმეა“, ლოზუნგი წმინდა ნაროდნიკული და ახლა სოც. დემოკრატებისაგან მითვისებული.“ (**ნოე ჟორდანია:** „ჩემი წარსული“, პარიზი *1953*.)

აი, ამ „წმინდა ნაროდნიკული“ შეხედულებითა და მეთოდით ექცევიან დღესაც მშრომელ მასებს ლენინის პოლიტიკური მემკვიდრე, დღევანდელი საბჭოთა ხელისუფლებიც. *15* აპრილს მთელ საბჭოთა კავშირში და ჩვენს სამშობლოშიც გამოქვეყნდა კრემლის მმართველების მიერ შედგენილი საპირველმაისო ლოზუნგები სსრკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით. ცენტრალური კომიტეტი კი კონსტიტუციურად და ფაქტიურადაც საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. ე.ი. ის გახლავთ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ბატონ-პატრონი. გამოდის, რომ საბჭოთა ხელისუფლება საპირველმაისო ლოზუნგებს თხზავს, რომ შემდეგ მისივე ბრძანებით ქუჩებში გამოსულმა მშრომელებმა პლაკატებზე წააწერონ ანდა იფიროონ. იფიროონ, მაგრამ ვის გასაგონად? დამბლადაცემულნი ნუთუ ვერ ატყობენ, თუ როგორ კომიკურ მდგომარეობაში არიან?!

ახლა გადახედეთ იმ ლოზუნგებს. ზუსტად სამოცი ლოზუნგია გამოცხადებული, არც მეტი და არც ნაკლები! იქ ფელაფერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ „მსოფლიო ხალხებო! მტკიცედ იბრძოლეთ იმპერიალისტური აგრესიისა და ძალადობის წინააღმდეგ, აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში დაძაბულობის კერებისა და კრიზისული სიტუაციების ლიკვიდაციისათვის!“, „...შეწყდეს ამერიკის შ.შ. აგრესიული მოქმედება ნიკარაგუის წინააღმდეგ და გაიყვანონ ამერიკის ჯარები გრენადიდან!“ და სხვა და სხვა... მაგრამ თქვენ ვერსად ვერ ნახავთ ისეთ ლოზუნგს, სადაც მოთხოვნილი იყოს ხელფასის მომატება, ბინებით უზრუნველყოფა, ანდა

ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანაზე, რომლებიც ბევრად უფრო საინტერესო უნდა იყვნენ საბჭოთა მშრომელებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ერთის მხრით, უცხო მპყრობელების, რუსების ბატონობისგან და, მეორე მხეით, ამ უკანასკნელთაგან დაჯნებული ადგილობრივი ტირანებისაგან. მაგრამ, მანამ სანამ ქართველი ხალხი უცხოელთა ამ უღელს გადაიგდებდეს, ქართველმა სოფლისა და ქალაქების მშრომელებმა უნდა შეეცადონ არსებულ რეჟიმის პირობებში განაახლონ ძველი, თვითმპყრობელობის დროინდელი გმირული ტრადიციები მშრომელთა ინტერესების დაცვისა. საბჭოთა მესვეურების მტკიცება, ვითომც სოციალისტური წარმოების პირობებში მუშათა გაფიცვებს აზრი არ ჰქონდეს, საღ აზროვნებას ვერ დააკმაყოფილებს. ამის გამო, რომ საბჭოთა რეჟიმმა კერძო წარმოება გააუქმა და მთელ მეურნეობას სახელმწიფოში მოუყარა თავი, არ იცვლება ძირითადად მშრომელთა შრომისა და ყოფის პირობები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად არც ერთი „კაპიტალისტური“ სახელმწიფო არ არსებობს, სადაც *20 - 30%* ქვეყნის მეურნეობისა სახელმწიფოს ხელში არ იყოს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ცვლის მშრომელთა დარაზმულობის საკითხს ამ სახელმწიფოებში, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვები უპირველესად სწორედ სახელმწიფო სექტორში ცხადდება ხოლმე. ცხოვრება რომ წინ წავიდეს, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა რომ გაუმჯობესდეს, ამისათვის საჭიროა, მე ვიტყოდი: აუცილებელია, რომ საბჭოთა კავშირში შეიქმნას ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პროფკავშირები.

მშრომელთა პროფკავშირების მრისხანე იარაღი მუდამ იყო და უნდა დარჩეს კიდევაც მომავალში—გაფიცვა. პროფკავშირების საქმე არ უნდა იყოს წარმოების არსებული წესის არც დაცვა, არც წინააღმდეგ ბრძოლა. ამისთვის მოწოდებული არიან პოლიტიკური პარტიები. (სამწუხაროთ ამ პრინციპს არ იცავენ დასავლეთ ევროპის მუშათა პროფკავშირები). ჭეშმარიტი პროფკავშირების მოწოდებაა იზრუნოს მშრომელთა ხელფასების მომატებაჭე ფასების სტაბილურობის პირობებში, შრომის პირობების, სამედიცინო მომსახურების, მოხუცებულობის საარსებო მდგომარეობის, სწავლა-განათლების პირობების და სხვა საყოფაცხოვრებლო პირობების გაუმჯობესებაზე.

ამ *1984* წლის პირველ მაისს ვესალმებით ჩვენი სამშობლოს ფელა პატიოსან მშრომელს და ვუსურვებთ დიდ ეკონომიურ წარმატებებს.

პაპუნა ლუბაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როზგის მომხრე ანდროპოვი

ელოდნენ ლიბერალს, ამერიკული ჯაზის მოყვარულს, დასავლეთისა და ინგლისური ენის სპეციალისტს, გამოდგა კი პოლიციელი, კაცი მომთხოვი დისციპლინის, რეპრესიების და რუსიფიკაციის. თუ იური ანდროპოვის ეკონომიკური რეფორმები ბურუსში იმყოფებიან, სამაგიეროდ ამ უკანასკნელი *15* თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შიგნით რაღაც-რაღაცები გამოიცვალნენ. კულტურის და იდეოლოგიის ფრონტზე ეს იყო მოწოდება სოციალისტური რეალიზმის დაცვისაკენ ყოველ დარგში: კინოდან თეატრამდე, მხატვრობიდან სოციოლოგიამდე. სოციალურ დარგში, მოწოდება შრომის გაძლიერებისადმი, გაცდენებისა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ, ესენია მთავარი მახასიათებლები ანდროპოვის *15* თვის ზეობისა.

1982 წლის ნოემბრის შემდეგ სამი დამახასიათებელი კანონი იყო მიღებული: პირველი მდგომარეობდა საზღვრების განმტკიცებაში და კ.გ.ბ.-ის, როგორც ტერიტორიის მცველის, ახალი, დამატებითი იარაღით აღჭურვაში, რათა უკედ შასრულოს მისია, უცხოელთა „შემოჭრების“ და ჯაშუშებისაგან მშობლიურ მიწა-წყლის დაცვისა. კიდევ უფრო შეიზღუდა საბჭოთა მოქალაქეების თავისუფალი მოძრაობა. შედეგი? სამხრეთი კორეის თვითმფრინავის „ჯაშუშთა“ *269* დაღუპული და *30* მსხვერპლი(*9* მოკლული და *20*-ამდე დაჭრილი) თვითმფრინავში, რომლის გზიდან გადახვევას და თურქეთში გასვლას ცდილობდნენ საქართველოდგან.

მეორე კანონი მიზნად ისახავს პატიმართა ზედამხედველობის გაძლიერებას, ის ნებას აძლევს საპატიმროებისა და ბანაკების უფროსებს ადმინისტრაციული წესით გაუგრძელოს პატიმრობა, მის განკარგულებაში მყოფ პატიმრებს. ამ კანონის შედეგებზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ნაადრევია, მაგრამ ერთმა ნაწილმა პატიმრებისა, რომლებიც ჰელსინკის ხელშეკრულების მეთვალყურეობის ბრალდებით იყვნენ დასჯილი, უკვე მიიღო პატიმრობის გახანგრძლივება. სტალინური მეთოდების წმინდა ხსოვნა!

მესამე კანონი, არა ნაკლები სხვებისა, რომელიც ამ თვის დასაწყისში იყო მიღებული, აწესებს ორიდან სამ წლამდე პატიმრობას იმ საბჭოთა მოქალაქეთათვის, რომლებიც „ოფიციალურ“ ცნობას

შეატყობინებენ უცხოელებს.

კრემლის ახალი ხაზეინი კ. უ. ჩერნენკო

საინტერესოა კრემლის ასეთი „ღეგალურობისაკენ“ მიდრეკილების გამოვლენა: **ს.ს.რ.კ.** *3* კანონს ღებულობს, რომლებიც წინააღმდეგი არიან ჰელსინკის ხელშეკრულებათა ვალდებულებების და ეს ისე, რომ არავითარ საწინააღმდეგო რეაქციას არ იწვევს ამ ხელშეკრულების სხვა ხელისმომწერლებისაგან.

15 თვის ბალანსი ამით არ ამოიწურება. იური ანდროპოვი, რომლის წარმოშობასაც ხან ებრაელობას, ხან ჩრდილო-კავკასიელ სომხობას უკავშირებენ, შორსაა ეროვნებათა მოთხოვნილებებისაგან, პირიქით, მან გაორკეცა საქმიანობა რუსიფიკაციის სასარგებლოდ. ნაციონალურ რესპუბლიკებში, ბალტიიდან შუა-აზიამდე, საქართველოსა და უკრაინის ჩათვლით, ადგილი აქვს ნამდვილ ბრძოლას ისტორიკოსებთან, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ეროვნულ გადამხრელობაში, ხელოვნების შედევრების მიმართ, რომლებიც ადგილობრივი კულტურის შთაგონების არიან და, რომლებიც არქაულ ტრადიციების გადმონაშთებად ცხადდება.

გაზაფხულზე პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, არ დაზოგოს ძალ-ღონე, რათა გაუმჯობესოს ყველა რესპუბლიკებში რუსული ენის ცოდნა. ბოლოს, ანდროპოვმა წამოიწყო ფართო რეფორმები, რომლებსაც უეჭველად მისი მემკვიდრე გააგრძელებს...არა ეკონომიის, არამედ სწავლა-განათლების. ეს „პროგრესული“ რეფორმა ეხება სხვადასხვა ასპექტს: სასკოლო ასაკის წაწევა *7*-დან *6* წლამდე, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას, შრომის დისციპლინის ათვისებას და სხვა. აღსანიშნავია ორი განკარგულება, ყველაზე მნიშვნელოვანი: ბავშვთა შრომის უფლების გაუქმება და აგრეთვე ტექნიკური განათლების პროფესიულ სკოლებსა და კლასიკურ განათლების სკოლებს შორის განსხვავების გაუქმება. დღეიდან ყველა საბჭოელს შეუძლია ერთსა და იმავე დროს ისწავლოს და ბავშვობიდანვე ჩაებას შრომაში, რათა უკედ გაიგოს მისი არსი და მექანიზმი. წინააღმდეგ ამისა, *15* თვის განმავლობაში ადგილი არ ჰქონებია არც ერთ ნაბიჯს არც შინაგანი და არც გარეშე დაძაბულობის შესანელებლად, იქ სადაც ამას ელოდნენ: პატიმართა განთავისუფლება(სახაროვი, შჩარანსკი), ებრაელთა ემიგრაცია, სატელეფონო

კავშირი, ანდა დაშორებული ოჯახების თავმოყრა.

ამ ცვლილებათა ბუნება და ხასიათი, მათი შეტანა „სოციალისტურ ლეგალობაში“ გვაფიქრებიებს, რომ საქმე გვაქვს ნაგრძნობ ცვლილებებთან და არა დროებით გამყინვარებასთან. იგი არაა, არც ანდროპოვის საკუთარი დამღი, არც ე.წ. დეტანტის ნიშანი, ეს ახალი საშინაო პოლიტიკა პასუხია უპირველესად საბჭოთა საზოგადოების ღრმა პრობლემებისა.

ს. ქართველი,

თარგმნილია ფრანგული დიდი ყოველკვირეული ჟურნალიდან: „„ლ'ექსპრეს“ *1984* წ. *17 - 23* თებერვალი.

*** *** ***

დაწუნებული ჩერნენკო

„თავისუფლების ტრიბუნა“-ს უკანასკნელ ნომერში ნათქვამი იყო, რომ იური ანდროპოვი პოლიტიკურად უკვე დიდიხნის მკვდარიაო, დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მისი ფიზიკურად გარდაცვალების ამბავიც შევიტყვეთ, ოფიციალურად ის გარდაიცვალა *9* თებერვალს *16* საათსა და *50* წუთზე.. ანდროპოვის ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის დროს კრემლის საიდუმლო კონკლავს საკმაო დრო ჰქონდა კომუნიზმის პაპის კანდიდატურის შესარჩევად. უკვე გასული წლის ივლის-აგვისტოდან საცნაური იყო, რომ ბრეჟნევის სიკვდილის შემდეგ დაწუნებული **კონსტანტინე უსტინოვიჩ ჩერნენკო** ისევ ზედაპირზე ამოდიოდა და მართლაც სამძიმარზე მოსულ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ადგილის ბატონ-პატრონად ეს უკანასკნელი წარუდგა.

როგორც ეტყობა ბრეჟნევის მერე კანონდება, რომ პარტიის **გენსეკი** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეც უნდა იყოს და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც. ჩერნენკოს მიმართ ეს სწრაფად გატარდა მაშინ, როცა ანდროპოვს ხანგრძლივი ბრძოლის გადახდა მოუხდა.

ვინ არის და რა კაცია ჩერნენკო? დასავლეთის საინფორმაცია წყაროები მასზე საამაყო და სასიქადულო შეხედულობის არ არიან, შესაძლებელია, რომ ამის ნაწილობრივი მიზეზი მაინც თვით აწ მიცვალებული ანდროპოვი იყოს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდავოა: ჩერნენკო საბჭოთა რეჟიმის წმინდა პროდუქტია, და მისი კლასიკური გარჩევა არ შეიძლება. ფაქტია, რომ ის ნიჭით ~~ერ~~ ~~ბ~~ წერნავს, არც დიდი კულტურით და არც თავმოყვარეობით. ჯერ კიდევ გუშინ, როცა კრემლის საიდუმლო ძალთა სასწორმა ანდროპოვისაკენ გადაწონა და მან როგორც მოქიშპემ საფრთხე იგრძნო, ჩერნენკომ არ იუკადრისა თავად წამოეყენებია მისი მეტოქის კანდიდატურა, დღეს, როდესაც ბედმა მას გაუღიმა და ძალაუფლება მის ხელთაა, ის მით უფრო საშიში და დაუნდობელი შეიძლება იყოს. თქმა არ უნდა, რომ მას ჩეკა-მ.ვ.დ. - კ.გ.ბ.-ს წვრთნა გავლილი ექნება და არც ის ამბავი იქნება საფუძველს მოკლებული, რომლის მიხედვითაც ის თითქოს ჯოველდღე ასობით ადამიანს ხვრეტდა დნეპროპეტროვსკში ომის წინ *1938 - 41* წლებში, როგორც მ. ვ. დ.-ს უფროსი. ყველაზე მნიშვნელოვანი მას მაინც წინ უდევს. მართალია, რომ ის ერთპიროვნული ჯოველის შემძღე დიქტატორი არ არის, არამედ ოლიგარქთა შორის პირველი, მაინც მას ძალიან ბევრი რამ შეუძლია, განსაკუთრებით საკაცობრიო ომისა და ზავის საკითხში და ამიტომაც ახალი ამბების პროჟექტორები დღეიდან მისკენ იქნებიან მიშვერილი. თუ ხანდაზმულობა სიბრძნის სინონიმია, მაშინ *53* წლის გორბაჩევს *72* წლის ჩერნენკო უნდა გვერჩიოს.

შარნაოზ მამულაძე

*** *** ***

ამერიკის არჩევნები

მსოფლიოს სამ ზონად ჰყოფენ: ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნები, ვარშავის ბლოკის კომუნისტური ქვეყნები და მესამე მსოფლიო, ანდა განვითარებადი ქვეყნები. მესამე სამყარო არ წარმოადგენს პოლიტიკურად ერთგვარს. პრინციპში ისინი მიუმხრობლები უნდა იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში ზოგი საბჭოთა კავშირის ძმადნაფიცია და ზოგიც –ამერიკა-დასავლეთის. ასე, რომ საბოლოოდ მსოფლიო ორ მთავარ ბანაკად არის გაყოფილი და მათი საბოლოოდ შერიგება არამც და არამც არ მოხერხდება, ისევე, როგორც შეუძლებელია წყლისა და ცეცხლის თანაარსებობა. ვინც წინააღმდეგს ქადაგობს, ის თავს იტყუებს, ან სხვებს ატყუებს. ახალი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თავისუფალი

მსოფლიოს მთავარი დასაყრდენი ამერიკის შ. შტატებია. როცა ამერიკას სურდო ემართება, დანარჩენი თავისუფალი კაცობრიობაც ცხვირის ცემინებას იწყებს და ამიტომაც ამერიკის ჯანმრთელობას აქვს საკაცობრიო მნიშვნელობა. ამერიკის ჯანმრთელობა კი დიდათ არის დამოკიდებული მის მთავრობაზე, რომელსაც ამერიკის ხალხი ყოველ 4 წელიწადში ირჩევს და რასაც მთელი მსოფლიო დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს. ინტერესს ისიც აძლიერებს: არჩევნები ხდება სრულ თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში და წინასწარ გადაწყვეტილი არაფერი არ არის, ყოველგვარი სიურპრიზია მოსალოდნელი.

პრეზიდენტი და ქ–ნი ნანსი რეიგანი თვითმფრინავს იღებენ მას შემდეგ: რაც რ. რეიგანმა მომავალი პრეზიდენტის კანდიდატად გამოაცხადა თავი.

სწორედ წელს უნდა მოხდეს ერთ-ერთი ასეთი არჩევნები და ამჟამად გაშლილია პირველადი არჩევნები, ანუ პარტიების მიერ საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევა. როგორც წესი, ხელისუფლებისათვის ბრძოლა უმთავრესად ამერიკის ორ დიდ პარტიას შორის წარმოებს: დემოკრატები და რესპუბლიკელები. წელს რესპუბლიკელები ერთად დარაზმული გამოდიან პრეზიდენტ რ. რეიგანის კანდიდატურის უკან, მაშინ, როცა მკაცრი ომი სწარმოებს დემოკრატებში პრეზიდენტობის კანდიდატის ინვესტიტურის მისაღებად. გაუთვალისწინებელი მარცხის გარეშე, ამჟამად უკვე არსებული მონაცემების მიხედვით, დემოკრატიული პარტიის კონ-

––– ––– –––

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვენციამ **ვალტერ მონდალი** უნდა წამოაყენოს პრეზიდენტობის კანდიდატად.ბ. მონდალი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, გამოცდილი სახელმწიფე მოღვაწეა, მაგრამ არ შეიძლება მის პრეზიდენტად არჩევას ხელი არ შეუშალოს სწორედ ამ გამოცდილებამ. ის ვიცე-პრეზიდენტი იყო **ჯეიმს კარტერის** პრეზიდენტობის დროს, რომლის განმავლობაშიც ამერიკამ დიდი დიპლომატიური მარცხი განიცადა, განსაკუთრებით ირანის მხრით, რის პასუხისმგებლობასაც მას დააკისრებს ალბათ არა ერთი ამომრჩეველი.

სან ფრანცისკოს ქალაქის თავი ქალ-ნი დიანა ფაფაინსტაინი ბ. დავით ბებიაშვილთან ერთად ერთ-ერთ საჯარო შეკრების დროს, საახალწლოდ.

--- --- ---

სულ სხვაა პრეზიდენტ რეიგანის მდგომარეობა. სამი წლის განმავლობაში მან გადაჭრით შეცვალა შეხედულება ამერიკის შ. შტატებზე. რეიგანის ამერიკა პასიურად კი აღარ განიცდის საერთაშორისო მოვლენებს, არამედ ის კიდევაც ქმნის მათ. მან უყოყმანოდ მიიღო კრემლის გლობალური გამოწვევა. ევროპაში ამერიკის საპატიო პოზიციები აღადგინა, დღეს ბურთი საბჭოთა მხარეზეა. აფრიკაში საერთოდ და კერძოდ მის სამხრეთ მხარეში ჩვენ წინ ხდება მდგომარეობის სრული გადაფრავება თავისუფალ ბანაკის სასარგებლოდ, აზიაში ძველი მეგობრები გამხნევებულია(ტაივანი, სამხრეთ კორეა) და ამავე დროს კომუნისტურ ჩინეთთანაც სავა-

სან ფრანცისკოს ჩვენი თანამემამულეთა ერთი ჯგუფი: (მარჯვნიდან მარცხნივ) **ბბ. ალექსანდრე სულხანიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, აწ განსვენებული ვანო ნანუაშვილი, ვანო მაჩაბელი**[გად. *1975*]

--- --- --- ---

ჭრო, კულტურული და დიპლომატიური ურთიერთობა გააძლიერ –განამტკიცა. საერთაშორისო სარბიელზე რ. რეიგანს საამაყოდ ისიც ეყოფა, რომ იგი ყველაზე დიდი საფრთხობელაა მსოფლიო კომუნიზმისა და საბჭოთა სტრატეგებისა.

რ. რეიგანის პრეზიდენტობის ყველაზე შთამბეჭდავი უბანი მაინც ამერიკის შინაური მეურნეობაა: ნულამდე ჩამოსულმა პროდუქციის წლიურმა მატებამ *7 -8* პროცენტს მიაღწია, გასულ წელში ოთხი მილიონი ახალი ამპლუა შეიქნა და უმუშევართა რიცხვი აქტიური მოსახლეობის *11*-დან *7%*ამდე ჩამოვიდა. რაც შესანიშნავია: ინდუსტრიის წინ სვლა მიმდინარეობს ფულის მინიმალურ ინფლაციის პირობებში, ხოლო დოლარის ღირებულება საერთაშორისო ბირჟებზე ორჯერ და მეტით სჯარბობს ჯ. კარტერის პრეზიდენტობის დროის დოლარის ღირებულებას.

მოწინააღმდეგეთ შეუძლიათ რ. რეიგანს უკიჟინონ ხანდაზმულობა, ასეთები მას შეუძლია ჩააჩუმოს თავისი იშვიათი ჰარმაგობით და, რომ მას თანაშემწედ ჰყავს ახალგაზრდა, ენერგიული და დიდი გამოცდილების მქონე **ჯორჯ ბუში.**

დემოკრატიული ქვეყნების ამომრჩევლები ჭირვეული არიან და თავიანთ ხმების მიცემის დროს ისინი არ ხელმძღვანელობენ არც ჰეგელის დიალექტიკით და არც არისტოტელის ლოგიკით. მხოლოდ მათი ხმების უმრავლესობა გადაწყვეტს არჩევანს.

ქ. **კალიფორნიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის ცხოვრების კვალის დამჩნევი
აკაკი ჩხენკელი: დაბადებიდან *110* წელი

ა. წ. *11* მარტს, პარიზში, ქართული ეკლესიის ბინაზე, სათვისტომოს თავმჯდომარის, ბ. თამაზ ნასყდაშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა კრება განსვენებული აკაკი ჩხენკელის ხსოვნისადმი მიძღვნილი, მისი დაბადებიდან *100* და გარდაცვალებიდან *25* წლის შესრულებასთან დაკავშირებით.



დგას ბ– აკაკი, სხედან ქალ-ნი მაკრინე და შვილი ალექსი ჩხენკელი [გადაღებულია *1932*.]

ამ კარგი საქმის თაოსანი გახლდათ ჩვენი უხუცესი მოღვაწე ბ. **ვალიკო ჩუბინიძე** და მთავარი მოხსენებაც მან გაუკეთა შეკრებილთ იუბილარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

თავმჯდომარის შესავალი სიტყვისა და მომხსენებელის შემდეგ, კრებას იუბილარის შესახებ მოგონებები და შეხედულებები გაუზიარეს: ბბ. მიხეილ ქავთარაძე, ილია მელია, იკო ურუშაძე და გიორგი წერეთელმა. ქვემოდ ბ. ვალიკო ჩუბინიძის შემოკლებული მოხსენება.

„აკაკი ჩხენკელი დაიბადა *1874* წელს, გარდაიცვალა ხანდაზმული *1959* წელს და განისვენებს ჩვენი ღვივილის ძმათა სასაფლაოზე. მამამისი ივანე მღვდელი იყო, უაღრესად კულტურული და განათლებული ქართველი პატრიოტი. ის აფხაზეთში იქნა გამწესებული, რადგანაც იმ დროს ჩვენი საეკლესიო და საერო მოღვაწეები ცდილობდნენ ამ კუთხის გაქართველებას და საქართველოსთან შემომტკიცებას. ივანეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი და სახელოვანი შვილები ჰყავდა: უფროსი, მიხაკო იყო ექიმი, აკაკი იურისტი და ჟურნალისტი, ლუკა–ბეითალი, კიტა–პროფესორი, დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი, ქალიშვილებიდან, ერთი ჰყავდა კულაშელ კანდელაკს, მეორე–აბაშელ ჭანტურიას.

ხონის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, აკაკი შეჯავთ თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ იმ დროს მეტად მკაცრი ბრძანებები იყო და ქართული ენა და წიგნების კითხვა იდევნებოდა. *1898* წელში მთელი სემინარია გაიფიცა, რის გამოც გაირიცხა ბევრი მოწაფე, მათ შორის ა. ჩხენკელიც. აკაკი მოსკოვში გაემგზავრა და იქ შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. აქაც ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სტუდენტთა მოძრაობაში. მაღე ცოლად ირთავს მაკრინე სიმონის ასულ თურქიას და სასწავლებლად მიემგზავრება ევროპაში, *1907* წელს ამთავრებს ლაიფციგის უნივერსიტეტს და შემდეგ კი აგრძელებს ჟენევის უნივერსიტეტში. *1909* წელს ბრუნდება სამშობლოში, ებმება ჟურნალ-გაზეთების საქმიანობაში, წერს უმთავრესად ეროვნულ და საპარლამენტო საარჩევნო საკითხებზე.

1910 წელს ადგილი აქვს მასიურ დაპატიმრებებს, შემჩნეულ პირებს ფელას ადმინისტრატიული წესით ასახლებენ როსტოვში და ნოვოსიბირსკში. ნოე ჟორდანია ამ დროს ცხოვრობდა ლანჩხუთში ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ, სახლიდან უნებართვოდ ვერ გავიდოდა. აკაკი დარჩა ჩვენი გაზეთის რედაქტორად. სილიბისტრო ჯიბლაძე იმ ხანად ჭიათურაში ცხოვრობდა, სადაც მისი ოჯახობა, ქალ-ნი ოლგა კბილის ექიმად მსახურობდა საავადმყოფოში. ერთ დღეს, სილიბისტრომ საგაზეთო წერილების დასტა გადმომცა და დამავალა თბილისში რედაქციაში ჩამეტანა აკაკისთან. აკაკი წყნეთის ქუჩაზე ცხოვრობდა, როცა იქ მივედი, დამხვდა ქალ-ნი მაკრინე ატირებული: უთენია დილით ჟანდარმები მისულიყვნენ, გაეჩხრიკათ ბინა და მერე აკაკი თან წაეყვანათ. მაკრინემ არ იცოდა თუ სად? მაღე წადი აქედან, მითხრა მაკრინემ, თუ არა შენც დაგიჭერენო. მე დავამშვიდე მაკრინე, წავედი რედაქციაში, იქ ვინახულე ვასო წულაძე, არსენა ლომთათიძე, გრიგოლ სინაურიძე და მათ გადავეცი სილიბისტროს წერილები. იქ გავიგე, რომ აკაკი იყო მეტეხის ციხეში. მე და მაკრინემ ვინახულეთ აკაკი მეტეხში, მან მაკრინეს უთხრა, ადმინისტრატიული წესით როსტოვში მასახლებენ, შენც მოემზადე, რომ ჩემთან ერთად წამოხვიდეო. აკაკი როსტოვში გადაასახლეს *1910* წლის აგვისტოში. მაშინ იქ იმყოფებოდნენ: ნოე რამიშვილი, ნესტორ ჩხიკვაძე, ზაქარია გურული, უშანგი ელიავა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ელიავა, ანდრო ჭიაბრიშვილი და სხვები.

დიდხანს არ გაუვლია, მეოთხე დუმის არჩევნები დაიწყო. ამ-ჯერ-ამ-ჯერ-ობით გებმა ბათუმიდან და აფხაზეთიდან დეპუტატად აკაკი ჩხენკელის კანდიდატურა გამოაწყვეს, აკაკი ჩუმად ჩამოიყვანეს როსტოვიდან, ვექილმა გრიშა გიორგაძემ საპირო მოწმობები მოამზადა. დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული იყვნენ: სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე, ალექსანდრე შერვაშიძე, გაზეთ „ბატუმსკი ვესტნიკის“ რედაქტორი გიორგი ვოლსკი და აკაკი ჩხენკელი. სულ ორივე საარჩევნო ოლქიდან იყო *16* დიდი ამომრჩეველი. პირველმა ორმა სულ ცოტა ხმები მიიღეს, ვოლსკიმ *–7*, ხოლო აკაკიმ*–11* ხმა. როცა ბათუმის პოლიცმეისტერმა გაიგო არჩევნების შედეგები, თვითონ მივიდა ოტელში, სადაც აკაკი ცხოვრობდა, ჩაისვა ფაეტონში და დიდი ამბით მიიყვანა ქალაქის თვითმმართველობაში, მიუღოცა და გადასცა დეპუტატობის მანდატი. აკაკიმ მადლობა გადაუხადა, როგორც პოლიცმეისტერს, ისე ამომრჩევლებსა და დამსწრე საზოგადოებას და გასწია პეტერბუგისაკენ.

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)

ვალიკო ჩუბინიძე

სამგლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას :

--- --- ---

1984 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ქ. ნიუ-იორკში გარდაიცვალა ბ. **გრიგოლ** (გრიშა) **აბულაძე**.

--- --- ---

ა. წ. *16* თებერვალს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პარიზში გარდაიცვალა **შალვა** (შალია) **კალანდაძე**, *24* თებერვალს დაკრძალული იქნა ღევილის სასაფლაოზე.

--- --- ---

ა. წ. *21* თებერვალს, პარიზში გარდაიცვალა ქალ–ნი **სუზან დე ლატესი - ვაჩნაძე**, *27* თებერვალს დაკრძალული იქნა ღევილში.

--- --- ---

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ა. წ. *1* მარტს, პარიზში გარდაიცვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა *75* წლის ასაკში ბ. **გიორგი ნანაძე,** დაიკრძალა ლევიტის სასაფლაოზე სამშაბათს *6* მარტს.

--- --- ---

ა. წ. *24* მარტს, ჭარმაგად მყოფი, გულით მცირე ხნით ავადმყოფობის შემდეგ სენტ - ეგრევში (*38120 st - Egr eve*) ქ. გრენობლის მახლობლად გარდაიცვალა **მიშა გაფრინდაშვილი** და დაიკრძალა ადგილობრივად.

--- --- ---

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ დამწუხრებულ ჰირისუფლებს.

*** *** ***

ბატონო გიორგი,

ძალიან დამავალებთ თუ ქვეით ნახსენებ სტრიქონებს გამოაქვეყნებთ:

„მეტად დაგვიანებით და დიდმწუხარებით მივიღე, მხოლოდ „თ.ტ."-ის საშუალებით, ძვირფას და დაუვიწყარ ქალ-ნ თამარ ბერეჟიანის მიცვალების ცნობა. ამ ქართველ პატრიოტ მანდილოსანს და ბერლინის უღამაზეს ქალს *1938* წლიდან, ქ. ბერლინიდან ვიცნობთ, სადაც ქართულ ეროვნულ წრეში, უმთავრესად საწყალ რომან და საშა მკურნალთ ოჯახში ვხვდებოდით. მეტად მოვხუცდი და პარიზში უკანასკნელად *1977* წელში ვიჯვი.

ძვირფასო თამარ, ჩვენ წუთისოფელს ამდენი აუხსნელი საიდუმლოება აქვს, რომ ვინ იცის, იქნებ მაღე ისევ მეღირსება შენი ნახვა. –და ბატონ შოთას ჩემი უღრმესი სამძიმარი."

რაფიელ ჯაში"

*** *** ***

მოგონება თამარ ბერეჟიანზე

1943 წელში ბერლინში დაარსდა ქართული სოც. დახმარების განყოფილება, რომელიც იყო საერთაშორისო წითელი ჯვრის ფილიალი. ამ განყოფილების უფროსად გახლდათ ქალ - ნი **ტ ი ც ი** (შემდეგში ქალ. ბერეჟიანი). მე ვიყავი საფრანგეთიდან სამუშაოდ წაყვანილი, მაგრამ ავადმყოფობის გამო გამანთავისუფლეს და დავრჩი ბერლინში.

ეს ის ეპოქა იყო, როცა ძალიან ბევრი გადმოხვეწილი მოაწყდა აღმოსავლეთიდან(ოსტ–არბაიტერ-ები), მათ შორის ქართველების სა-

კმაოდ მოზრდილი ჯგუფი, თუ არ ვცდები 12 ქართველი ქალიშვილიც იყო. ყველა ამათ მოვლა სჭირდებოდათ და უნდა გვენახა, თუ გორ ენერგიულად პატრონობდა ქ. თამარი მათ ყველას. ამის გარდა, თამარი მოგზაურობდა გერმანიის ყველა ქალაქებში, სადაც კი ქარხნებში ქართველები მუშაობდნენ, რომ მათი მუშაობის, კვების და ჩაცმა-დახურვის პირობები გაეუმჯობესებია. ერთ ასეთ მოგზაურობის დროს ავსტრიაში შემთხვევით შეხვდა საფრანგეთიდან ჩაყვანილ ქართველებს: **ს. ჭირაქაძეს, გ. გრიგოლაშვილს** და **ილიკო სალუქვაძეს.**

1943 წლის ბოლოს, ამდენ ლტოლვილებს კიდევ მოემატენ პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან ძველი ემიგრაცია. საჭირო გახდა მათი ერთად მოთავსება. ქალ. თამარმა მოახერხა ორი დიდი სახლის დაქირავება ავსტრიაში სოფელ მიტერზილში და ერთი თვის განმავლობაში ჩაასახლა *145* ბავშვი და დიდი. მეც იქ მოვხვდი და საფრანგეთიდან იქ ჩვენთან ერთად იყვნენ: **ჟორა ინჯია, გრიგოლაშვილი, ლორთქიფანიძე, თინა დადიანი.** თინა ფეხმძიმედ იყო და ცალკე ბინაში მოეწყო. მიხეილ ქავთარაძის მეუღლეც ცალკე ბინაში იყო პატარა გოგონათი. ყველაფერს თავდადებულად უძღვებოდა თამარი. ბავშვებისთვის რძე უნდა ეშოვნა და ყველასთვის საკვები. თოვლში დილით ადრე დარბოდა იქით - აქეთ, რომ არავის არ დაკლებოდა მოვლა.

ომის დამთავრების შემდეგ ამერიკელებმა დაიკავეს სოფელი. *95* საბჭოთა მოქალაქე ქართველი საბჭოებში დააბრუნეს, დანარჩენეკი ზოგი გერმანიაში და ზოგი საფრანგეთში დაბრუნდა. თამარი შოთა ბერეჟიანს შეუუღლდა აქ, მიტერზილში...

თამარმა საფრანგეთშიც ყველას შეაყარა თავი...და აი, სიკვდილმა გამოგვტაცა მისი თავი ხელიდან. თავს ვიხრი მისი ძვირფასი ცხედრის წინაშე. მისი სახე დაუვიწყარი იქნება ყველა ჩვენთვის.

მელიტონ ყდენტი

*** *** ***

შალვა კალანდაძის დაკრძალვა

შ. კალანდაძის დაკრძალვას ადგილი ჰქონდა პარასკევს *24* თებერვალს ღევილის სასაფლაოზე. სასულიერო და საერო პანაშვიდი ჩა-

ტარდა ლევიღის ფრანგულ ეკლესიაში. სანამ წესის აგებას შეუდგებოდა, მამა **ილიამ** ვრცლად დაახასიათა მიცვალებულის ეროვნული და მოქალაქეობრივი ღირსებანი. წესის აგების შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს: სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბ. თამაზ ნასყიდაშვილმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით მიხეილ ქავთარაძემ, რომლის ტექსტიც აქვე იბეჭდება, ქ. მიუნხენის მეგობრების სახელით ალექსანდრე პერუანსკიმ, ედუარდ ოგანესიანმა რადიო „თავისუფლების“ სომხური რედაქციის სახელით, ლევან ფაღავამ საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს სახელით.

გამოსათხოვარი სიტყვა

ალბათ ბევრს შეუნიშნია, რომ ჩვენში არიან გვარები, რომლებიც, აუხსნელი მიზეზით, უფრო მრავლად წარმოშობენ ხოლმე ისეთ პიროვნებებს, რომელნიც განსაკუთრებულ ნიჭს იჩენენ კულტურულ სფეროში. ერთ ასეთ გვარს ეკუთვნოდა ჩვენი შალია, რომელიც კალანდაძეთა გვარს ატარებდა. იგი უთუოდ დაბადებული იყო იმისთვის, რომ კულტურულ ასპარეზზე ემოღვაწნა. მაგრამ, ამ კულტურულ სფეროში მას ისეთი განსხვავებული და ყოველდღიურ ცხოვრებიდან ისე დაშორებული დარგი ერგო მისი ინტერესისა და უნარის მიმზიდველად, რომ ყოველ ჩვენთაგანზე უფრო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საგანი, რაც მას იზიდავდა და მის ინტერესს აცხოველებდა იყო კლასიკური ფილოსოფია. მოგეხსენებათ, რომ ასეთი საგნით გატაცებული ადამიანი კიდევ უფრო მეტად არის დაშორებული ცხოვრების ყოველდღიურ საკითხებს, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე რელიგიის მსახური.

ამიტომაა, რომ თუ ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია თქვას, რომ ჩვენი ცხოვრება ისე ვერ მიმდინარეობდა, როგორც ამას უნდა ედინა, რადგან ჩვენ ქვეყანას მოწყეტილები ვართ, შალვას არა მარტო იგივე სატკივარი ჰქონდა, არამედ მისთვის პირადად დამახასიათებელი სატკივარიც ზედ ერთვოდა. სად ფილოსოფია და სად პოლიტიკა, რაშიაც ჩვენ მეტნაკლებად ყველანი ჩაბმულნი ვართ.

ყოველივე ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ გითხრათ: თუმცა მან თავისი ვალი მოიხადა, მაგრამ მისი ნიჭისა და ერუდიციის პატრონი ... დევ მეტს გააკეთებდა ზემოდ ნახსენები გარემოება რომ არ ყოფილიყო. როცა მე იგი რამდენიმე ხნის წინად საავადმყოფოში ვინახულე, ხელში ავიღე წიგნი, რომელსაც ეს უკვე სასიკვდილოდ განწირული კაცი კითხულობდა. ეს იყო ბერგსონის ფილოსოფიურ თხზულებათა ტომი.

შალვას პოლიტიკა არ იზიდავდა, არც ამ დარგში წერა ეხალისებოდა, მაგრამ მოვალეობის შეგნებით, ათეულ წელთა განმავლობაში იგი ჩვენი ემიგრანტული პრესის ერთ-ერთი მუშაკის როლს ასრულებდა და ასევე ნაყოფიერად ჩაატარა მან მისი სიცოცხლის უკანასკნელი ათიოდე წლის მოღვაწეობა რადიო „თავისუფლების“ რედაქციაში, სადაც მან თავისი გადაცემების საგნად ჯელაზე საჭირბოროტო საკითხი, ნაციონალური პრობლემა აირჩია.

შალვას სამშობლოს სიყვარულთან ერთად, მაგრამ ცალკე გულის ინტიმურ კუნჭულში შენახული ჰქონდა ნაზი სიყვარული მისი მშობელი კუთხის, კეკლუცი გურიისა. ხოლო ვითარცა ინტელექტუალურ სფეროსკენ მიმართულ კაცს, განსაკუთრებულ გამორჩევით უყვარდა მისი კუთხის ის შვილები, რომელნიც ამ კულტურულ სფეროში მოღვაწეობით არიან განთქმულნი მთელ საქართველოში. ასეთებად იგი ასახელებდა ხოლმე: მამია გურიელს, გაბრიელ ეპისკოპოსს, ექვთიმე თაყაიშვილს, პავლე ინგოროყვას, აკაკი შანიძეს, გერონტი ქიქოძეს. ხოლო მისი ტრფიალი იყო თანამედროვე ქართული პოეზიის, მისივე სიტყვით, ჯელაზედ ღირიკული და რომანტიული პოეტი ანა კალანდაძე. ამის გამო მან ერთხელ თქვა: დიდი სურვილი მაქვს, რომ წერილი ვუძღვნა ანა კალანდაძეს, მაგრამ მეუხერხულება მოგვარის ქებად ჩამითვლიანო.

გაგვშორდა ერთი წევრი ჩვენი ემიგრანტული ოჯახისა. წავიდა ისე, რომ ვალი არ წაუღია. საერთოდ სამძიმარს ჭირისუფალს ეუბნებიან და ცხადია ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამ მცირერიცხოვან ქართულ ოჯახში, რომელსაც ჩვენი სათვისტომო წარმოადგენს, ჩვენ ჯელანი ერთმანეთის ჭირისუფლები ვართ და ასე უნდა გამოვეთხოვოთ შალვას, რომელმაც დაკაცების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანიდან მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენს გვერდით გაატარა. მშვიდი განსვენება მინიჭებოდეს მის სულს და საუკუნო სინათლე ხსენება მისი.

მიხეილ ქავთარაძე

*** *** ***

კარგი დედისა და კარგი ქართველის ხსოვნას

დედა-შვილი, თამარ და ეთერი თაჯიშვილები

--- --- ---

წელს, პარასკევს, *28* იანვარს ლევილის მიწას მივაბარეთ ჩვენი პატარა საზოგადოების კიდევ ერთი ღირსეული მანდილოსანი—ქალ-ნი თამარ თაჯიშვილი. ლევილს თამარა კარგად იცნობდა, გაცილებით უკედ, ვედრე მის სამშობლოს რომელიმე დასახლებას, რადგანაც *11 - 12* წლიდან მოყოლებული, ლევილში დაქალიშვილდა, აქ შეიყარა *19-20* წლისამ მისი შვილების მომავალი მამა და თუ ლევილის მუდმივი ბინადრები არ იყვნენ, აქ, საქართველოს ამ პატარა გადმოხიზნულ კუთხეში, ზაფხულობით მაინც ზრდიდენ, ჯერ შვილებს და უფრო გვიან შვილიშვილებს. ამიტომ, შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ლევილი იყო თამარისთვის ყველაზე ახლობელი და საყვარელი კუთხე ქვეყნიერების.

თამარის მშობლები თბილისის ინტელიგენციას ეკუთვნოდენ. მახსოვს: მამამისს, დავითს თავი მოჰქონდა თბილისის ძველთა-ძველი დიდვაჭართა ჩამომავლობით, თავისი პოლიტიკური შეხედულებებით უფრო პატრიოტ-პროგრესისტად ჩაითვლებოდა. თამარის დედა, ქალბატონი სონა, რომლისთვისაც ცოცხალს მე აღარ მომისწრია, ბრძანებულა ნოე რამიშვილის ოჯახობის, ქალ-ნი მაროს დაი. ალბათ ამიტომაც დავით კახელაძის ოჯახი დამოუკიდებელ საქართველოს შუაგულში ტრიალობდა და ხიზნობაშიც სოციალისტების წრეში დარჩა. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ოჯახი ნათესაურად შედუ-

ღაბებული დარჩა მშობლების გარდაცვალების შემდეგაც.

თამარი ნიჭიერი და ბეჯითი ახალგაზრდა იყო, ქართული სკოლის განათლებას ოჯახში აღრმავებდა, ხოლო ფრანგულ სკოლაში მან საფუძვლიანი საშუალო განათლება მიიღო და თუ უმაღლესი ვერ დაამთავრა, ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა სიყვარულის ბადეში გაება და *20* წლისამ კიდევაც იქორწინა ილია თაყაიშვილზე *1929* წელში. ეს სიყვარული დიდი და მუდმივი გამოდგა, ნაყოფიც სათანადო გამოიღო: ორი გოგო და ერთი ვაჟი, სამივე დედასავით შავტუხები. იშვიათ დედობასთან ერთად თამარს უყვარდა საზოგადოება, განსაკუთრებით კი სტუმრების გამასპირძლება. აქ ის ისეთი გულითადი მასპინძელი იყო და ისეთი სიამოვნებით გთავაზობდათ თავის ნახელავს, რომ შეუძლებელი იყო უარი გეთქვათ, გაგეწბილებიათ.

ბევრ სხვა შესანიშნავ თვისებებთან ერთად თამარს გააჩნდა ძალიან დიდი ნებისყოფა, რაც შემდეგი დრამიდან გამომჟღავნდა:

თამარის და ილიას მეორე ქალიშვილი ეთერი, ყოველმხრივ ჯანსაღი, ლამაზი და სიცოცხლით სავსე, *16 - 17* წლის ასაკში უეცრად გამოურკვეველი ავადმყოფობით დასნეულდა. რა თქმა უნდა, შეწუხებულ მშობლებს არ დაუტოვებიათ არც ერთი ცნობილი ექიმი, რომ არ გაეშინჯებიათ, მაგრამ არ იქნა და არა, ვერ დააგენეს ვერც მიზეზი და, მაშასადამე, ვერც გამკურნავი წამალი. ავადმყოფობა გაგრძელდა თითქმის *20* წელიწადი, საწყალი გოგონა ავადმყოფობამ, როგორც ჯავილი ზამთრის სუსხმა, დააზრო, მაგრამ გონება მისი საღი და გამჭრიახი დარჩა ბოლომდე, და ეს იყო ყველაფერზე უფრო ძნელი მისი მშობლებისათვის: ცხადია, მათ გული უკვდებოდათ და სიმწრის ცეცხლი ეკიდებოდათ, მაგრამ ვერც გარეშე და მით უფრო ვერც თვით ავადმყოფი ამას ვერ შენიშნავდა. თამარს თავი ისე ეჭირა, როგორც უზრუნველ ადამიანს, გარეგნულად მუდამ მხიარული იყო და თავისი სიცილ-ტკარცალით შვილს კარგადმყოფობის იმედს უნერგავდა.

არ შეიძლება ამ სასტიკ და ხანგრძლივ ბრძოლას საკუთარ თავთან, მისი ჯანმრთელობა არ შეერყა და ეს ახლა, დიდი ხნის შემდეგ გამომჟღავნდა, როცა იგი დარჩენილი ორი შვილის, მათი მეუღლეების და ოთხი ანგელოზი შვილიშვილის სიყვარულით იყო გარემოცული, რომ აღარაფერი ვთქვა მის ერთგულ მეუღლეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარი მარტო შვილებზე და მათ კარგ ქართველობაზე ოცნებობდა, ის აგრეთვე დროს პოულობდა, რომ სათვისტომოს ხანა ბავშვებისათვისაც ესწავლებია ქართული ენა და წერა-კითხვა, სიმღერა და მუსიკა, შეეკერა ეროვნული კოსტუმები, რომ უკიდ შეეფცარებია უნახავი სამშობლო. მოზარდები არასოდეს უმადურნი არ არიან და ამიტომ ამდენი ჩვენი ახალგაზრდობა თვალცრემლიანი აკილებდა ბიცოლა, მამიდა, დეიდა თუ ბებია თამარის ძვირფას ცხედარს მის სამუდამო განსასვენებელში.

მსუბუქი იყოს თქვენთვის, ქალ-ნო თამარ ღევილის მიწა და სულმა თქვენმა განისვენოს იქ, სადაც მართალნი და ღირსეულნი განისვენებენ. ამინ.

გოგი წერეთელი

*** *** ***

პოეტი სევერიანე ურუშაძე

პოეტი სევერიანე ურუშაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პარიზში, იქვე გარდაიცვალა *1983* წლის *22* ივლისს და დაიკრძალა ღევილის სასაფლაოზე *26* ივლისს.

ს. ურუშაძე დაიბადა *1905* წლის *25* სექტემბერს ოზურგეთში, მისივე თქმით, გრიაზნოვი სწავადა სწორედ იმ დღეს ამ ქალაქს. იგი იყო შვილი ოტია ურუშაძისა და მარო ჩხატარაშვილის ასულისა. საშუალო სწავლა დაამთავრა ადგილობრივად-ოზურგეთში. აქვე, კიდევ მისივე თქმით, შეუყვარდა ლიტერატურა და განსაკუთრებით პოეზია. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩამოდის დასავლეთ ევროპაში, ჯერ გერმანიაში სწავლობს გერმანულ ენასა და ლიტერატურას, შემდეგ გადადის საფრანგეთში და იქ ეუფლება ფრანგულ ენასა და ლიტერატურას.

განსვენებულმა პირველი წიგნი გამოაქვეყნა *1950* წელში და შემდეგ სიკვდილამდე სულ ცოტა თორმეტი. იგი წერდა *4* ენაზე: არა ხშირად რუსულად და გერმანულად, საკმაოდ ხშირად ქართულად და უმეტეს შემთხვევაში ფრანგულად. მე აქ უფრო შევეხები მის ქართულ პოეზიას და ნაწილობრივ ფრანგულს.

პოეზიის, ასე ვთქვათ, „მიმღებნი“, ე.ი. მკითხველები დაინტერესებული არიან დამწიფებული „ნაყოფით“ მიღებული სიამოვნებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა იმ გზის, გზების ძებნით, ექსპერიმენ-
ტებით, რაც წინ უძღვის ყოველი სახის მხატვ-
რულ ნაწარმოებს და, რომლებიც უფრო ხშირად
მარცხით მთავრდებიან; და რამდენია ისეთი პო-
ეტები, რომლებიც „ახალის“ ძებნის გზაზე „და-
იღუპენ“ მიზნის–სრულფასოვანი მხატვრული ნა-
წარმოების შექმნის–მიუღწევლად; თუმცა მათი
ცდების, ექსპერიმენტების გარეშე,- ვინ იცის!-
შეიძლება შეუძლებელი ყოფილიყო შოთას, ვაჟას, დანტეს თუ პაუნ-
დის პოეტური მარგალიტების შექმნა. და, ძიების, ახალი ხერხების,
ექსპერიმენტების „გზაში დაღუპულ პოეტთა“ შორისაა, ჩემი
აზრით, სევერიანე ურუშაძეც.

რა, ასე ვთქვათ, „აიძულებს“ პოეტს დაადგეს „ახალის ძებნის“
ეკლიან გზას და არა მარტო უარყოს, არამედ ხელყოს ტრადიციული
გამოსახვის საშუალებაც კი?– პოეტები, ჩემი აზრით, იმით განსხ-
ვავდებიან, არსებითად განსხვავდებიან, ასე ვთქვათ, „ჩვეულებრივ
მომაკვდავ ადამიანებისაგან“, რომ მათ გააჩნიათ, თანამედროვე
გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ანტენა“, რომლითაც დაკავშირებული
არიან უფრო ადამიანის მიკროკოსმოსთან, ვიდრე მაკროკოსმოსთან,
რაც განსაზღვრულ, ბუნებით მინიჭებულ, მისნურ უნარიანობას მო-
ითხოვს, რომლის „სწავლა“, „ათვისება“ შეუძლებელი უნდა იყოს.
ერთი მაგალითი: სტენდალმა, რომელიც არ კმაყოფილდებოდა „ამ-
ბავის“ მარტო მოთხრობით, არამედ მოთხრობილს განმარტავდა კი-
დეც, ჯერ კიდევ *1804* წელს,-არა მარტო თეორიულად,- საძირკველი
ჩაუყარა „თხრობის“ ახალ ტექნიკას, როცა, სხვათა შორის წერდა:
„ადამიანი ფიქრობს გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ლაპარა-
კობს. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც ისე ჩქარა ლაპარაკობს
როგორც ფიქრობს და გრძნობს; წარმოიდგინეთ, ეს ადამიანი ლაპა-
რაკობდეს მთელი ერთი დღის განმავლობაში ყველაფერ იმას, რასაც
ის ფიქრობს და გრძნობს და წარმოიდგინეთ ამასთანავე ერთად
ისიც, რომ მას ჰყავდეს ამ ერთ დღეს უჩინარი სტენოგრაფი, რო-
გორც გამცილებელი, რომელსაც ექნებოდა უნარი ისე ჩქარა ეწერა,
როგორც ის თვითონ ფიქრობს და ლაპარაკობს. და ახლა წარმოი-
დგინეთ სტენოგრაფი, რომელიც აღნუსხავდა ჩვენი ადამიანის გრძნო-

ბიერებისა აზროვნების ჯელა ცვალებადობას და ამის შემდეგ მოახდენდა მის ფიქსაციას ჩვეულებრივი ანბანით; ამით ჩვენ მიეცემ ღებდით სრული ხასიათის სურათს ერთადერთ დღისას, და ეს იქნებოდა მისი ისე მსგავსი, რამდენადაც ეს შესაძლებელია საერთოდ.“

აქ სტენდალი მისნური, წინასწარმეტყველური ინტუიციით აღწერს ჯემს ჯოისის „ულისეს“, რომელიც **ერთი საუკუნის შემდეგ, 1904** წლის 6 ივნისს, სწორედ ერთადერთ დღეს, აღწერს აწ უკვე ლეგენდარულ „ლეოპოლდ ბლიუმის ცხოვრებაში.“ და, რაშიც, არა მარტო ამ ადამიანის, არამედ მთელი თანამედროვე ეპოქის „სრული ხასიათის სურათია“ ასახული.

მეორე მაგალითი: განსჭვრიტა რა მისნური, წინასწარმეტყველური უნარიანობით, პაბლო პიკასომ ბასკეთის, როგორც ამბობენ: ჩვენი მონათესავე ხალხის ქვეყნის, ქალაქის გერნიკას ფაშისტების მიერ დაბომბვა, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, აქცია „გერნიკას“ მხატვრულ ტილოდ, რომელშიც, მეორე მსოფლიო ომამდე, მისნურად იქნა განჭვრეტილი ომის საშინელებანი თანამედროვე ტექნიკის პირობებში და, რაც, უთუოდ დღესაც, ახალი ომის საშიშროების პირობებში, გვაფრთხილებს თავი ავარიდოთ კაცობრიობის განადგურებას საერთოდ.

ხელოვანებს, დიდი არიან ისინი თუ პატარები, გააჩნიათ ამგვარი „ღვთიური“, მისნური, წინასწარმეტყველური უნარიანობა და სწორედ ამით აიხსნება ასეთ შემომქმედთა, ასე ვთქვათ, „უცნაურობანი“, ვინაიდან მათი „ანტენა“ კაცობრიობის წარსულ-აწმყო-მომავლის კუნჭულებში იჭრება, რომლებიც ჩვეულებრივ მომაკვდავთათვის მიუღწევლები არიან; ამით ხელოვანნი, ასე ვთქვათ, ჩირაღდნის როლს ასრულებენ ადამიანების, ერების, კაცობრიობის ცხოვრებაში. მართალია, დიდი, დიდი უმრავლესობა ასეთ შემომქმედთა გზაში იღუპებიან ისე, რომ მიზანს ვერ აღწევენ, მაგრამ მათი ძიებანი საფუძველია იმ თითო-ოროლა დიდ ხელოვანთათვის, რომლებიც ვერაფერს ვერ შექმნიდენ, თუ ამ გზაში დაღუპულებისაგან საამისო ნიადაგი არ იქნებოდა მომზადებული. და ვიცნობ რა მხოლოდ რამდენიმე ლექსს აწ განსვენებულ პოეტ სევერიანე ურუშაძისას, მისი ცხოვრება და შემოქმედება ამ დიდ უმრავლესობათა სფეროში მესახება. მას სურდა ქართული ენის, და საერთოდ

ენის, ვინაიდან ის უმთავრესად ფრანგულ ენაზე წერდა, ამასვე გამოსახვითი ფორმის, ასე ვთქვათ, „აღმოჩენა“, რაც, შეიძლება წარმატებით ვერ დაგვირგვინდა, მაგრამ მისი ღვაწლი ამ მიმართულებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ცისფერყანწელთა“ ორდენის მოღვაწეობა საქართველოში ხელოვნურად, ძალით იქნა შეწყვეტილი, მაინც მნიშვნელოვანია.

რაც მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, წერდა ქართულად თუ წერდა ფრანგულად, ის ერთგულად ემსახურებოდა მშობელ ერს, მის კულტურას, მის პოეზიას, როგორც ის კიდევაც ამბობს მის ერთ წერილში: „...მსურდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩემი წვლილის შეტანა, შეძლებისდა - გვარად...თუმცა ჩემი შემოქმედება ფრანგულ ენაზეა, იგი ჩემი უძვირფასესი ქვეყნის–საქართველოს– და უძვირფასესი ერის– ქართველი ერის – გასწვრივ მიმდინარეობს.“

არ შეიძლება სამშობლო მადლიერი არ დარჩეს ამ მისი „შეძლებისდა გვარად“-ი სამსახურით და ჩვენც მის სულს შენდობა არ შევუთვალოთ.

კარლო ინასარიძე

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ნ დ ი (ფრანგულ ფრანკებში)

რაფიელ ჯაში:	ვაახლებ „თ. ტ.“-ს ძვირფას თამარ ბერეჟიანის ხსოვნისათვის	*500,00*
რაფიელ ჯაში:	ვაახლებ „თ. ტ.“- ს ბ. პერევისელის პოეზიის გამოგზავნისათვის	*300,00*
ვივიანი:	დედაჩემის, თამარ ბერეჟიანის ხსოვნისათვის	*400,00*
დავით ბებიაშვილი:	იუნკერ ვანო ნანუაშვილის ხსოვნისათვის *200* დოლარი –	*1568,00*
„პ. ხ.“:	გრიგოლ აბულაძის ხსოვნისათვის *100* დოლ.	*771,00*
ქრისტეფორე იმნაიშვილი:	კ. ჩხეიძის, აკ. ჩხენკელის, ევ. გეგეჭკორის ხსოვნისათვის	*500,00*
		4039,00

4.039.00
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ვაშაძე	300.	აღ. სულხანიშვილი	141
გიორგი ჯაჯული	211.	ამირან ჩიტაძე	250
ილია მელია	100	დავით ბებიაშვილი	710
დავით თოხაძე	500	გერ. ბოლქვაძე	300
გურამ ასათიანი	200	მიშა გოგორიშვილი	300
პავლე ვაშაძე	300	იონა გუნია	100
ირენ ბაგრატიონი	100	ყარამან ოთხმეზური	282
ელ. მგალობლიშვილი	100	თამარ ლადიძე	50
ივლიტე, გოგუაძე	100	ვახტანგ საფარელიძე	80
ნიკოლა ანთაძე	200	ირაკლი ოთხმეზური	148
გიორგი გორგიშელი	200	შალვა ცინცაძე	354
† შალვა კალანდაძე	200	დავით ბებიაშვილი	756
აკაკი ბარკალაია	300	მართა სწ	50
†მიშა გაფრინდაშვილი	300	სანდრო ბარათელი	345
ლიდა ნასყდაშვილი	100	მანია ყველაშვილი	100

		ჯ ა მ ი	11.216

„ო ქ რ ო ს შ უ ა ლ ე დ ი ს“ გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი

ამ ცოტა ხნის წინად მივიღე მეგობარ კარლო ინასარიძის ახალი წიგნი „ოქროს შუალედი“-ს სახელწოდებით. მე აქ ადგილი არ მაქვს დაწვრილებით განვიხილო ეს წიგნი, თუმცა ის ამას უდავოდ საჭიროებს, მაგრამ არ შემიძლია იგი მთლად უპასუხოდ დავტოვო თუნდაც იმიტომ, რომ იგი, თავისდა უნებურად შეურაცხყოფას აყენებს გუშაგის მრწამსაც.

„ოქროს შუალედში“ აქ პასუხი უნდა გაეცეს ორ საკითხს: ერთი ეხება დევიზს: „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ და მეორე იმ ქართულ მოძრაობას, რომელსაც ეს ჰქონდა დევიზად. ორივე სასტიკად და უცნაური გაბოროტებითაა დაგმობილი ისე, რომ გულუბრყვილო მკითხველს ეგონება ისინი იყონ დღეს-დღეობით საქართველოს, ქართველი ხალხის ყელაზე საშიში მტრები. რაც

შეეხება იმას, რომელიც ამჟამად იმეორებს ამ ძველ დევიზს, ის ჩაჯანილია ჯოჯოხეთის გეენაში. მოგვაკვს ერთი ადგილი ამ წიგნიდან: „მაგრამ ამგვარ მემარცხენე ექსტრემიზმს, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, მოჰყა ქართველი მემარჯვენე ექსტრემიზმის მცირე დაჯგუფება, რომელიც იმდროინდელი დასავლეთ-ევროპული **რასობრივი** სიმახინჯის ანკესზე წამოეგო და აღნიშნული ქართული მემარცხენე ექსტრემისტთა ლოზუნგს– „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“– მემარჯვენე ექსტრემისტული ლოზუნგი– „საქართველო უპირველეს ყოვლისა“–დაუპირისპირა. გასაკვირი, დაუჯერებელი, უცნაური ამ ფაქტში ისაა, რომ ქართულ ემიგრაციაში (ვიმედოვნებ, რომ მხოლოდ ემიგრაციაში) დღესაც, *1984* წელს (ასე ვთქვათ, „ჯორჯ ორველის *1984* წელს“) კიდევ გამოჩნდა თითო-ოროლა ქართველი, რომლებიც აღნიშნულ ლოზუნგს არა თუ შეტრფიან, არამედ ცდილობენ „ოქროს შუალედის“ მომხრეებსაც მოახვიონ თავზე, რომლის დროს –ჰოი, საკვირველებავ! –ჩვენს დიდ პოეტს გალაქტიონ ტაბიძესაც კი ეპოტინებიან...“

ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ სიტყვა „ექსტრემიზმი“ და „ექსტრემისტი“ საერთოდ უადგილოდაა ნახმარი, რადგანაც ჩვენი „მემარჯვენეების“ დევიზი რომ გვერდზე დავტოვოთ დროებით, მარქსისტების ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ არ შეიძლება ექსტრემისტულად ჩაითვალოს, რადგანაც ის იყო დიდი ხნის განმავლობაში იმ პარტიის ლოზუნგი, რომელსაც თვით ამ წიგნის ავტორი ეკუთვნის და ნუთუ ნოე ჟორდანიას პარტია ექსტრემისტული პარტია იყო?!

მეორე, საქმე იმაში კი არ არის(მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს პოლიტიკურად თავისუფალი საზოგადოება), თუ ვინ ხმარობდა აღებულ გამოთქმას დევიზად, არამედ რა შინაარსისაა იგი. ჩემთვის პირადად „საქართველო უწინარეს ყოვლისა“ ნიშნავს იმას, რომ ქართველმა უპირველესად საქართველოს უნდა ემსახუროს, საქართველოს ინტერესი უნდა ეძიოს თავდაპირველადა და უპირველესად. რაც მთავარია და ხაზგასასმელი, წინააღმდეგ კ. ინასარიძის მტკიცებისა, ამ დევიზში არაფერი არაა მსგავსი ფაშისტური რასიული თეორიისა, რომლის მიხედვით , არიელები უმაღლესი რასაა და მათ უნდა იბატონონ, ხოლო სხვები უნტერ-მენ-

****

შები არიან, რომლებმაც მათ ბატონ არიელებს უნდა ემსახურონ.

„საქართველო უპირველეს ყოვლისა“ არაა „ემიგრაციის „მცირე ჯგუფის“ და ისიც „ფაშისტ- ექსტრემისტების“, როგორც ამას „ოქროს შუალედის“ ავტორი ამტკიცებს, არამედ ყველა იმ პატრიოტთა დამრაზმელი ძახილი, რომლებსაც თავიანთი არსებობის დედაზრად გაუხდიათ სამშობლოსათვის თავდადებული სამსახური, რომლებსაც ესმით და ამხელენ ჩვენი ერისთვის დამღუპველ და ვერაგ პოლიტიკას „საბჭოთა პატრიოტიზმზე და ინტერნაციონალიზმზე.“ არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ შეთხზა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, მაგრამ თუ ის მართლაც გალაქტიონს ეკუთვნის, ვაშა და დიდება გალაქტიონის ხსოვნას ამისათვის.

მესამე, „ოქროს შუალედის“ ავტორი იმ ქართულ დარაზმულობას, რომელსაც დევიზად ჰქონდა: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“, ექსტრემისტ ფაშისტურად და რასისტულად აცხადებს. რა დასამალია, რომ იმ დარაზმულობას ერქვა: „თეთრი გიორგის მოძრაობა.“ საჭიროდ მიმაჩნია აქ საჯაროდ განვაცხადო, რომ მე პირადად არასოდეს არ ვკუთნებივარ ამ ქართულ დარაზმულობას და მით უფრო ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შემიძლია მის შესახებ ჩემი აზრი გამოვთქვა. მართალია, თეთრი გიორგი თანამშრომლობდა ჰიტლერულ გერმანიასთან, მაგრამ ეს იყო საბრძოლო თანამშრომლობა საერთო მტრების წინააღმდეგ და არა იდეოლოგიური ერთობა. ჩერჩილის ინგლისიც და რუზველტის ამერიკაც თანამშრომლობდენ სტალინის საბჭოებთან, მაგრამ ამიტომ ისინი სტალინის დესპოტიზმის მოზიარენი არ ყოფილან.

თეთრი გიორგის მხოლოდ მცირე „გზადაბნეულ“ ემიგრანტთა ჯგუფი კი არ თანაუგრძნობდა მხოლოდ, არამედ უმრავლესობა ჩვენი ტფილისელთა და ლეგიონერებისა. მე პირადათ ვიცნობდი ბევრ თეთრგიორგელ მამულიშვილს, პოლიტიკურად ზომიერს, თავდაბალს, სამშობლოსათვის თავდადებულს. იმათ რომ ფაშისტობის იარლიყ მივაკეროთ საცოდაობა იქნება. როგორ შეიძლება რასისტებად გამოვაცხადოთ და ჩვენი პატივისცემა მოვაკლოთ: გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ წერეთლის, ძმები კერესელიძეების და რამდენი სხვების ძვირფას ხსოვნას, რომლებიც თეთრი გიორგის მოძრაობაში მოღვაწეობდენ ან თანაუგრძნობდენ?!

„თეთრი გიორგის“ მონაწილენი, რომ ვულგარული რასისტები და ანტისემიტები არ ყოფილან, ეს იქიდანაც ცხადია, რომ ...სკის საფასურად სიკვდილს და წამებას გადაარჩინეს არა მხოლოდ ქართველი ებრაელები, არამედ ბევრი რუსი თუ სხვა ეროვნების ებრაელი. მერედა, თეთრი გიორგი, რომ ფაშისტური და რასისტული ყოფილიყო, განა ჩვენი ეროვნული მთავრობა და საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია დაუშვებდა, რომ ამ პარტიას მონაწილეობა მიეღო „ეროვნული საბჭოს“ შექმნა-დაფუძნებაში, რომელიც 50-ანი წლების დამდეგს ჩამოყალიბდა და, რომელიც მოთავე გახდა რადიო „თავისუფლების“ დაარსების, სადაც მეგობარი კარლო ინასარიძე სამ ათეულ წელზე მეტია, რაც მოღვაწეობს?! მე მგონია, რომ ადგილი ჰქონდა მოუფიქრებელ გამოსვლას და, რომ კ. ინასარიძე მომავალში უკედ დააზუსტებს მის აზრებს. მანამდე კი მკითხველებს ვთხოვთ მათი აზრი ამ საკითხზე მოაწოდონ ჩვენ რედაქციას.

გ. წერეთელი

*** *** ***

თანამედროვე არგონავტები

რადიო „თავისუფლების“ მიხედვით, რომელიც იმოწმებს „ასოშიეტედ პრესის“ სააგენტოს, საბერძნეთის კუნძულ **სპეციაზე**, ბერძენ და ინგლისელ გემთმშენებელთა ჯგუფმა თითქმის დაამთავრა აგება ბრინჯაოს ხანის კონსტრუქციის ნიჩბებიანი-იალქნიანი გემის, რომელიც ოქროს საწმისის საძებნელად, იასონისა და არგონავტების მიერ განხორციელებული ლეგენდარული საზღვაო-სანაოსნო გეზის გავლით, შავი ზღვის ნაპირებს ეწვევა საქართველოში.

თანამედროვე „არგოსი“ ფიქვის ხის, 17 მეტ. სიგრძის და 20 ნიჩბიანი გემი, მარტის თვის ბოლოს უნდა ყოფილიყო ჩაშვებული წყალში და 6 მაისს უნდა გაემგზავროს ნავთსადგურ **ვოლოსიდან.** საბერძნეთიდან საქართველომდე(ფოთის მახლობლად) და უკან „არგოსმა“ უნდა დაფაროს 50.000 კმ. მანძილი. „არგოსის“ კაპიტანი იქნება ინგლისელი მკვლევარი **ტიმოთი სევერინი,** რომელმაც განაცხადა: „ჩვენი სურვილია დავადგინოთ თუ რამდენად ისტორიულია იასონის ლეგენდა.“

ამირან თარბა

****

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

1. *1983* წლის მაისში თბილისში გამოიცა აწ განსვენებულ **სერგი წულაძის** მიერ ფრანგულად თარგმნილი „ქართული ანთოლოგია, რომელშიაც შესულია მე-*15 - 20*-ე საუკუნეების რჩეული ქართული ნაწარმოებები. წიგნის რედაქტორია მთარგმნელის დაი, ქალ - ნი **ნინო წულაძე - კალატოზიშვილისა.**

*** *** ***

2. გასული წლის *20* მაისს *80* წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი კინორეჟისორი **სიკო დოლიძე.**

*** *** ***

3. გ. წ. *4* სექტემბერს საძირკველი ჩაუყრეს დიდგორის ბრძოლის გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფ მემორიალს.

*** *** ***

4. **ახალი დოკუმენტები ილია ჭავჭავაძეზე?**

სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგეს ფ. ლომაშვილს, მოსკოვის არქივის პოლიციის დეპარტამენტში, აღმოუჩენია ახალი დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან *1884 - 1900* წლებს. ჟანდარმერიის ერთ-ერთ პატაკში ნათქვამია, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „მთავარ ხელმძღვანელად უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს თავადი ჭავჭავაძე“-ო. ილიას პროგრამა ჯოფილა: **ავტონომია და საქართველოს პარლამენტის შექმნა..** „ამისთვის ილია იდევნებოდა აღნიშნულ წლებში, მაგრამ არა შემდეგ“-ო, წერს **ლომაშვილი.** ვიმედოვნებთ, რომ მკვლევარები სიფრთხილით მოეკიდებიან ლომაშვილის მიერ საეჭვო პირობებში გამომზიურებულ დოკუმენტებს.(სწორედ გეორგიევსკის ხელშეკრულობის სიუბილეოდ.)

საინტერესოა: თუ ილია იდევნებოდა *1900* წლამდე, რატომ მერე აღარ? (იხ. გაზეთი „კომუნისტი“ *11.9.1983*)

*** *** ***

5. *1983* წ. *20* ოქტომბერს *90* წელი შეუსრულდა მცირე ჟანრის უებარ ოსტატს, მწერალ **სერგო კლდიაშვილს.** კიდევ ამდენს ჯანმრთელობაში ვუნატრით „ჭინკა ბიჭების“ დიდებულ ავტორს.

*** *** ***

6. კინო-რეჟისორ **ოთარ იოსელიანს,** რომელიც ერთი ხანია საფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთი იმყოფება მხატვრული კინო - ფილმის შესაქმნელად, 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, საქ. ს.ს.რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მიენიჭა „რესპუბლიკის სახალხო არტისტის“ წოდება.

*** *** ***

7. კინო-რეჟისორ **რევაზ** (რეზო) **ჩხეიძეს**, ფილმ „ჯარისკაცის მამა“-ს დამდგმელს და უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში „საქფილმ-სტუდიას“ დირექტორს, ამჟამად დავალებული აქვს ტელევიზიისათვის სერვანტესის „დონკიხოტის“ ფილმის გადაღება. ამ მიზნით მან უკვე იმოგზაურა საფრანგეთში და ესპანეთში. რ. ჩხეიძის განცხადებით: ფილმის 5 სერიას გადაიღებს ესპანეთში, ორს საფრანგეთში, ორსაც საქართველოში და გადაღება მთლიანად უნდა დასრულდეს 1985 წლის ბოლოს.(„კომუნისტი“1.3.84)

*** *** ***

8. საქ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული **უცხოეთის ტურიზმის სამმართველო** გადაკეთდა **უცხოეთის ტურიზმის მთავარ სამმართველოდ** და მის უფროსად დაინიშნა ამხ. ღევან ნიკოლოზის ძე მატარაძე. დადგენილებაში არც ერთი სიტყვა, ვინ იყო ან რა დაემართა უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს ყოფილ მინისტრს!!! („კომუნისტი“ 3.03.1984.)

9. ა. წ. 4 მარტის გაზ. „კომუნისტის“ ცნობით, გამოიცა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მეშვიდე ტომი. სამწუხაროდ თავს არ უნდა იტკივებდენ მათ მომხმარებლებამდე მისაწოდებლად, რადგანაც აგერ ერთ წელზე მეტია, რაც მე-6-ე ტომი გამოვიდა და საფრანგეთში ჯერ კიდევ არ მიგვიღია.

შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა: ლონდონიდან ქალ - ნი სევდია- დარეჯან უგრეხელიძე- ლუკაჩის გვატყობინებს, რომ „თავისუფლების ტრიბუნა“ №40-ში, მაისი 83, გვ.27-ზე, პოლონეთის ქართველ ოფიცერთა ჯგუფის სურათზედ მე-6-ედ აღნიშნულ მაიორ კოტეტიშვილის მაგივრად უნდა იყოს **ტერიაშვილი** (სახელი აღარ ახსოვს), რომლის ვაჟიშვილი **ვანო** არგენტინაში უნდა ცხოვრობდეს, რისთვისაც ქ. სევდია- დარეჯანს უღრმეს მადლობას მოახსენებს რე-ცია.

– „თ. ტ.“ - ის უკანასკნელ–42 ნომერში, 29 გვ., წიგნების თაროს

****

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილებაში წერია: **პროფ. გიორგი შარაშენიძე**, უნდა იყოს: **პროფ. გიორგი შარაშიძე**. რაზედაც მასთან ბოდიშს მოვითხოვთ.

ა ნ ე კ დ ო ტ ე ბ ი

ა) ქართული ანეგდოტი ისრაელზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვა ქვეყნის სახელმწიფო მეთაურთა შორის, ისრაელის სახელმწიფოს მეთაური, გოლდა მეირიც გამოვიდა, რომელმაც მისი გამოსვლა ასე დაიწყო: „ბატონო თავმჯდომარე, ბატონებო და ქალბატონებო! მანამდე ჩემი მოხსენების ძირითად თემაზე გადავიდოდე, მინდა მცირე შესავალი გავაკეთო: ერთჯერ ისრაელის ხელმწიფე სოლომონ ბრძენმა გადაწყვიტა მდინარე იორდანში ეცურავნა; მართლაც ტანზე გაიხადა და მდინარეში შეცურა; როცა უკან დაბრუნდა, ტანსაცმელი ადგილზე ვეღარ ნახა; ტიტველი მეფე უხერხულობაში ჩავადრდა. დაიწყო ფიქრი თუ ვის შეეძლო მოეპარა მისი ტანსაცმელი და ბოლოს დაასკვნა, რომ არაბებმა მომპარესო.“ ამ სიტყვების თქმა და დარბაზიდან ატყდა საშინელი ღრიანცელი, არაბ სახელმწიფოთა მეთაურები გაიძახოდენ: ტყუილია! ტყუილია! შეცდა ბრძენი, მაშინ არაბები არ ცხოვრობდენ ისრაელის ტერიტორიაზეო.

ამ შეძახილების შემდეგ, გოლდა მეირმა მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს და დასძინა: ამით მე ამოვწურე ჩემი მოხსენება და აღარაფერი მაქვს სათქმელი“-ო.

ბ) ისრაელური ანეკდოტი საქართველოზე

როდესაც საქართველოდან ისრაელში ემიგრაცია დაიწყო, იქიდან ჩამოსულებს ისრაელის მკვიდრნი ეკითხებოდენ თუ რა სახის სოფლის კულტურებია საქართველოშიო და რა ხილი მოდისო, რაზედაც საქართველოდან ჩამოსულები პასუხობდენ: „საქართველოში ყველა სახის ხილი მოდის, გარდა ბანანისო.“ შეკითხვაზე: რატომ ბანანი არ მოდის, რაშია საქმე? ისინი პასუხობდენ: „იმიტომ, რომ იქ ადამიანები ცხოვრობენ და არა მაიმუნები“-ო. [ცნობილია, რომ ბანანს მაიმუნების საკვებს უწოდებენ]

მიხაკო ისრაელელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

.2 ფერიცვალება, — მოწინავე

.3 თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდა საქართველოში — მ. გ.

.11 სისხლიანი საქორწილო მოგზაურობა საქართველოში — პიერ სებასტიან

.30 „წერილი ჯელა მეცნიერს“-ის შესახებ — გულბათ გულბათიშვილი

.33 „გუშაგის“ განცხადება

.35 25 თებერვალი
ლექსები: გიორგი გამყრელიძე, აკაკი პაპავა, გ. პერევისელი

.39 14 აპრილი: ქართული ენის დღე
„ენა ქართული““–ლექსი– — გიორგი ჯფიანი
„არ ვიცი რატომ...“–ლექსი– — ანნა დივნოგორცევა- გრიგოლია
ქართული ენა დასავლეთში – — ირაკლი ოთხმეზური

.45 ქრისტე აღსდგა! — დეკანოზი ილია მელია

.47 პირველმაისობა
თამარ მეფე –ლექსი — ი. ო.
თამარის ეპიტაფია –ლექსი – — ხალხური

.53 როზგის მომხრე ანდროპოვი — ს. ქართველი

.56 ამერიკის არჩევნები — ქ. კალიფორნიელი

.60 აკაკი ჩხენკელი: დაბადებიდან 110 წ. — ვალიკო ჩუბინიძე

.62 სამგლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები

.72 ჩვენი ფონდი

.73 „ოქროს შუალედის“ შესახებ — გ. წერეთელი

.76 თანამედროვე არგონავტები — ამირან თარბა

.77 სამშობლოს ქრონიკები

.78 შემჩნეული შეცდომების გასწორება

.79 ანეკდოტები — მიხაკო ისრაელელი

GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8,RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

****

EDITION HORS COMMERCE